

პარლამენტის პარალიზებისთვის ერთი სატელეფონო ზარი საკმარისია

A3



„საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" კორუფციის წინააღმდეგ

A6



სავალუტო ფონდი საქართველოს დახმარების პროგრამას გააგრძელებს

A6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 20 აპრილი, 2005 წელი. №89 (949) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

### უსახლკაროებს უპატრონო ბინებში შეასახლებენ



"წინასწარი ინფორმაციით, ქუთაისში არის საკმაოდ ბევრი ბინა, რომელიც არავის ეკუთვნის და დაკეტილია. პირადად ჩემს სადარბაზოში სამი ასეთი ბინაა, რომელშიც არასდროს არავის უცხოვრია," - აცხადებს ქუთაისის თვითმმართველობის მართვის ტერიტორიული სამსახურის უფროსი მერაბ მეშველიანი "24 საათთან" საუბარში.

A2

## უცხოეთი

### ბასკების ქვეყანა ესპანეთის შემადგენლობაში რჩება



კვირას ბასკეთში ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა ესპანეთის ხელისუფლებას გვარიანი მღელვარება მოუტანა. ბევრ ესპანელს აშინებდა "ბასკების სუვერენული, ესპანეთთან ასოცირებული სახელმწიფოს გეგმა".

A5

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 20/4 | 21/4 | 22/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 27 | 28 | 28 |
| ქუთაისი | 22 | 27 | 28 |
| ბათუმი | 22 | 24 | 24 |
| სოხუმი | 17 | 24 | 25 |
| ფოთი | 22 | 25 | 26 |
| თელავი | 27 | 27 | 28 |
| ზუგდიდი | 22 | 27 | 28 |
| გორი | 20 | 23 | 24 |
| ახმეტა | 27 | 27 | 28 |
| ჭიათურა | 21 | 25 | 26 |
| გაგრა | 15 | 23 | 23 |
| სამტრედია | 22 | 26 | 27 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8250 |
| ევრო | 2.3751 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4832 |
| რუბლი | 0.0658 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ევროისტორია | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# "სისულელეა იმის თქმა, რომ ჯარში პრობლემები არ გვაქვს"

*"ოსიაურში ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში რომ მიხვიდეთ, ასეთ სურათს ნახავთ: ორი დიდი ბოსელია აშენებული და შიგ რვა ძროხა ჰყავთ. შესაბამისი რეაქციის და კითხვების შემდეგ, ჯარისკაცები აგიხსნიან, რომ ზემდეგს ექვსი შვილი ჰყავს და მხოლოდ ამ ძროხებით არჩენს ოჯახს. ეს დაუშვებელია, მაგრამ მსგავსი პრობლემები ჯარში ერთ დღეში ვერ მოგვარდება," – ამ ტრაგიკომიკური ფაქტის შესახებ ჟურნალისტებს თავად თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა აუწყა. ოქრუაშვილმა რამდენიმეთვიანი საყვედურების მოსმენის შემდეგ (რომ თავდაცვის სამინისტრო დახურული უწყება გახდა), დუმილი დაარღვია და გუშინ კრწანისის სასწავლო ცენტრში სამხედრო თემაზე მომუშავე ჟურნალისტებს შეხვედრა მოუწყო. ოქრუაშვილი ცდილობდა, მაქსიმალურად გახსნილი ყოფილიყო. თუმცა, მინისტრი ამასაც არ დასჯერდა და ფინალში ჟურნალისტებთან სამახსოვრო ფოტო გადაიღო. თავდაცვის მინისტრის განცხადებით, "დღეს ჩვენ გვყავს ჯართან დაახლოებული ფორმირება, რომელიც წლის ბოლოს იქნება ჯარი." გუშინდელ შეხვედრაზევე ოქრუაშვილმა ჟურნალისტებს ახალი ინფორმაცია აუწყა რიგით მეხუთე ბრიგადის შექმნის შესახებ.*

ვერიკო თევზაძე

**"საიდუმლოს გაგიმხელთ. ჩვენ ვაპირებთ მეხუთე ბრიგადის შექმნას. ამის თაობაზე შეიძლება ზოგიერთმა უცხოელმა კოლეგამ უკმაყოფილება გამოთქვას, მაგრამ ამას პრობლემად არ მივიჩნევ. წლის ბოლოს დავიწყებთ სამზადისს. დაახლოებით, მომდევნო წლის მარტის თვეში ბრიგადა ფუნქციონირებას დაიწყებს."** ოქრუაშვილმა გუშინ თავად დაიწყო საუბარი თავდაცვის სისტემაში, ჯარში არსებულ პრობლემებზე: **"სისულელე იქნებოდა იმის თქმა, რომ პრობლემები არ გვაქვს,"** - აცხადებს თავდაცვის მინისტრი და ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად ფუნქციების დელეგირების საკითხს მიიჩნევს. **"დღეს თელავის და ბათუმის ბატალიონში დამლაგებელსაც კი მე ვნიშნავ. ეს არის სრული აბსურდი. ასე გაგრძელება შეუძლებელია. იგივე პრობლემა ეხება შესყიდვების სფეროსაც. ქუთაისში სამხედრო ნაწილში ვიყავი და იქ მწვანილი ვერ ვნახე, მაშინ, როდესაც თბილისის სამხედრო ნაწილები მწვანილს მიაქვს. სხვათა შორის, ჩვენ მწვანილს ვყიდულობთ ქუთაისში, ჩამოგვაქვს თბილისში, "ვასაწყობებთ" აქ და შემდეგ ისევ ქუთაისში ვგზავნით."** მინისტრის თქმით, ახალციხის კარტოფილის "მოძრაობის" მარშრუტი ასეთია: ახალციხე–თბილისი-ახალციხე.

ოქრუაშვილმა საჭიროდ ჩათვალა ჟურნალისტებთან გორის სამხედრო ნაწილში მომხდარი ფაქტიც გაეხმაურებინა: **"18 აპრილს, ჩემი**

გაგრძელება A3 გვერდზე



ინტერპრესი

*ირაკლი ოქრუაშვილი ნამდვილ ჯარს წლის ბოლოსთვის გვპირდება.*

# აშშ-ს სახელმწიფო მდივანი მოსკოვს ეწვია

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი რუსეთის დედაქალაქს გუშინ ეწვია, რათა 9 მაისს ჯორჯ ბუშის ვიზიტისთვის ნიადაგი მოამზადოს. თუმცა, რაისის ვიზიტის მიზანი მხოლოდ საორგანიზაციო საკითხებით არ შემოიფარგლება, რადგან რუსეთში დემოკრატიის დაბალი ხარისხი აშშ-ს ჯერ კიდევ აშფოთებს. დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ს მიერ არაერთგზის მოწოდების მიუხედავად, რუსეთში ჯერ კიდევ გრძელდება ხელისუფლების ცენტრალიზაციის პროცესი, ისევე, როგორც დამოუკიდებელ მასმედიაზე ზეწოლა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე გავლენის შენარჩუნების მცდელობა.

კონდოლიზა რაისის ვიზიტამდე კი მოსკოვში რუსეთის საგარეო უწყების კოლეგიის სხდომა გაიმართა, რომელიც აშშ-სთან მიმართებაში აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აშშ-რუსეთის პოზიციათა გაუცხოების მიუხედავად, უკანასკნელ ხანს ურთიერთობებში პოზიტივები მაინც შეინიშნება. ვინაიდან აშშ-სთან ურთიერთობა რუსეთის საგარეოპოლიტიკური კურსის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა, დადებითი ტენდენციის შენარჩუნება, ცხადია, მნიშვნელოვანია. "ამ ურთიერთობებზე დიდადაა დამოკიდებული ვითარება მსოფლიოში, განსაკუთრებით - საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტრატეგიული სტაბილურობის თვალსაზრისით", - აღნიშნეს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

გაგრძელება A5 გვერდზე

# "არძინბოვშინა"

## რუსული ზეწოლის შედეგი ქენევაში



A8

## პარლამენტის პარალიზებისთვის ერთი სატელეფონო ზარი საკმარისია

გიორგი ასანიძვილი

*ერთმა ანონიმურმა სატელეფონო ზარმა გუშინ პარლამენტის მუშაობის პარალიზება გამოიწვია: პლენარული სხდომის მიმდინარეობისას, დაახლოებით 12 საათზე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსმა ოთარ ქველიძემ პარლამენტის თავმჯდომარეს აცნობა, რომ უცნობმა პირმა მის უწყებას შეატყობინა, თითქოს, საკანონმდებლო ორგანოს შენობა დანაღმულია.*

საზოგადოებაში პანიკისა და ზედმეტი აჟიოტაჟის თავიდან ასაცილებლად, ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა სხდომის ტრანსლაციის შეწყვეტის განკარგულება გასცა და მხოლოდ ამის შემდეგ აცნობა დეპუტატებს, რომ ისინი "ნაღმზე ისხდნენ".

ეტყობა, იმის გამო, რომ ასეთ ცრუ განგაშს უკვე ყველა მიეჩვია, მოსალოდნელ საფრთხეს პარლამენტარები მაინცდამაინც არ შეუშფოთებია. დეპუტატებმა, პარლამენტის აპარატის თანამშრომლებთან და ჟურნალისტებთან ერთად, აუღელვებლად დატოვეს შენობა, მათი ევაკუაციის შემდეგ კი პარლამენტს გამნაღმველთა ჯგუფი "დაეპატრონა". იგი რამდენიმე საათის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა ასაფეთქებელ ნივთიერებას.

მომხდართან დაკავშირებით, საგანგებო ბრიფინგი გამართა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, რომლის თქმითაც, პარლამენტში ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინება თავისუფლების მოედანზე მდებარე სატელეფონო ავტომატიდან გაკეთდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## HABEMUS PAPAM!

### ბენედიქტე XVI - ახალი პაპი იოზეფ რაცინგერი გახდა

*19 აპრილს, თბილისის დროით, დაახლოებით, რვა საათზე სიქსტის კაპელიდან კვამლი მეოთხედ ამოვიდა. კვამლის ფერთან დაკავშირებით წარმოქმნილი ოდნავი დაბნეულობა ათ წუთში ზარების ხმამ გაფანტა – კათოლიკურ სამყაროს ახალი პაპი ჰყავს!*
*ბენედიქტე XVI - ასეთი სახელი დაირქვა მეორე ათასწლეულში რომის პაპად პირველად არჩეულმა იოზეფ რაცინგერმა.*

სიქსტის კაპელის საკვამურიდან თეთრი კვამლის ამოსვლის შემდეგ, დაახლოებით, 40 წუთში წმინდა პეტრეს ტაძრის აივანზე ჩილელი კარდინალი ხორხე არტურო მედინა ესტიბესი გამოვიდა და საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია. "Habemus Papam! – ჩვენ გვყავს პაპი!", - რამდენიმე ენაზე გაიმეორა ტრადიციული ფრაზა ესტიბესმა. ამის შემდეგ მან დაასახელა იოზეფ რაცინგერი და განაცხადა, რომ ახალმა პაპმა სახელად ბენედიქტე XVI აირჩია.

რამდენიმე წუთის შემდეგ აივანზე პაპის სამოსში გამოწყობილი ახლად არჩეული პონტიფიკოსიც გამოჩნდა. მოედანზე შეკრებილ ათობით ათას მორწმუნეს ტრადიციული სიტყვით – Urbi et Orbi (ქალაქსა და მსოფლიოს) – მიმართა: "ძვირფასო დებო და ძმებო, რომის დიდი პაპის იოანე-პავლე მეორის შემდეგ კარდინალებმა მე ამირჩიეს – უფლის ვენახის უბრალო, თავმდაბალი მეზვრე; თქვენი ლოცვა-კურთხევის იმედად".

გაგრძელება A5 გვერდზე

## სუბოტექსომანია ევროპამ უკვე "მოიყვავილა"

### რიგში საქართველოა

ირმა კახურაშვილი

ნარკოტიკული პრეპარატი სუბოტექსი საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება. ერთი აბის მაღალი ფასის - 100 დოლარის მიუხედავად, ამ წამლის "თაყვანისმცემელთა" რიცხვი დღითიდღე იზრდება. "პროფესიონალი" ნარკომანების გარდა, სუბოტექსს ცნობისმოყვარე ახალგაზრდები და მოზარდებიც ეტანებიან. ზოგიერთი მათგანის თქმით, პრეპარატის შეძენა ღამის კლუბებსა და დისკო-ბარებშია შესაძლებელი.

"ერთხელ ცეკვის დროს ჩემთან ახალგაზრდა კაცი მოვიდა და სუბოტექსი შემომთავაზა. როცა უარი მიიღო, მითხრა, თუ გინდა, ნახევარ აბს 50 დოლარად მოგცემო, მაგრამ ამხელა ფული ნამდვილად არ მქონდა. მაშინ ნახევარი აბი ჩემმა ახალ გაცნობილმა მეგობარმა გოგონამ იყიდა. სხვათა შორის, გამიგია, რომ სუბოტექსის მყიდველები, ძირითადად, გოგოები არიან," - გვითხრა 17 წლის ლაშამ.

ევროპის შავ ბაზარზე კონტრაბანდული სუბოტექსის ერთი აბის საბითუმო ფასი 80 დოლარია. საქართველოში ეს პრეპარატი საფრანგეთიდან, უფრო იშვიათად - გერმანიიდან შემოდის. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ლეგალურად სუბოტექსი მხოლოდ ლატვიაში იყიდება. ის აფთიაქში რეცეპტით გაიცემა, მაგრამ ბოლო ხანებში პრეპარატის გასაღების ზომები ამ ქვეყანაშიც გამკაცრდა. საქმე ისაა, რომ ტალინში სიარულს ფინელმა ნარკომანებმა მოუხშირეს. ფინეთში კი სუბოტექსი მხოლოდ ნარკოლოგიური კლინიკების ექიმებისთვისაა ხელმისაწვდომი.

სუბოტექსი ნარკოტიკებთან გათანაბრებული წამალია, მაგრამ "ნოუჰაუ" როდია. ევროპამ კარგა ხანია, "მოიყვავილა" სუბოტექსომანია, მით უმეტეს, რომ რეალურად ეს პრეპარატი ფარმაცევტულ ბაზარზე უკვე 40 წელია (!) არსებობს. სუბოტექსი, უბრალოდ, ბუპრენორფინის სავაჭრო მარკის სახელწოდებაა. მას დიდი ხანია, მოიხმარენ ფრანგი ნარკომანები, რომლებისთვისაც სუბოტექსს ჩანაცვლებითთერაპიული ეფექტი აქვს. თუმცა, სუბოტექსული გზით საფრანგეთს ერთი ნარკომანის "შენახვა" საკმაოდ ძვირი - 14 ათასი დოლარი უჯდება.

საქართველოში სუბოტექსი სამედიცინო მიზნით, პრაქტიკულად, არ გამოიყენება. ცნობისათვის, ის ნარკოტიკული ანალგეტიკია (ტკივილგამაყუჩებელი), თავისი შემადგენლობით ძალიან ჰგავს მორფინს, მაგრამ მასთან შედარებით "მსუბუქია" - ნაკლებად ერჩის სასუნთქ გზებს და ხშირი მოხმარების შემდეგ ადამიანიც მასზე ნაკლებად დამოკიდებული ხდება. მსოფლიოში ამ პრეპარატს ოპერაციის შემდეგდროინდელ პერიოდში, სტენოკარდიის, ინფარქტის და სხვა დაავადებების დროს გამოიყენებენ. სუბოტექსის უკუჩვენებებია: გულისრევა, ოფლიანობა, დეპრესია, ჰაერის უკმარისობა, შენელებული რეაქცია და სხვ. მორფინთან და ჰეროინთან შედარებით, სუბოტექსი ე.წ. "ლაით კაიფს" იწვევს.

საქართველოში ამ პრეპარატს სხვა ნივთიერებებს ურევენ და, როგორც ნარკოტიკს, ისე მოიხმარენ.

შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს 2004 წლის მონაცემებით, ქვეყანაში გამოვლინდა 1800-ზე მეტი ნარკოდანაშაული. უკანასკნელად სუბოტექსის სოლიდური პარტია მარტის დასაწყისში აღმოაჩინეს. სამართალდამცავებმა დააკავეს ავტომანქანა, რომლის მგზავრს, 36 წლის ნინო გელაშვილს სუნამოს კოლოფში 280 ცალი აბი აღმოაჩნდა. გელაშვილის თქმით, სუბოტექსი მეუღლემ საფრანგეთიდან რეალიზაციისთვის გამოუგზავნა. სუბოტექსის გავრცელების შემთხვევები ციხეშიც მოხშირდა. თუმცა, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ამ შემთხვევათა უკან სხვადასხვა კერძო პირები დგანან, ანუ პრეპარატის შემოტანა-გავრცელებას მასშტაბურად ორგანიზებული დანაშაულის სახე ჯერ არ აქვს.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 6 ათასი ნარკომანი და ნარკოტიკის 12 ათასი მომხმარებელია, მაგრამ რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში ამ ადამიანებს არანაირი მკურნალობა - არც სავალდებულო და არც იძულებითი - არ უტარდებათ, მოუგვარებელია მათი აღრიცხვიანობის საკითხიც. ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელ გელა ლეჟავას ინფორმაციით, ამ სფეროში სიტუაციის დარეგულირებისთვის საჭიროა პოლიციის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებისა და სხვა უწყებების ერთობლივი მოქმედება. უმოქმედობას და უფინანსობას კი რაც მოაქვს, ისედაც სახეზეა.

## უსახლკაროებს უპატრონო ბინებში შეასახლებენ

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ქონების ფლობისა და განკარგვის საკითხი ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემად რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის. ქუთაისის ახალი მთავრობა ქალაქის ქონების აღრიცხვას შეუდგა. პირველ ეტაპზე, ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საცხოვრებელი ბინების პასპორტიზაცია მოხდება. პასპორტიზაციის შედეგად უნდა შეიქმნას კომპიუტერული საინფორმაციო ბანკი ქალაქში არსებული პრივატიზებული და არაპრივატიზებული ბინების სრული ჩამონათვალის სახით.

**"წინასწარი ინფორმაციით, ქუთაისში არის საკმაოდ ბევრი ბინა, რომელიც არავის ეკუთვნის და დაკეტილია. პირადად ჩემს სადარბაზოში სამი ასეთი ბინაა, რომელშიც არასდროს არავის უცხოვრია. როგორც ჩანს, თავის დროზე ეს ბინები დარჩა გაუნაწილებელი, ან ვინმემ გადაინახა, რომ შემდეგ თავის საკუთრებაში ჰქონოდა. 2-3 თვეში ჩვენ გვექნება ასეთი ბინების სრული ჩამონათვალი,"** - აცხადებს ქუთაისის თვითმმართველობის მართვის ტერიტორიული სამსახურის უფროსი მერაბ მეშველიანი "24 საათთან" საუბარში.

მეპატრონის გარეშე დარჩენილი დაკეტილი ბინების ბედს ქუთაისის მთავრობა პრივატიზაციის გზით გადაწყვეტს. ამას გარდა, ქალაქის ხელმძღვანელობა აღნიშნული ბინებით სოციალურად დაუცველი და უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დაკმაყოფილებას გეგმავს.



მერაბ მეშველიანი

**"პირველ ეტაპზე ამ ბინებში შევასახლებთ იმ ადამიანებს, რომლებიც მძიმე სოციალურ პირობებში არიან და, ფაქტობრივ, ქუჩაში ცხოვრობენ. ასეთ გაჭირვებულ ადამიანებს ჩვენ განვუსაზღვრავთ ვადას, თუ როდემდე იქნებიან ისინი ამ ბინებში შესახლებული და მერე, თუ რომელიმე მათგანი გამოთქვამს ამ ბინის შესყიდვის სურვილს, გაივლის ჩვეულებრივ პროცედურას, რაც ბინის პრივატიზაციისთვის არის საჭირო,"** - აცხადებს მერაბ მეშველიანი.

საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის პროცედურა მართვის ტერიტორიული სამსახურიდან იწყება და რამდენიმე უწყებაში გრძელდება, მათ შორისაა, საგადასახადო ინსპექცია, საჯარო რეესტრი და სანოტარო ბიურო. ცალკეულ უწყებაში თითოეული დოკუმენტის ასაღებად განსაზღვრულია სპეციალური ტარიფები, რაც ჯამში საკმაოდ დიდ თანხას შეადგენს. მაგალითად, სტანდარტული ერთოთახიანი ბინის პრივატიზება, საშუალოდ, 250-300 ლარი უჯდება მყიდველს. აღნიშნული თანხიდან მართვის ტერიტორიული სამსახურის ანგარიშზე ფართის ქირა იხდება, რომლითაც ივსება საბინაო ფონდი. ბინების პასპორტიზაციის პროგრამის ფარგლებში ქუთაისის მერია საბინაო ფონდის შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას ვარაუდობს, რადგან, წინასწარი ინფორმაციით, ქუთაისში ბინების 40 პროცენტი პრივატიზებული არ არის. ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, საბინაო ფონდის თანხები, ძირითადად, საცხოვრებელი მაღლივი კორპუსების გადახურვას მოხმარდება. ადგილობრივ ბიუჯეტში წელს ამ პრობლემის მოსაგვარებლად 50 000 ლარია გამოყოფილი.

ბინების პასპორტიზაციის პროგრამის ფარგლებში მართვის ტერიტორიული სამსახურის განყოფილებების, იგივე მუნიციპალიტეტების თანამშრომლებმა 846 საცხოვრებელი კორპუსის 37 244 მობინადრე უნდა გამოიკითხონ და აღწერონ სამი თვის განმავლობაში.

**"სამუშაო ძნელია, რადგან სულ სამი თანამშრომელი მყავს და 64 მაღლივი კორპუსი უნდა აღვწეროთ, სადაც 15 000 მობინადრე ცხოვრობს. მაგრამ დღე და ღამე რომ ვიმუშაოთ, უნდა შევასრულოთ ეს დავალება,"** - აცხადებს მართვის ტერიტორიული სამსახურის ნიკეას განყოფილების უფროსი ირაკლი ზივზივაძე "24 საათთან" საუბარში.

ქუთაისის მართვის ტერიტორიული სამსახური აღნიშნული პროგრამით ერთგვარად ეხმიანება ჯანდაცვის სამინისტროს ახალ პროგრამას, რომელიც სოციალურად დაუცველი ფენების დახმარებას ითვალისწინებს. ამას გარდა, პროგრამით შექმნილი კომპიუტერული საინფორმაციო ბანკი მიეწოდება იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხებზე მუშაობენ.

## „ვიჩქაროთ ნელა"

### ქვეყანა პრივილეგირებული პენსიების, მოშიმშილე ოჯახებისა და ექიმთა "არაფრისმთქმელი" ლიცენზიების გარეშე

*შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ვლადიმერ ჭიპაშვილმა გუშინ სამედიცინო უნივერსიტეტში შეკრებილ მედიკოსებს ჯანდაცვის და სოციალური დახმარების სტრატეგიული განვითარების გეგმა წარუდგინა. მინისტრის თქმით, 2005 წლის ბოლოს ამოქმედდება პროგრამა, რომელიც უკიდურესი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებს ფინანსურ პრობლემას მეტ-ნაკლებად გადაუჭრის.*

თამარ დვალი

სოციალური დახმარების ახალი პროგრამის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში აღარ იცხოვრებს არც ერთი ოჯახი, რომელსაც ექნება შიმშილით სიკვდილის საფრთხე. მინისტრის თქმით, საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში შემცირდება დისბალანსი პრივილეგირებულ და რიგით მოქალაქეებს შორის, გაუქმდება ექიმთა სერტიფიცირების კორუფციული სისტემა, მკვეთრად შემცირდება ძირითადი სამედიცინო სპეციალობების რიცხვი, გაუქმდება "არაფრისმთქმელი" ლიცენზიები და ა.შ. მიმზიდველი პროგრამა მედიკოსებმა მოიწონეს, თუმცა ბევრი კითხვაც გაჩნდა.

**"ჩვენ უნდა ვიჩქაროთ, მაგრამ უნდა ვიჩქაროთ ნელა,"** - ასეთია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ვლადიმერ ჭიპაშვილის მიდგომა მედიცინის სფეროში დაწყებული "უსერიოზულესი" რეფორმების მიმართ. წლების მიხედვით გაწერილი პროგრამა რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. 2005 წელს უკიდურეს სიღატაკეში მცხოვრები ოჯახებისთვის ფულადი დახმარებაა გათვალისწინებული. უკიდურესად ღატაკად ითვლება ის ოჯახი, რომელსაც 60 ლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს. მინისტრის თქმით, ამ პროგრამის განსახორციელებლად შექმნილია სისტემა, რომელიც ადრე ქვეყანას არ ჰქონია.

წელსვე შემცირდება ძირითადი სამედიცინო სპეციალობების რიცხვი, გაუქმდება "არაფრისმთქმელი" ლიცენზიები და სერტიფიცირების პროცესი კი თანდათან პროფესიულ ასოციაციებს გადაეცემა. **"საქართველოში შეიქმნა ათეულობით ახალი სპეციალობა, რომელიც მსოფლიო მედიცინისთვის უცნობია. დიდ ბრიტანეთში არის 16 ძირითადი სპეციალობა, საქართველოში ამ სპეციალობათა რიცხვმა 100-ს გადააჭარბა. წელს სამედიცინო სპეციალობის რიცხვი იქნება იმდენივე, რამდენიც მიღებულია მთელ მსოფლიოში,"** – განაცხადა ჭიპაშვილმა. მისივე თქმით, უმნიშვნელოვანესი გახლავთ ის, რომ გაუქმდება ბევრი არაფრისმთქმელი ლიცენზია, რომლის ასაღებადაც მისი კოლეგები ღამეებს ათენებდნენ ჩინოვნიკების კაბინეტების წინ. რაც შეეხება სერტიფიცირების საკითხს, იგი თანდათანობით გადაეცემა პროფესიულ ასოციაციებს. **"პროფესიული ასოციაციები გახლავთ ის ორგანოები, სადაც უნდა ხდებოდეს ახალი წევრების აღიარება,"** - აღნიშნა მან.

სამედიცინო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პირველი ნიმუში კი, მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყებს ფუნქციონირებას. ეს გახლავთ ზ. ცხაკაიას სახელობის ქუთაისის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთავარი საავადმყოფოს ფუნქციას შეასრულებს.

ეს, რაც შეეხება 2005 წლის პროგრამას, მომავალ წელს კი ერთიანი ეროვნული სტანდარტის შექმნა იგეგმება, რომელშიც შევა მკურნალობის პროტოკოლი. აგრეთვე, სამკურნალო დაწესებულებების სამშენებლო და აპარატურით აღჭურვის სტანდარტები.

**"ჩვენ გვექნება ერთიანი ეროვნული სტანდარტი ყველა სამკურნალო დაწესებულებისთვის. შემუშავდება სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტი მთელი მოსახლეობისათვის. ამ პაკეტის დაფინანსებას თავის თავზე აიღებს სახელმწიფო. მთელ ქვეყანაში დაიწყება სამედიცინო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოები და ყველა ეს სამუშაო წარიმართება ეროვნული სტანდარტების მიხედვით,"** – დაგვპირდა მინისტრი.

ჭიპაშვილმა ყურადღება გაამახვილა საპენსიო უზრუნველყოფის სფეროზე და აღნიშნა, რომ შემცირდება დისბალანსი პრივილეგირებულ და რიგით მოქალაქეთა შორის. მისი თქმით, საპენსიო თანხების დიდი ნაწილი მიდის მოქალაქეთა პრივილეგირებული ფენების პენსიების დასაკმაყოფილებლად. ასეთებად მან ყოფილი მოსამართლეები, პარლამენტარები და ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები დაასახელა. **"ეს ხალხი იღებს საბაზისო - 28 ლარზე გაცილებით მეტ პენსიას. ერთ თვეში შევიტანთ კანონს პარლამენტში, რომლითაც დავარეგულირებთ ზოგიერთის უზომოდ გაზრდილ პენსიებს. დავაწესებთ ზედა ზღვარს და შევზღუდავთ მომატების სისტემას,"** - განმარტა ჭიპაშვილმა.

მედიცინის სფეროში არსებული დღევანდელი ვითარება მინისტრმა ოთხ პუნქტად ჩამოაყალიბა. ეს არის: განადგურებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; დაბალი კვალიფიკაციის პროფესიული კადრები; არაეფექტური მენეჯმენტი და არაეფექტური დაფინანსების სქემები. მისივე განმარტებით, რეფორმის შედეგად მივიღებთ: აუცილებელ ინვესტიციას ინფრასტრუქტურაში; პროფესიული საქმიანობის სტანდარტებს; ინვესტიციას კადრების მომზადებაში და ვალდებულებების ადეკვატურ დაფინანსებას.

მედიცინის მუშაკებმა მინისტრს რეფორმის არსი მოუწონეს, თუმცა კრიტიკაც გამოითქვა. კერძოდ, ყველა არ ეთანხმება ქართველი მედიკოსების კვალიფიკაციის მინისტრისეულ დაბალ შეფასებას. გარდა ამისა, შენიშვნები გამოითქვა პროგრამული დაფინანსების პრაქტიკის მიმართ.

მინისტრთან ერთად, თავის სამომავლო გეგმებსა და დაწყებულ რეფორმებზე ისაუბრა სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა დავით თელიამ. **"სამედიცინო უნივერსიტეტში შემუშავდა გამოსაშვები გამოცდების ახალი მოდელი და საუნივერსიტეტო, საგამოცდო ცენტრის დაფუძნების კონცეფცია. ახალი კანონმდებლობის თანახმად, შემუშავდა უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა. ამან შესაძლებლობა მოგვცა, გაგვეზარდა ხელფასები როგორც ადმინისტრაციული, ასევე პედაგოგიური პერსონალისთვის. რაც შეეხება კოლეჯში არსებულ დაძაბულ სიტუაციას, ამჟამად გატანილია 271 განცხადება, ანუ ეს ბავშვები თანახმანი არიან, ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები,"** – განაცხადა დავით თელიამ.

## აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო სწავლების დროს რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა

აფხაზეთში მიმდინარე ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლების ფარგლებში ჩატარებული საპარაშუტო მომზადებისას რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის უწყებასთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, რუსი ეროვნების სამხედრო მოსამსახურე "ან-2" ტიპის თვითმფრინავიდან (ე.წ. "კუკურუზნიკიდან") პარაშუტიდან ხტომისას, ეშერა-გუმისთის მიდამოებში ხმელეთზე დაშვების ნაცვლად, ზღვაში ჩავარდა.

იმავე წყაროს ცნობით, მაშველებმა ღია ზღვაში მხოლოდ მედესანტის ტანსაცმლის ნაწილები და ჩაფხუტი იპოვეს.

დაზუსტებული ინფორმაციით, აფხაზეთში მიმდინარე ფართომასშტაბიან სამხედრო სწავლებებში, რომელიც 21 აპრილს დასრულდება, რუსეთის სამხედრო მაღალჩინოსნების გარდა, აფხაზეთის თავდაცვის უწყებაში მომსახურე, რუსეთის მოქალაქეები მონაწილეობენ.

იმავე წყაროს ცნობით, უკანასკნელი წლის განმავლობაში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის უწყებაში კონტრაქტით დაქირავებული რუსი სამხედრო მოსამსახურეების რიცხვმა საგრძნობლად იმატა. **ინტერ-პრესი**

## ოსები პრეზიდენტ სააკაშვილის საჩუქარმა გაახარა

ფრონეს ხეობაში მცხოვრებ ოსებს დიზელის საწვავი დაურიგდათ. აკვანეთის და კიმათის მოსახლეობა ქართულ სოფელში დილიდან შეიკრიბა, რათა პრეზიდენტ სააკაშვილის საჩუქარი მიეღო.

ცხინვალის ხელისუფლება პრეზიდენტის საჩუქართან დაკავშირებით პროტესტს გამოთქვამდა, მაგრამ ოსების უმრავლესობა დიზელის საწვავის მიღებას არ შეუშინდა.

"არ მეგონა, თუ ოსი მოსახლეობისგან ასეთი გამოხმაურება იქნებოდა. საკმაოდ დიდი, ცოცხალი რიგია საწვავის მისაღებად, რაც იმის მომასწავებელია, რომ ცხინვალი შესაძლოა, მართლაც მშვიდობიანი გზით დავიბრუნოთ," - აცხადებს შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი.

დიზელის დარიგებას ის სხვა სოფლებშიც გეგმავს. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს სტანისლავ ლაკობას ბრალდებას პასუხობს. შამბას თქმით, მისი მონაწილეობა ჟენევის მოლაპარაკებებში და შემდეგ სამხრეთ ტიროლში ჩასვლა კომპრომისს არ ნიშნავს.

"რვა წელია, რაც მოლაპარაკებებში ვმონაწილეობ და კომპრომისი არც ერთხელ არ დამიშვია. კომპრომისი 1994 წელს დაუშვეს, როცა ხელი მოაწერეს ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების აღდგენასა და დევნილთა დაბრუნებაზე. ამ დოკუმენტზე ხელმომწერი ხალხი დღეს მე მიყენებს ბრალს, რაც აბსურდია," - აცხადებს სერგეი შაბმა. ცნობისთვის: სტანისლავ ლაკობამ შამბა აფხაზეთისთვის ტიროლის ავტონომიური მოდელის გაზიარებაში დაადანაშაულა. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტმა 2005 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა, რომელიც დაახლოებით 22 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა. პარლამენტს ბიუჯეტის პროექტი დასამტკიცებლად ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა ბესლან კუბრავამ წარუდგინა. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ 2005 წლის ბიუჯეტი მწირი ეკონომიკური შესაძლებლობების პირობებში შეადგინა და წელს ის, შარშანდელის მსგავსად, დეფიციტური იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მარნეული.** მარნეულში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციის დელეგატებმა მარნეულის ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე კვლავ ზაზა დეკანოიძე აირჩიეს.

ყრილობას მარნეულის რაიონის გამგეობის არც ერთი "ნაციონალი" წევრი არ დასწრებია, მათ შორის, არც გამგებელი ამირან შუბითიძე.

"მე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტიური წევრი ვარ," - განაცხადა ამირან შუბითიძემ და კონფერენციაზე მიუსვლელობის მიზეზად მოუცლელობა დაასახელა. მარნეულის რაიონის გამგებელის თქმით, ის დილიდან თათბირს ატარებდა, შემდეგ კი საბაჟო პუნქტზე სოფლის მეურნეობის მინისტრსა და პარლამენტარებს მასპინძლობდა.

თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ამირან შუბითიძისა და გამგეობის თანამშრომელთა ყრილობაზე მიუსვლელობის მიზეზი გამგებელსა და ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარეს შორის არსებული დაპირისპირება გახდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სუუამ-ის სახელმწიფოთა მეთაურების სამიტზე დასასწრებად, 22 აპრილს კიშინიოვში გაემგზავრება.

სამიტში უკრაინის, მოლდოვას, საქართველოს და აზერბაიჯანის პრეზიდენტები მიიღებენ მონაწილეობას. სამიტი მუშაობას იმავე დღეს დაიწყებს და შემაჯამებელ დეკლარაციასაც მიიღებს.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სუუამ-ის თავმჯდომარეობას მოლდოვას პრეზიდენტს ვლადიმერ ვორონინს გადასცემს, რის შემდეგაც რიგ შეთანხმებებს მოეწერება ხელი.

მიხეილ სააკაშვილი საქართველოში იმავე დღეს დაბრუნდება. **ინტერ-პრესი**




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ოზურგეთელ ნაციონალებში თანხმობამ დაისადგურა

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

ოზურგეთის რაიონული გამგეობის შენობაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაციის რაიონული კონფერენცია გაიმართა.

ნაციონალების გურიის შტო აქტიურად მონაწილეობდა როგორც რევოლუციურ პროცესებში, ისე აჭარაში მიმდინარე მოვლენებში. რევოლუციის შემდგომ განხეთქილებამ იჩინა თავი, რაც გარეგნულად იმით აისახა, რომ პარტია სამად გაიყო და ქ. ოზურგეთში ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე ერთმანეთთან დაპირისპირებული ნაციონალების სამი ოფისი ფუნქციონირებდა. ამჟამად შიდაპარტიული დაპირისპირება დაძლეულია, ნაციონალებს ერთი ოფისი აქვთ.

რაც შეეხება პარტიულ კონფერენციას, იგი ორიგინალურად წარიმართა, არ იყო მოხსენებები და კამათი, სანცვლოდ უხვად იყო წარმოდგენილი ვიდეოსაილუსტრაციო მასალა. თავდაპირველად ეკრანიდან კონფერენციის მონაწილეებს საქართველოს პრეზიდენტი მიესალმა. მიწის გადასახადის გაუქმება, საპენსიო და სახელფასო დავალიანებების გასტუმრება, მიწათმოქმედთა ერთი ნაწილის დიზელის საწვავით დასაჩუქრება, კორუმპირებულთა ექსპროპრიაცია და ა.შ. - ეს იყო ოპტიმისტური გამოსვლა, რომელსაც დარბაზმა ტაში შეაგება.

შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ბატონ ზურაბ ჟვანიას ხსოვნას. კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი და პარტიის აღმასრულებელი მდივანი დავით კირკიტაძე, პარლამენტის ვიცესპიკერმა, ფაქტობრივად, პრეზიდენტის გამოსვლის თემა განავრცო და ქვეყნის აღმშენებლობის ძირითად პრინციპებზე ისაუბრა; ბატონმა კირკიტაძემ კი უფრო ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის საქმიანობის ავ-კარგს გაუსვა ხაზი. პარტიის ერთსულოვნება კი რამდენიმე წუთში გამოჩნდა, როცა პარტიის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ვლადიმერ სურგულაძე.

# საქართველოს პრემიერ-მინისტრი შესაძლოა, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერს შეხვდეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი შესაძლოა, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერს ედუარდ კოკოითს 21 აპრილს, კონფლიქტის ზონაში დაგეგმილი ვიზიტის დროს შეხვდეს.

21 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრი დიდი ლიახვის ხეობაში ჩასვლას ცხინვალის გავლით გეგმავს. ზურაბ ნოღაიდელი კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებს მოინახულებს.

დღეს "ინტერ-პრესთან" საუბრისას საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს შორის შეხვედრის 21 აპრილსვე გამართვის შესაძლებლობა არ გამორიცხა.

ხაინდრავას თქმით, დღეს ცხინვალში სამხრეთ ოსეთის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრთან ბორის ჩოჩიევთან გამართულ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ოსურს ნოღაიდელი-კოკოითის გაცნობითი შეხვედრის 21 აპრილსვე გამართვა შესთავაზა.

"შედგება თუ არა ნოღაიდელი-კოკოითის შეხვედრა, ედუარდ კოკოითზეა დამოკიდებული, ვინაიდან შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეთა აზრით, ეს შეხვედრა აუცილებლად უნდა გაიმართოს და მხარეთა წარმომადგენლებმა 2004 წლის 5 ნოემბერს საქართველოს ყოფილ პრემიერს ზურაბ ჟვანიასა და ედუარდ კოკოითს შორის სოჭში მიღწეულ შეთანხმებათა რეალიზაციის პერსპექტივები უნდა განიხილონ," - აღნიშნა მან. **ინტერპრესი**

# ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

**რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.**





## სამართლდება: ჯოყოლა ვაჟა-ფშაველას "სტუმარ-მასპინძლიდან"

**ბრალდებული** - ჯოყოლა
**მოსამართლე** - გაგა გოზრონიძე

**ბრალმდებელი - გაგა ლომიძე, ფილოლოგი:** სახელმწიფოში არ შეიძლება ყველა პიროვნება იყოს. ჯოყოლას გამართლება საზოგადოების მიერ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ აზროვნებს სახელმწიფოებრივად.

**ადვოკატი - ზურაბ კიკნაძე, ფილოლოგი:** თემმა, ანუ სახელმწიფომ არ უნდა შეცვალოს თავისი კანონები, მაგრამ უნდა არსებობდნენ პიროვნებები, რომლებიც ამ წესებს შეეწინააღმდეგებიან. ეს ღალატად არ ჩაითვლება. საზოგადოება მხოლოდ ამ შემთხვევაში განვითარდება.

**ვერდიქტი:** თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა(ცხრა სამის წინააღმდეგ) გამოიტანა ვერდიქტი - ჯოყოლა არ არის დამნაშავე

**კითხვა: დამნაშავეა თუ არა ჯოყოლა?**

| | |
|---|---|
| 1. ელეონორა (დამნაშავეა) | 7. აღაზა (უდანაშაულოა) |
| 2. ანონიმი (დამნაშავეა) | 8. ნინო ჩიქოვანი (უდანაშაულოა) |
| 3. ლერი (უდანაშაულოა) | 9. ნუკრი ობოლაძე (უდანაშაულოა) |
| 4. ანონიმი (უდანაშაულოა) | 10. ალექსანდრე (უდანაშაულოა) |
| 5. ომარ თავდგირიძე (უდანაშაულოა) | 11. მიხეილი (უდანაშაულოა) |
| 6. რობერტ ურუშაძე (უდანაშაულოა) | 12. გიორგი (დამნაშავეა) |

# „ეს ყველაფერი ისეთ სახელმწიფოში ხდება, სადაც მთავრობა არ იპარავს"

## პრეზიდენტი მომავალ იურისტებს შეხვდა

სოფო ბუკია

*სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 10 სტუდენტი, მომავალი წლიდან, სახელმწიფოს დაფინანსებით, სწავლას საზღვარგარეთ გააგრძელებს. ამის შესახებ პრეზიდენტმა სააკაშვილმა გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა. შეხვედრა პრეზიდენტის ინიციატივით გაიმართა.*

პრეზიდენტის სტუმრობის ამბავი სტუდენტებმა გუშინ გვიან საღამოს შეიტყვეს. საპრეზიდენტო გამოსვლისთვის ყურისგდების მსურველთა დიდი უმრავლესობა უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში ვერ მოხვდა - დარბაზი ყველა მსურველს ვერ დაიტევდა და თანაც უნივერსიტეტში შესასვლელად წინასწარ შედგენილი სიები მოქმედებდა.

**"რატომ არ მატარებთ, მე აქ ვსწავლობ, იურიდიულ ფაკულტეტზე,"** – ბოლო ხმაზე გაჰკიოდა კორპუსის შესასვლელთან სტუდენტი გოგონა. **"იურისტი თუ ხართ, ქალბატონო, მაშინ როგორ არ გესმით, რომ სიის გარეშე ვერ შეგიშვებთ,"** – განუმარტა დაცვის თანამშრომელმა.

იღბლიან სტუდენტებს, რომლებიც დარბაზში მოხვდნენ, პრეზიდენტმა საკმაოდ ემოციური და თეატრალიზებული მონოლოგი მოუმზადა. "ასეთ გვიან დროს" (შეხვედრა საღამოს ათის ნახევარზე გაიმართა) სავსე დარბაზით მოხიბლულმა პრეზიდენტმა სტუდენტები შეაქო, რომ დისკოთეკაზე წასვლას პრეზიდენტის მოსმენა ამჯობინეს. **"არ არის დისკოთეკა? ხო, "აჭარა მიუზიკ ჰოლი" დავხურეთ, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ იყო,"** – ერთადერთხელ იმართლა თავი პრეზიდენტმა.

სააკაშვილმა გუშინ ის დრო გაიხსენა, როცა იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. **"მე მაშინაც ხშირად ვხვდებოდი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს. თავდაპირველად მათ სჯეროდათ, რომ ქვეყანაში რამე შეიცვლებოდა, მაგრამ შემდეგ ცინიკურები გახდნენ... დღეს მე თქვენს სახეებზე იმედს ვხედავს, მიხარია თქვენი იმედიანი სახეები,"** – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, უიმედონი დღეს მხოლოდ ბრმები უნდა იყვნენ.

**"ნუთუ ვერ ხედავთ, რამდენი ფუნქცია დაიბრუნა დღეს სახელმწიფომ?"** – იკითხა პრეზიდენტმა. "სახელმწიფოს მიერ დაბრუნებულ ფუნქციათა" ჩამონათვალში მოხვდა საპატრულო პოლიცია, რომელიც, პირველად საქართველოს ისტორიაში, ქრთამს აღარ იღებს; საავტომობილო გზების გამართვა, რაც არ მომხდარა ასევე 15 წლის განმავლობაში (პრეზიდენტის თქმით, გზების დასაგებად 600 მილიონი ლარი დაიხარჯება); გარე განათებებზე ზრუნვა (პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ ერთ წელიწადში თბილისის ქუჩები 70 პროცენტით განათდება); ეროვნული სიმბოლიკისადმი პატივისცემა (აქ პრეზიდენტმა გაიხსენა 9 წლის სომეხი გოგონა, რომელმაც საქართველოს ჰიმნის ტექსტი ზეპირად იცოდა); უფასო სასწრაფო დახმარება; უფასო მშობიარობა; გლეხებისთვის დარიგებული დიზელის საწვავი; ქართული არმიის ფეხზე დაყენება; მილიარდ რვაას მილიონამდე გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტი; რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის შესაძლო პერსპექტივა.

**"ეს ყველაფერი ისეთ სახელმწიფოში ხდება, სადაც მთავრობა არ იპარავს,"** – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. "ცინიკოსთა და სკეპტიკოსთა თვალის ასახელად" პრეზიდენტს არც იმის შეხსენება დავიწყებია, რომ დედაქალაქში შენობათა ფასადების მოპირკეთება მიმდინარეობს. **"გუშინ შვიდჯერ მოვისმინე ტელევიზორში, რომ, თურმე, ის ფერი არ შეგვირჩევია, რომელიც ვიღაცას მოსწონს და, თურმე, ვანადგურებთ და ვამახინჯებთ ქალაქს და ამაზე საშინელება, თურმე, არაფერი მომხდარა. გზებს იმიტომ აგებს და შენობებს იმიტომ ღებავს, რომ ბუში ჩამოდისო - ასე ამბობენ ზოგიერთები... ბუში, რა, ამ გზებს ზურგზე მოიკიდებს და სახლში წაიღებს? ძალიან მაინტერესებს, ეს ზოგიერთები რას იტყვიან, როცა 11 მაისსაც გაგრძელდება ამ გზების დაგება? მინდა ყველამ იცოდეს, რომ მე ამ საქმეს არ შევეშვები მეორედ მოსვლამდე... არა, ბუშის მეორედ მოსვლამდე კი არა... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ დანგრეული უნდა აღდგეს,"** – არ დამალა ემოცია მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც გუშინ პრეზიდენტმა აღნიშნა, სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 10 სტუდენტი მომავალი წლიდან სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლას საზღვარგარეთ გააგრძელებს. პრეზიდენტის თქმით, პროკურატურის ანგარიშზე დარჩა 340 000 ლარი, რომელიც კორუმპირებული ჩინოვნიკებისგან ამოიღეს და სტუდენტების სასწავლებლად წასვლა ამ თანხით დაფინანსდება.

**"თქვენ - თითოეული და ერთად აღებული - ხართ ქართული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები. თუ საჭიროა, ვიჩხუბოთ, არ დავეთანხმოთ ერთმანეთს, მაგრამ საქართველოსთვის უნდა გავერთიანდეთ და ჩვენი მთავარი ამოცანა - ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ყველამ ერთად, მშვიდობიანი გზით უნდა გადავჭრათ!"** - განაცხადა პრეზიდენტმა. მისი თქმით, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას საქართველო მხოლოდ მშვიდობიანი გზით ეცდება.

გუშინდელ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი სტუდენტებს კანცელარიაში 2-3 კვირაში მიიღებს და მათ მიერ დაყენებულ საკითხებზე იმსჯელებს. როგორც "24 საათთან" საუბარში სტუდენტებმა აღნიშნეს, პრეზიდენტთან შეხვედრისას ისინი უფრო მეტს ისაუბრებენ საუნივერსიტეტო პრობლემებზე, განსაკუთრებით კი - სტიპენდიაზე. **"სტიპენდიის პრობლემა მოუგვარებელია და ეს ძალიან გვაწუხებს... რაც შეეხება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს, ვთვლი, რომ ჩვენ სწორი გზით მივდივართ. ეს არის მთავარი, აბა, ერთ დღეში რომი არ აშენებულა,"** – ამბობს იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ანა ქებაძე.

# "სისულელეა იმის თქმა, რომ ჯარში პრობლემები არ გვაქვს"

პირველი გვერდიდან

**დაცვის მეშვეობით აღმოვაჩინე, რომ გორში ერთ-ერთ ოფიცერს გახსნილი ჰქონდა ჯართის მიმღები პუნქტი და ოთხი თვის განმავლობაში თავის ჯარისკაცს ჯართის დატვირთვაზე ამუშავებდა."** მინისტრის განცხადებით, მსგავსი ინფორმაციების პრესისთვის მიწოდება მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა, დილემის წინაშე რომ არ იდგეს: **"მიძნელდება გადაწყვეტილების მიღება, რა დოზით გავავრცელო ინფორმაცია. როგორც კი ჯარის თემაზე აჟიოტაჟი იწყება, ჯარში წამსვლელთა რიცხვი კლებულობს."**

როგორც ოქრუაშვილის გუშინდელი საუბრიდან გაირკვა, საქართველოში ჯარს მხოლოდ აჟიოტაჟის შემდეგ როდი ტოვებენ. ბოლო წლებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯარში სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად მიდის და ხელის მოთბობის შემდეგ იქაურობას ტოვებს. ეს, ბუნებრივია, სახელმწიფოს სერიოზულ პრობლემებს უქმნის: **"საჩხერის ბატალიონი გაიწვრთნა, მოიარა ერაყი, საიდანაც ჯარისკაცებმა ჩამოიტანეს დანაზოგი ექვსი-შვიდი ათასი დოლარის ოდენობით და სახლში წავიდნენ. იმიტომ, რომ ამ თანხით ბიზნესის წამოწყება შეიძლება. იგივე პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით, როცა ერაყიდან დანარჩენი დანაყოფები დაბრუნდებიან."**



თავდაცვის მინისტრის სამახსოვრო ფოტო ჟურნალისტებთან.

როგორც გუშინ ირაკლი ოქრუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, სახელმწიფომ პრობლემა შემდეგნაირად გადაჭრა: ახალ რეკრუტებს ხელშეკრულებაში მკაცრი პირობები წაუყენა. კერძოდ, თუ ჯარისკაცი ჯარს ოთხ წელზე უფრო ადრე დატოვებს, გადაიხდის ჯარიმას, რომლის მაქსიმალური ღირებულება 14 ათას ლარს შეადგენს. ოქრუაშვილის ინფორმაციით, ამგვარი ხელშეკრულების პირობებში, დაახლოებით ასამდე ადამიანმა, სამწლიანი სწავლების გავლის შემდეგ, კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა.

ოქრუაშვილმა გუშინ გააკეთა განცხადებები საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივაზე: **"დარწმუნებული ვარ, საქართველოს აქვს პერსპექტივა, რომ 2006 წლის ბოლოსთვის ნატო-ს წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღოს. ამის შემდეგ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა დაგვჭირდება ნატო-ში გასაწევრიანებლად."**

დიალოგს მოჰყვა ე. წ. მეორე განყოფილება - სადილზე პრესის წარმომადგენლებმა ჯარისკაცების მენიუ დააჭაშნიკეს. შემდეგ მინისტრმა ოქრუაშვილმა, რომელიც ბოლო ხანებში ხშირად არის ჟურნალისტების სამიზნე, მასმედია სასროლეთზე დაპატიჟა. ბოლოს ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ, მინისტრისთვის ექსკლუზიური შეკითხვები დაესვათ.

"24 საათის" შეკითხვა: **"არაოფიციალური ინფორმაციით, ერთ-ერთი რბენის დროს რეზერვისტმა ინფარქტი მიიღო და გარდაიცვალა. შეეფერება თუ არა ეს ინფორმაცია სინამდვილეს?"**

მინისტრის პასუხი: **"ის პიროვნება გარდაიცვლა არა რბენისას, არამედ რეზერვისტთა ბანაკში. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებდა. იგი ქარელის მკვიდრი იყო და, რამდენადაც ვიცი, ინსულტით გარდაიცვალა."**

# პარლამენტი ანონიმურ ზარამდე...

გიორგი ასანიშვილი

ვიდრე საკანონმდებლო ორგანოში გუშინ ცრუ განგაში გამოცხადდებოდა, დეპუტატები ნაყოფიერად შრომობდნენ. პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების შესახებ", რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და იჯარით გაცემული მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებს. კანონის საბოლოოდ მიღების შემდეგ, მეიჯარეებს მიწის გამოსყიდვის უპირატესი უფლება მიენიჭებათ.

შესაძლებელი იქნება განვადებით მიწის შესყიდვაც. ამ შემთხვევაში, მეიჯარე მიწის ღირებულებას, მაქსიმუმ, 9 წლის განმავლობაში დაფარავს. თუ თანხის გადახდა სამ წელიწადში მოხდება, მაშინ მეიჯარე მიწის ღირებულების მხოლოდ 75 პროცენტს გადაიხდის. აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, იკრძალება სასაზღვრო ზოლში განთავსებული მიწების პრივატიზება.

გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ოპოზიცია კიდევ ერთხელ შეეცადა სამედიცინო კოლეჯთან დაკავშირებული პრობლემატიკის წინა პლანზე წამოწევას: "კონსერვატორების" დაჟინებული მოთხოვნით, კენჭისყრაზე დადგა მათ მიერვე შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც საუნივერსიტეტო კოლეჯის სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას გულისხმობს.

"კონსერვატორების" სიჯიუტემ პარლამენტის თავმჯდომარის გაოცება გამოიწვია, რადგან, ნინო ბურჯანაძის თქმით, ვინაიდან სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეებმა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების მზადყოფნა გამოთქვეს, ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი აზრს კარგავს. ამიტომაც მოუწოდა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებებისთვის მხარი არ დაეჭირათ.

მოწოდებამ შედეგი გამოიღო: კანონპროექტს მხოლოდ 64-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, რაც დოკუმენტის მისაღებად საკმარისი არ აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, კანონპროექტის ინიციატორები კენჭისყრის შედეგებით კმაყოფილები იყვნენ.

**"ოპოზიციის მიერ ინიცირებულ არც ერთ კანონპროექტს დღემდე ამდენი ხმა არ მიუღია. როგორც ჩანს, საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით უკმაყოფილოთა რიცხვი იზრდება,"** - თავისთვის სასიამოვნო დასკვნებს აკეთებს კახა კუკავა. მისივე თქმით, სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეთა ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

გუშინდელ სხდომაზე საკმაოდ აქტიურობდა კიდევ ერთი "კონსერვატორი" ზვიად ძიძიგური.

**"მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20 მილიონი ლარია გამოყოფილი გამრიცხველიანებისთვის, ადგილობრივი ენერგოკომპანიების ხელმძღვანელობა ქუთაისში, წყალტუბოსა და სამტრედიაში მოსახლეობისგან 30-30 ლარს აგროვებს,"** - აცხადებს ოპოზიციონერი პარლამენტარი და მოითხოვს, რომ ახსნა-განმარტებისთვის სამთავრობო საათზე მოიწვიონ ფინანსთა და ენერგეტიკის მინისტრები.

პრეტენზიები აქვს "მემარჯვენე ოპოზიციასაც". მისი წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე იმით არის აღშფოთებული, რომ თბილისში შენობები "არანორმალური ფერებით" ილებება და დედაქალაქის იერ-სახეს ამახინჯებს.

ჩიხრაძის შენიშვნას ნაწილობრივ ნინო ბურჯანაძეც ეთანხმება, რომელიც ადასტურებს, რომ ზოგიერთი შენობა მართლაც უცნაურ ფერად ილებება.

**"პრეზიდენტის აზრიც თითქმის ასეთივეა. ამიტომ, ასეთი შენობები, მაგალითად, ბავშვთა ხელოვნების გალერეის შენობა, ხელმეორედ გადაიღებება,"** - დასძენს პარლამენტის თავმჯდომარე.

# პარლამენტის პარალიზებისთვის ერთი სატელეფონო ზარი საკმარისია



ლევან ხერხეულიძის ფოტო

დეპუტატები დიდხანს ელოდნენ, როდის დაამთავრებდნენ მუშაობას გამნაღმველები.

პირველი გვერდიდან

**"სამ წუთში პოლიცია მეტროს სადგურ "თავისუფლების მოედანთან" მივიდა, მაგრამ ცრუ შეტყობინების ავტორმა სამართალდამცველებს, სავარაუდოდ, მეტროში ჩაასწრო,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, საკანონმდებლო ორგანო ყველაზე ბოლოს პარლამენტის სპიკერმა დატოვა. ნინო ბურჯანაძე ვარაუდობს, რომ **"აღნიშნული პროვოკაცია საერთაშორისო არენაზე საქართველოს, როგორც სტაბილური ქვეყნის, იმიჯის შელახვისკენ და აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტის ჩაშლისკენ იყოს მიმართული."** ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარე კატეგორიულად გამორიცხავს ჯორჯ ბუშის საქართველოში სტუმრობის ჩაშლის შესაძლებლობას.

თავისი "ვერსია" გააჩნდათ პარლამენტის შენობის წინ თავმოყრილ ცნობისმოყვარე გამვლელებს. **"დეპუტატებს მუშაობა ეზარებათ და განგაშიც მაგათივე ატეხილია,"** - აცხადებდნენ ისინი.

ნათქვამია, თუ სახლი გეწვის, ხელი უნდა მოითბოო. როგორც ჩანს, სწორედ ამ ლოგიკით მოქმედებდნენ გუშინ "კონსერვატორები", რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არ ტოვებდნენ "დანაღმული" პარლამენტის შენობას.

**"სად უნდა წავიდეთ! ძალაუფლება თავისით ჩაგვივარდა ხელში - პარლამენტში, ჩვენ გარდა, აღარავინ დარჩა,"** - "ხელისუფლებაში მოსვლით" "ტკბებოდა" კახა კუკავა, მაგრამ ვინაიდან სული ტკბილია, მოგვიანებით, მანაც იკადრა და შენობიდან გამოვიდა.

# "გაყინული" პენსია აღარ იარსებებს

ნონა მაისურაძე
სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

*სულ მალე პენსიონერებს ხელისუფლების გაკრიტიკების ერთი და ძალზე მნიშვნელოვანი მიზეზი ხელიდან გამოეცლებათ. სავარაუდოდ, ივნისისთვის მთავრობას არც ერთი პენსიონერის ვალი აღარ ექნება. საპენსიო დავალიანება, რომელიც ყბადაღებული თემა იყო წლების მანძილზე და ბევრი პარტიისთვის ამ საკითხის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი ქულების დაგროვების საბაბს წარმოადგენდა, ერთხელ და საბოლოოდ აღმოიფხვრება.*

პენსიონერების სრული უიმედობა, რომ 1998 წლიდან დარჩენილ დავალიანებას მთავრობა ვერასოდეს დაფარავდა, არ გამართლდა. რა ხერხს არ მიმართა წინა ხელისუფლებამ იმისათვის, რომ პენსიონერები გაეჩუმებინა და დავალიანება ხან ფქვილით, ხან სხვა პროდუქტების სახით დაეფარა, მაგრამ ვალი ვალად რჩებოდა. სახელმწიფოს მილიონობით თანხა მხრებზე აწვა. სხვა თუ არაფერი, ახალმა ხელისუფლებამ ეს პირობა მაინც შეასრულა პირნათლად და პენსიონერებს სულის მოთქმის საშუალება მისცა. 130 მილიონამდე საპენსიო დავალიანება საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა წელიწადნახევარში დააფინანსა. ახალი სქემის მიხედვით, ფონდი, უახლოეს მომავალში ვალებისაგან საბოლოოდ გათავისუფლდება.

2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქვეყანაში არსებული საპენსიო დავალიანება 130 337 ათას ლარს შეადგენდა. გასულ წელს ფონდმა დავალიანების გასტუმრება დაიწყო და ყოველთვიურად, პენსიის დროულად გაცემასთან ერთად, საპენსიო დავალიანებებსაც ისტუმრებდა. 2004 წელს საპენსიო დავალიანების დაახლოებით 65 პროცენტი დაიფარა და მიმდინარე წლის დასაწყისისთვის ვალი 47 822 ათას ლარამდე შემცირდა.

დადებითი ტენდენცია 2005 წელსაც გაგრძელდა. საქართველოს მასშტაბით ყველას, ვისაც საპენსიო დავალიანება ჰქონდა, თებერვალში და მარტში, მიმდინარე პენსიასთან ერთად, 4 თვის დავალიანება დაურიგდა (თებერვალში - ორი თვის, მარტში - ორი თვის).

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში დარჩენილია საპენსიო დავალიანება 29 მილიონ 570 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, აპრილში პენსიონერები მიმდინარე პენსიასთან ერთად, კიდევ ორი თვის დავალიანებას მიიღებენ.

აღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ, ფონდში, რეგრესული პენსიების გარდა, დარჩება 12 მილიონ 752 ათასი ლარის საპენსიო დავალიანება, რომელიც ივნისამდე სრულად დაიფარება.

დღევანდელი მდგომარეობით, საპენსიო დავალიანება სრულად დაფარულია შემდეგ რაიონებში: აბაშა, ასპინძა, ახალგორი, აჭარის ყველა რაიონი, ბორჯომი, დედოფლისწყარო, ლენტეხი, მესტია, მცხეთა, ნინოწმინდა, სამტრედია, საგარეჯო, ფოთი, ყაზბეგი, ცხინვალი, გალი და აფხაზეთის სხვა რაიონები. დავალიანება მიღებული აქვთ თბილისში მცხოვრებ დევნილებსაც.

დაგეგმილია იმ ნაწილობრივი სოციალური უსამართლობის გამოსწორება, რომელიც შეიძლება გამოეწვია დავალიანების დაფარვას პენსიაზე დანამატის მექანიზმით. როგორც ცნობილია, 2004 წლის 19 აპრილის დადგენილებით, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება პენსიონერთა მიმართ ბოლო წლებში დაგროვილი საპენსიო დავალიანება ეტაპობრივად დაეფინანსებინა. ამ მიზნით, 14 ლარის მიმღებ პენსიონერებს 2004 წლის აპრილიდან დაუწესდათ დანამატი 3 ლარის, ხოლო მაისიდან 4 ლარის ოდენობით, 25 ივნისის დადგენილებით კი, აღნიშნული დანამატის გარდა, დაუწესდათ დანამატი 2 ლარის ოდენობით. ამ მექანიზმით დავალიანების გადახდამ წარმოქმნა ის ნაწილობრივი სოციალური უსამართლობა, რის შედეგადაც დავალიანების მქონე პენსიონერები, ერთი მხრივ, დაზარალდნენ – პენსია მოემატა ყველას, მაგრამ ნაწილს - საკუთარი დავალიანების ხარჯზე. აღნიშნული თანხა 23 მილიონ 318 471 ლარს შეადგენს. ამ საკითხზე მომზადდა მთავრობის დადგენილება, რომლითაც დაგეგმილია, პენსიონერებს აუნაზღაურონ 2004 წელს გადახდილი თანხა, ანუ მათი მდგომარეობა დავალიანების არმქონე პენსიონერთა მდგომარეობასთან გაათანაბროს. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ხარჯებში გათვალისწინებულია თბილისში 2003 წლის დეკემბრის "გაყინული" პენსია, რომელიც 2004 წელს დანამატის სახით დაიფარა.

2004 წელს ფონდს არათუ ფინანსური, ტექნიკური შესაძლებლობაც არ ჰქონდა, რათა მსგავსი ღონისძიებები ჩაეტარებინა, რადგან არ არსებობდა პენსიონერების ერთიანი სრულყოფილი ბაზა და ამასთან, არაზუსტი იყო დავალიანების მქონე პირთა მონაცემები. ფონდის მიერ მის რაიონულ ფილიალებში ჩატარებული მასშტაბური საინვენტარიზაციო ღონისძიებების შედეგად, აღრიცხვიანობაში არსებული ხარვეზები გასწორდა, რის შედეგადაც, პენსიონერებისთვის დავალიანების სრულად გასტუმრება შესაძლებელი გახდა.

აპრილში ძალოვანი სტრუქტურის პენსიონერებისთვის, მიმდინარე საპენსიო ხარჯებთან ერთად, სრულად გაიცემა მათ მიმართ არსებული საპენსიო დავალიანება. ფონდმა გადარიცხა სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში დათხოვილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო დავალიანება - 3 მილიონ 970 ათასი ლარი. იმ რაიონებში, სადაც ს/ს "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" და შპს "საქართველოს ფოსტამ" სრულად ვერ წარმოადგინა ამონაწერები წინა წლების გაცემული და გაუცემელი პენსიების თაობაზე, დავალიანების დაფინანსება მოხდება ეტაპობრივად. პენსიონერებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ დაუკავშირდნენ ფონდის "ცხელ ხაზს" ტელეფონებზე: **69 65 93; 69 65 94** – 10.00-დან 18.00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

# ბავშვები ეხმარებიან ბავშვებს

ლეიკოზით დაავადებულ ბავშვთა დახმარების ფონდმა მორიგი ჰუმანიტარული აქცია განახორციელა. ამჯერად მისი პარტნიორი იყო გერმანული ორგანიზაცია "ბავშვები ეხმარებიან ბავშვებს", რომელმაც საქართველოში 16 ტონამდე ტვირთი გამოგზავნა. ტვირთი განკუთვნილია ლეიკოზით დაავადებულ ბავშვთა ცენტრისათვის, რომელიც კლინიკურ საავადმყოფო "რესპუბლიკაში" მდებარეობს. თანამედროვე საწოლებით, ლეიბებითა და სხვა ინვენტარით დატვირთული ორი კონტეინერი საავადმყოფოს გუშინ ნაშუადღევს მიადგა. ტვირთის გახსნაში პირადად მონაწილეობდნენ გერმანიის სამხედრო ატაშე საქართველოში რაინჰარდ რიდელი, საავადმყოფოს გენერალური დირექტორი ირაკლი სასანია და ლეიკოზით დაავადებულ ბავშვთა ფონდის ხელმძღვანელი მანანა ჩუბინიძე. დღეისათვის ცენტრში 30 ბავშვი მკურნალობს. **24 საათი**

## ვაკანსია

ამერიკული კომპანია Peocter&Gamble-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში, შპს "არტი" იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებოდაზე.

**აუცილებელი მოთხოვნები**

ა) ასაკი - 24 წლამდე.
ბ) განათლება - უმაღლესი.
გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის უფლებისმქონე კანდიდატებს.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

დაინტერესებულპირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ ფაქსზე: 94 18 94.

**ელ-ფოსტაზე: hr@arti.ge**

# ქველმოქმედების ახალი გზა

თამარ მაისურაძე

*კომპანია "ჯეოსელმა" ქველმოქმედების ახალ ხერხს მიმართა - უნიკალური ნომრების გაყიდვიდან შემოსული თანხა ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრს გადაერიცხება. პირველ აუქციონზე ერთი ნომერი 23 ათას ლარად გაიყიდა.*

აუქციონზე, რომელიც 17 აპრილს გაიმართა, გასაყიდად ორი უნიკალური ნომერი: 877 77 77 77 და 877 99 99 99, გამოიტანეს. "შვიდიანების" საწყისი ფასი 7 ათასი ლარი იყო, ხოლო "ცხრიანების" – 5 ათასი. "ჯეოსელი" ნომრის მომავალ მფლობელს სრულ ანონიმურობას ჰპირდებოდა, შემოსულ თანხას კი "ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრს" გადაურიცხავს.

"სოციალური ადაპტაციის ცენტრში" ქუჩის ბავშვებს მოუყრიან თავს. მათ იქ ექვსი თვის განმავლობაში აცხოვრებენ, პარალელურად, საკუთარ ოჯახში დაბრუნებასა ან ბავშვთა სახლში დაბინავებაზე იზრუნებენ. ცენტრი, რომელშიც რემონტი ახლახან დასრულდა, სავარაუდოდ, მაისში გაიხსნება და 70 მაწანწალა ბავშვის თავშესაფარი გახდება. აღსანიშნავია, რომ ქუჩის ბავშვების დროებით თავშესაფარს ყურადღებას ქვეყნის პირველი ლედი და სხვა კომპანიებიც აქცევენ.

**"ჩვენი ერთ-ერთი მთავარი**



*ოსმან თურანი და დავით აბზიანიძე.*

**გვერდში მდგომი ჯეოსელია,"** – აღნიშნა გუშინ "ჯეოსელის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ზაზა გოროზიამ. "ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი" ქალაქის მერიის დაქვემდებარებაშია.

როგორც "ჯეოსელის" გენერალური მენეჯერის ოსმან თურანისგან შევიტყვეთ, "შვიდიანები" 23 ათას ლარად გაიყიდა. მისი მფლობელი სააქციო საზოგადოება "სარაჯიშვილი და ენისელი" გახდა. რაც შეეხება "ცხრიანებს", მისი გაყიდვის ვადამ ერთი კვირით გადაიწია. ბოლო ინფორმაციით, ყველაზე დიდი განაცხადი, რომელიც ამ ნომრის შესაძენად დაფიქსირდა, 10 ათასი ლარია. **"ამ 23 ათასი ლარით ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრისთვის ავეჯს შევიძენთ, რომლის ნახვის შესაძლებლობაც უახლოეს დღეებში მოგეცემათ,"** – გვითხრა ზაზა გოროზიამ.

რაც შეეხება კომპანია "ჯეოსელის" ქველმოქმედებას, ოსმან თურანის თქმით, ამგვარი ღონისძიებები გაგრძელდება: **"ჩვენი ურთიერთობა ამ ბავშვებთან ამით არ დამთავრებულა. მათ გვერდით ვიქნებით, ვიდრე ცხოვრების ნორმალურ წესს არ დაუბრუნდებიან."** ქუჩის ბავშვები საქართველოს პრეზიდენტის ვაჟთან ერთად "ჯეოსტარის" კონცერტსაც დაესწრნენ. როგორც "ჯეოსელში" აცხადებენ, მსგავსი სოციალური ღონისძიებები ხელს შეუწყობს მათ განვითარებას.

რაც შეეხება **"სარაჯიშვილი-ენისელს",** ის არ წყვეტს ბავშვებთან ურთიერთობას. **"ვალდებულებას ვიღებთ, რომ ერთი წლის განმავლობაში უფასო კვებით უზრუნველვყოთ ცენტრში მცხოვრები ბავშვები,"** – "სარაჯიშვილი-ენისელის" გენერალური დირექტორის დანაბარები გადმოგვცა სააქციო საზოგადოების ხარისხის დირექტორმა დავით აბზიანიძემ, რომელმაც "ჯეოსელს" "ქველმოქმედების სწორი გზა" მოუწონა. მან აღნიშნა, რომ ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლები "ჯეოსელის" ნომრის შესაძენად მონახულმა ორიგინალურმა ფორმამ უფრო მოხიბლა, ვიდრე თავად ნომერმა. **"ვიცოდით, რომ ჩვენ მიერ გადახდილი თანხა სოციალურად დაუცველი ბავშვების კეთილდღეობას მოხმარდებოდა,"** – აღნიშნა მან.

# ომბუდსმენი ინვალიდობის სფეროში - შუამავალი ხელისუფლებასთან

*რამდენიმე დღეაა, თბილისში, სახალხო დამცველის ოფისში ინვალიდები შიმშილობენ. მიზეზად ხელისუფლებისაგან მათ მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციულ პოლიტიკას მიიჩნევენ. ალბათ, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს მსგავსი პროტესტის გამოხატვა არ დასჭირდებოდათ, ინვალიდობის სფეროში ომბუდსმენის ინსტიტუტი საქართველოშიც რომ არსებობდეს.*

ლელა მარგიანი

მსოფლიო საზოგადოებრიობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: მოხდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დეკლარირება საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებში, ამ კუთხით სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობების ფორმირება.

1993 წელს გაერო-მ მიიღო დადგენილება "თანაბარი უფლებების უზრუნველსაყოფად". დადგენილების მიღების შემდეგ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეიქმნა სპეციალური ინსტიტუტი, რომელიც სხვადასხვა სახის უნარშეზღუდვის მქონე ადამიანებს იცავს. ამავე დროს, 1999 წელს ძალაში შევიდა ევროკავშირის ამსტერდამის ხელშეკრულება, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებს ინვალიდობის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებს.

2000 წლის გაზაფხულიდან, გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისარიატმა იკისრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ძალადობის ფაქტების მონიტორინგზე პასუხისმგებლობა. ზემოხსენებული დოკუმენტები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის "ცხოვრების დონის ამაღლებას, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში დასაქმებას, განვითარების პირობების შექმნას."

საქართველოში, 1997 წლის მონაცემებით, აღრიცხულია 181 253 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ქვეყანაში, როგორც დემოკრატიული განვითარების გზაზე "შემდგარ" სახელმწიფოს მოეთხოვება, შექმნილია სათანადო საკანონმდებლო ბაზა: მოქმედებს კანონები "შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სოციალური დაცვის შესახებ" და "სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ." მიღებულია პარლამენტის დადგენილებები, პრეზიდენტის ბრძანებულებები, სოციალური და ჯანდაცვითი სახელმწიფო პროგრამები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებს იცავს სხვა კანონებიც. მათ შორის, "საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი" და კანონი "სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ."

ერთი სიტყვით, თითქოს ყველაფერი წესრიგშია. საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით, დაცულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზე რჩება. სინამდვილეში, არაფერი გაკეთებულა იმისათვის, რომ ამ კატეგორიის პირთათვის უზრუნველყოფილი გამხდარიყო "თანაბარი მონაწილეობა და თანაბარი უფლებები".

რეალურად, საქართველოში გაძნელებული და ხშირად შეუძლებელიც კია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის კანონით გათვალისწინებული უფლებების მიღება. ამის მიზეზი ხშირად არის არა მხოლოდ მათი ფიზიკური თუ ფსიქიკური მახასიათებლები, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ მათი უფლებების იგნორირება.

ყურადღება არ ექცევა ამ კატეგორიის პირთათვის თანაბარი მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. მათთვის ხელმიუწვდომელია ტრანსპორტით სარგებლობა და ისეთი საინფორმაციო და საგანმანათლებლო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა, როგორიცაა ბრაილის შრიფტი, სმენის აპარატები, სამგზავრო ეტლები.

ზემოხსენებული ფაქტორების გაუთვალისწინებლობა ართულებს, ხშირად კი, შეუძლებელს ხდის მათ თანაბარ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამით ირღვევა მათთვის უფლებებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობა, რაც ხშირად დისკრიმინაციის საფუძველი ხდება.

**"თუ ადამიანს უარი უთხრეს რესტორანში შესვლაზე ეთნიკური წარმომავლობის, აღმსარებლობის, ან სხვა განმასხვავებელი ნიშნის გამო, და თუ იგი განაცხადებს, რომ ის დისკრიმინაციის მსხვერპლია, მას სამართლიანად დაუჭერენ მხარს ადამიანის უფლებების დაცვაზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოება. მასმედიის რეაქციაც მძაფრი იქნება. მაგრამ თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის, რომელიც ეტლით სარგებლობს, იმავე რესტორანში "შეღწევა" შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შესასვლელთან არაა მოწყობილი ასასვლელი ბილიკი, ანუ პანდუსი, ეს დისკრიმინაციად არ მიიჩნევა და საზოგადოების მხრიდანაც ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება. ციურიხის აეროპორტში ინვალიდად სულაც არ ვგრძნობ თავს, მაგრამ საშინლად შეურაცხყოფილი და უმწეო ვარ თბილისის აეროპორტში, ჩვენს ქუჩებში,"** - გვითხრა არასამთავრობო ორგანიზაციის "ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაციის" ხელმძღვანელმა ქალბატონმა მადონა ხარებავამ. ზემოთქმულის მიზეზად კი, ქალბატონ მადონას ფიზიკური გარემოს ხელმიუწვდომლობა მიაჩნია. მისი აზრით, ეს დამოკიდებულება განპირობებულია შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მიმართ სახელმწიფოსა და საზოგადოების არაადეკვატური დამოკიდებულებით.

მასა და მის კოლეგებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში, არსებული ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება, თუკი განვითარებული, დემოკრატიული ქვეყნების მსგავსად შეიქმნება "ინვალიდობის სფეროში ომბუდსმენის ინსტიტუტი".

**"ვფიქრობთ, ჩვენს ქვეყანაში აუცილებლად უნდა არსებობდეს მსგავსი ინსტიტუტი. ჩვენმა ორგანიზაციამ, ევროკომისიის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში ნაყოფიერად იმუშავა. ჩვენ გავეცანით დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის, ირლანდიის, შვედეთის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, შვეიცარიის, დანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებას,"** - გვითხრა ქალბატონმა მადონამ, რომლისგანაც ისიც შევიტყვეთ, რომ შვედეთში ომბუდსმენი ინვალიდობაში არის შუამავალი სახელმწიფოსა და სპეციფიკურ ჯგუფს შორის. იქ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ომბუდსმენის ინსტიტუტი 1994 წლიდან არსებობს. ირლანდიაში 1980 წელს ამოქმედდა ომბუდსმენის ეროვნული ოფისი. ოფისს აქვს ფილიალები რეგიონებში. ყოველწლიურად ხდება 4 ათასამდე განცხადების მიღება.

**"ინგლისის მოდელი ცოტა სხვაგვარია. იქ არსებობს 12-15 წევრისგან შემდგარი კომიტეტი, რომელშიც წევრთა ნახევარზე მეტი ან თავად არის ინვალიდი, ან მჭიდრო შეხება აქვს ამ პრობლემასთან. ეს კომიტეტიც იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც შვედეთის ომბუდსმენი. იგი სახელმწიფოს აწვდის სტრატეგიულ გეგმას ამ ადამიანებთან მიმართებაში,"** - აგვიხსნა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა.

მისი ინფორმაციით, ორგანიზაციის წევრები საქართველოსთვის მისაღები მოდელის შესაქმნელად, უცხოური მოდელების პირდაპირ კოპირებას არ აპირებენ. ითვალისწინებენ ქვეყანაში არსებულ სიტუაციას, კერძოდ, იმ ფაქტორს, რომ საქართველოში კანონი არ ითვალისწინებს "ინვალიდობის სფეროში ომბუდსმენის ინსტიტუტის" არსებობას. მაგრამ, იმავდროულად, მიაჩნიათ, რომ "ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ორიენტირებული ომბუდსმენის საქმიანობა მნიშვნელოვანწილად შეამცირებს იმ კოლოსალურ დატვირთვას, რომელიც სახალხო დამცველის ოფისს აწევს და, რაც მთავარია, წაადგება თავად სამიზნე კონტინგენტს - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს.

მით უმეტეს, რომ ქვეყანაში უკვე არსებობს ჯანდაცვის ომბუდსმენი, იუსტიციის ომბუდსმენის ოფისი. საქართველოში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ძნელად წარმოსადგენია, რომ სადღეისოდ მოხერხდეს "ინვალიდობის სფეროში ომბუდსმენის ინსტიტუტის" ჩამოყალიბება, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს მათ მიერ ჩატარებული მრავალმხრივი სამუშაო და, რაც მთავარია, სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან შეხვედრები აძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ქვეყანაში უნდა არსებობდეს ომბუდსმენი, რომელიც უშუალოდ ინვალიდთა უფლებებზე იქნება ორიენტირებული. **"ალბათ, მაშინ საქართველოში მცხოვრები ინვალიდები იძულებული აღარ იქნებიან, საკუთარი უფლებები შიმშილობით "დაიცვან". მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში კი, საქართველოს მოქალაქეობაზე თქვან უარი და იმ ქვეყნების მოქალაქეობა მიიღონ, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები არა მხოლოდ ქაღალდზე, არამედ რეალურად დაცულია,"** - გვითხრა მადონა ხარებავამ.

## საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
## აცხადებს მიღებას 2005-2006 სასწავლო წლისათვის

შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამსახიობო - შემოქმედებითი ტურების გავლის შემდეგ დაიშვებიან გამოცდებზე სპეციალობაში;
ა/ სამსახიობო მონაცემების შემოწმება
ბ/ გასაუბრება ლიტერატურასა და ხელოვნების საკითხებზე
2. დრამის სარეჟისორო - ა/ წერა - შეთავაზებულ თემაზე, ბ/ გასაუბრება
3. დოკუმენტური კინოს რეჟისორი - აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტური ნარკვევი ან სცენარი (3 გვ.), 15 ფოტო, გამოცდა: ა/ წერა - შეთავზებულ თემაზე, ბ/ გასაუბრება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.
4. ტელერეჟისურა - აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს ნაშრომი (2-3 გვ.), ფოტოები ან ნახატები. ა/ წერა-შეთავაზებულ თემაზე, ბ/ გასაუბრება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.
5. კინო-ტელე-ვიდეო ოპერატორი - ა/ პრაქტიკული ფოტოების გადაღება, ბ/ გასაუბრება - ფოტოგრაფიის პროცესების, ოპტიკის და სხვა საკითხებზე.
6. თეატრმცოდნეობა - ა/ წერა - შეთავაზებულ თემაზე, გასაუბრება-ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებზე.
7. კინომცოდნეობა - ა/ წერა - ფილმის ჩვენება და შთაბეჭდილებების დაწერა, ბ/ გასაუბრება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.
9. ტურიზმის კულტურული მომსახურეობის მენეჯერი - ა/ გასაუბრება
10. შოუ ბიზნესის მენეჯერი - ა/ გასაუბრება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.
ყველა აბიტურიენტს მიეცემა ორწლიანი გამოცდის ქულათა ერთიანი ჯამი.
საბუთების მიღება დაიწყება 1 ივნისს - 25 ივნისამდე.
სამსახიობო ფაკულტეტზე ტურები დაიწყება 26 ივნისს.

წერებისთვის გამოყოფილია 3-4 საათი, სპეციალობის შესაბამისად.

უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას აბიტურიენტი განცხადებას წერს რექტორის სახელზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, მაგრამ არ მოხდება ჩარიცხვა სრული ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ან ატესტატის გარეშე. საჭიროა 6 ფოტოსურათი 3x4, სამხედრო მოწმობას აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

**უნივერსიტეტში აბიტურიენტს შეუძლია შეიძინოს ბუკლეტი მისაღები გამოცდების წესების შესახებ.**

**მომსახურების საფასური - 30 ლარი.**

**ცნობებისათვის მიმართეთ 99-75-41**

**მიმღები კომისია**

# HABEMUS PAPAM!

პირველი გვერდიდან

ახლანდელი კონკლავი უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ყველაზე ხანმოკლე გამოდგა – პონტიფიკოსის ასარჩევად კარდინალთა კოლეგიას დღე-ღამეზე ოდნავ მეტი დრო დასჭირდა, რაც აშკარად აქარწყლებს მანამდე გავრცელებულ ეჭვებს კათოლიკურ სამყაროში არსებულ უთანხმოებაზე – მორიგი, 265-ე პაპი კენჭისყრის მეოთხე ტურის შედეგად აირჩიეს. შეგახსენებთ, გასულ საუკუნეში ყველაზე სწრაფად (მესამე კენჭისყრით) აირჩიეს პიუს XII – 1935 წელს; ყველაზე დიდი დრო კი 1922 წელს პიუს IX-ს არჩევას დასჭირდა – მან მხოლოდ მე-12 კენჭისყრისას გაიმარჯვა; ასევე, რამდენიმე დღე დასჭირდა განსვენებული იოანე-პავლე მეორეს არჩევას – რვა კენჭისყრა. ასე რომ, ამჟამად კონკლავის სწრაფად დასრულება აშკარად მოულოდნელი იყო.

ბუნებრივია, ასევე, მოულოდნელი იყო რაცინგერის პაპად არჩევაც. მართალია, იგი კონკლავზე ყველაზე სავარაუდო კანდიდატის რანგში წარდგა, მაგრამ აქამდე, თითქმის, არც ერთ "პაპობილს" არ ღირსებია პონტიფიკოსის ტიარის დადგმა. წინამორბედი იოანე-





პავლე მეორეც ხომ უცნობი, აღმოსავლეთ ევროპელი კარდინალის სტატუსით შევიდა სიქსტის კაპელაში და იქიდან გამოსული სრულიად მოულოდნელად მოგვევლინა კათოლიკური სამყაროს მწყემსად. ასე რომ, რაცინგერის წინასწარი, ყველაზე მაღალი რეიტინგი არაფერს ნიშნავდა.

იოზეფ რაცინგერს უზარმაზარი გავლენა ჰქონდა არამარტო კათოლიკური ეკლესიის სხვადასხვა ინსტიტუტზე, არამედ თავად განსვენებულ პაპზეც – ის თეოლოგიურ საკითხებში პაპის პირად მრჩევლად ითვლებოდა; აქამდე ხელმძღვანელობდა ღვთისმეტყველების კონგრეგაციას (შუა საუკუნეებში ამ ორგანოს ინკვიზიციას უწოდებდნენ).

როგორც აღნიშნავდნენ, იოზეფ რაცინგერი ყველაზე "კონსერვატორი" კანდიდატი იყო დასახელებულ "პაპობილებს" შორის. "ჩვენ რელატივიზმის ბატონობისკენ მივექანებით, რომელიც არ ცნობს არაფერ ამაღლებულს და უმაღლეს ფასეულობად ინდივიდის ეგოსა და სურვილებს აღიარებს", - განაცხადა რაცინგერმა კონკლავის დაწყებამდე გამართულ მესაზე. მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იოზეფ რაცინგერის პაპად არჩევით კათოლიკურ ეკლესიაში ახალი "კონსერვატიული ხანა" დაიწყება. თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებებიც – შესაძლოა, ბენედიქტე XVI სულაც არ აღმოჩნდეს ისეთივე "კონსერვატიული" ხაზის გამტარებელი, როგორც იოზეფ რაცინეგერი იყო კონგრეგაციის ხელმძღვანელად მსახურებისას.

ახალ პონტიფიკოსს შაბათს 78 წელი შეუსრულდა. ალბათ, საპატიო ასაკი ხდიდა მას კომპრომისულ კანდიდატად, რომელსაც დაეთანხმა ეკლესიის ლიბერალური ფრთაც და კონსერვატორებიც. შესაძლოა, კარდინალთა არჩევანის "კონსერვატორ" ღვთისმსახურზე შეჩერება იმითაც იყო გამოწვეული, რომ იგი უპრეცედენტო პრივილეგიებით სარგებლობდა იოანე-პავლე მეორეს სიცოცხლეშივე.

თუმცა, არსებობს სხვა, გაცილებით ამაღლებული ახსნაც - კონკლავის შეკრებამდე ერთ-ერთი "პაპობილი", ჰონდურასელი კარდინალი, ოსკარ ანდრეს როდრიგეს მარადიაგა ამბობდა: "ხალხს ჰგონია, რომ კენჭისყრა ისევე ხდება, როგორც - არჩევნებზე. მაგრამ, ეს სულ სხვა რამეა. ჩვენ მოვუსმენთ უფალს და სულიწმინდას".

# აშშ-ს სახელმწიფო მდივანი მოსკოვს ეწვია



"ჩემი უმთავრესი გზავნილია: დემოკრატიული და აყვავებული რუსეთი ყველასთვის მომგებიანია".

პირველი გვერდიდან

რასაკვირველია, მოსკოვში რაისის ვიზიტის ფარგლებში აშშ-რუსეთის ურთიერთობებში უმთავრეს საკითხებზე მოლაპარაკების იმედი ოფიციალურ ვაშინგტონშიც აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსეთის მხარდაჭერის აუცილებლობიდან გამომდინარე, აშშ მკვეთრ განცხადებებს, ასე თუ ისე, ერიდება, კონდოლიზა რაისი მაინც ახერხებს კრემლის გაკრიტიკებას. **"უდავოა, რომ სხვა საპირწონე ინსტიტუტების ხარჯზე, ისეთის, როგორიცაა სახელმწიფო სათათბირო და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, პრეზიდენტის ინსტიტუტის გარშემო ძალაუფლების ცენტრალიზაცია შემაშფოთებელია. არანაკლებ საგანგაშოა დამოუკიდებელი მასმედიის არარსებობაც"**, - აღნიშნა კონდოლიზა რაისმა ჯერ კიდევ თვითმფრინავში. რუსეთში მასმედიის მდგომარეობის საკითხის წინ წამოწევა რაისს, წერილის მეშვეობით, სთხოვა ორგანიზაციამ "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე", სადაც ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის ფაქტებიც იყო დასახელებული. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის ტომ კეისის თქმით, მოლაპარაკებებისას განხილული იქნება, ასევე, ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომის მოსამზადებელი საკითხები.

დიდი სიფრთხილის მიუხედავად, არასასიამოვნო ინციდენტის თავიდან აცილება რუსეთის სპეცსამსახურებმა მაინც ვერ შეძლეს. ანონიმური ზარით ქალაქის ოპერატიულ სამსახურებს სასტუმროში "რენესანს-მოსკვა", სადაც აშშ-ს სახელმწიფო მდივანი უნდა გაჩერებულიყო, ასაფეთქებელი მოწყობილობის დამონტაჟების შესახებ აცნობეს, რის გამოც, რაისის კორტეჟმა მარშრუტი შეცვალა და, სასტუმროს ნაცვლად, რუსეთში აშშ-ს ელჩის რეზიდენციისკენ გაემართა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, განგაში უსაფუძვლო იყო. სატელეფონო ხულიგნობის მიუხედავად, კონდოლიზა რაისს ვიზიტის პროგრამა არ შეუცვლია.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ვიზიტის ფარგლებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს, საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვსა და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდება.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი მოსკოვის შემდეგ ვილნიუსს ეწვევა, სადაც ნატო-ს წევრი-ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდება.

# ბასკების ქვეყანა ესპანეთის შემადგენლობაში რჩება

კოტე ელიზბარაშვილი

კვირას ბასკეთში ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა ესპანეთის ხელისუფლებას გვარიანი მღელვარება მოუტანა. ბევრ ესპანელს აშინებდა "ბასკების სუვერენული, ესპანეთთან ასოცირებული სახელმწიფოს გეგმა", რომლის შესახებ ბასკების ავტონომიური ხელისუფლების მეთაური ხუან ხოსე იბარეჩე უკანასკნელ პერიოდში ხშირად საუბრობდა. თუმცა, 17 აპრილის საღამოს, ხმების პირველადი დათვლის შემდეგ, უკვე ცხადი გახდა, რომ მსგავსი საფრთხე კვლავ მხოლოდ ქაღალდზე დარჩება; გაქრა ესპანეთის სახელმწიფოს ნელ-ნელა დაშლის საფრთხეც – ბასკების მაგალითისთვის ხომ თავისუფლად შეიძლებოდა მიებაძათ, მაგალითად, კატალონიისა და გალისიის მდიდარი ავტონომიური ოლქების ნაციონლისტებსაც.

ბასკეთის ავტონომიური ოლქის (მდებარეობს ჩრდილოეთ ესპანეთში, საფრანგეთის მოსაზღვრედ) 2 მილიონი ამომრჩევლიდან მხოლოდ 66 პროცენტი მივიდა საარჩევნო უბნებში. ამას, გარკვეულწილად, უჩვეულოდ ცივმა და წვიმიანმა ამინდმაც შეუწყო ხელი (შედარებისთვის, 2001 წელს მოქალაქეობრივი ვალი ბასკეთში ამომრჩეველთა 80-მა პროცენტმა მოიხადა). ოფიციალური მონაცემებით, ბასკეთის 75-ადგილიანი რეგიონული პარლამენტის არჩევნებზე ბასკურმა ნაციონალისტურმა პარტიამ, ხუან იბარეჩეს ხელმძღვანელობით, 29 მანდატი მიიღო - ანუ ოთხი ადგილით ნაკლები, ვიდრე წინა არჩევნებზე. ამიერიდან ბასკური ნაციონალისტური პარტია საკანონმდებლო ორგანოში, აბსოლუტური უმრავლესობით, საკუთარი მთავრობის ჩამოყალიბებას ვერ შეძლებს.




ხუან იბარეჩეს მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა; თუმცა, წინა არჩევნებთან შედარებით - გაცილებით ნაკლები უპირატესობით.

ახალი, უკვე მესამე რეგიონული მთავრობის ჩამოსაყალიბებლად, რომელსაც ბასკების პრემიერ-მინისტრი იბარეჩე უხელმძღვანელებს, ბასკურ ნაციონალისტურ პარტიას პოტენციურ პარტნიორებთან მოლაპარაკების წარმართვა მოუწევს. ესენი შეიძლება იყვნენ - გაერთიანებული მემარცხენეები (3 მანდატი) და სამი წლის წინ წარმოქმნილი ბასკეთის კომუნისტური პარტია (Euskal Herrialdetako Alderdi Komunista, იგივე EHAK, "ბასკური ტერიტორიების კომუნისტური პარტია", რომელსაც 9 მანდატი აქვს პარლამენტში). კომუნისტები თავიანთ წარმატებას უნდა უმადლოდნენ რადიკალური ნაციონალისტური პარტიის - "ბატასუნას" ხელმძღვანელობისგან მიღებულ მხარდაჭერას, რომელიც ("ბატასუნა"), ბასკურ ტერორისტულ ორგანიზაცია ეტა-სთან კავშირის გამო, კანონგარეშე გამოაცხადეს.

ბასკურ ორგანიზაცია ეტას, 30 წელზე მეტია, შეიარაღებული ბრძოლა აქვს ჩრდილოეთ ესპანეთსა და სამხრეთ საფრანგეთში დამოუკიდებელი ბასკური სახელმწიფოს შესაქმნელად. ბასკი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ბასკმა კომუნისტებმა კვირას გამართულ არჩევნებში მეტი მანდატი მიიღეს, ვიდრე რადიკალურმა ბასკმა ნაციონალისტებმა 2001 წელს.

ქვეყანაში მმართველ სოციალისტურ (მუშათა) პარტიაში შემავალი ბასკი სოციალისტებიც გამარჯვებას ზეიმობენ. სოციალისტები ბასკეთის რეგიონულ პარლამენტში სიდიდით მეორე პარტია გახდა (18 მანდატი, ანუ ექვსი ადგილით მეტი, ვიდრე სამი წლის წინ). ითვლება, რომ ბასკი სოციალისტების ამ წარმატებას წინასაარჩევნო კამპანიაში ესპანეთის პრემიერ-მინისტრის ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროს პირადმა მონაწილეობამ შეუწყო ხელი. ბასკეთის ქვეყნის რეგიონულ საპარლამენტო არჩევნებში წარუმატებლად გამოვიდა მემარჯვენე-ცენტრისტული სახალხო პარტია – ესპანეთის მთავარი ოპოზიციური პარტია. მან ოთხი მანდატი დაკარგა და ახლა ავტონომიური ოლქის საკანონმდებლო ორგანოში 15 ადგილი დარჩა.

1980 წელს, ავტონომიური ოლქის სტატუსის მიღების შემდეგ სამმილიონიანი ბასკეთის ქვეყანა ამჟამად ესპანეთის ყველაზე განვითარებულ რეგიონად ითვლება. მსხვილი ინვესტიციების მეშვეობით, ბასკეთის ავტონომიურ ოლქში საშუალო ეკონომიკური ზრდა 3,4 პროცენტს აღწევს. უმუშევრობის დონე – 7,8 პროცენტს, რაც საერთო ეროვნულ მაჩვენებელზე (10,5 პროცენტი) ნაკლებია. ბასკეთში ხელფასები 15-16 პროცენტით მაღალია, ვიდრე, საშუალოდ, ესპანეთში, ხოლო პენსიები 20 პროცენტით მეტი. იბარეჩეს გეგმა მადრიდის ცენტრალური ხელისუფლებისგან მოითხოვს ისეთი "პირობების შექმნას, რომ ბასკეთის ქვეყანა ესპანეთთან ასოცირებული, სუვერენული სახელმწიფო იყოს". თუმცა, ავტონომიური ოლქის ფორმალური პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიტანს ევროკავშირიდან მის გამოსვლას, ახალი ვალუტის შემოღებას, ეკონომიკური კავშირების გაწყვეტას ესპანეთთან, სადაც ბასკური ექსპორტის 55 პროცენტი მიდის. ეკონომისტების მონაცემებით კი, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სსრკ-ს დეზინტეგრაციის გამოცდილებას ეყრდნობიან, ბასკეთის ქვეყნის ფორმალური დამოუკიდებლობა გამოიწვევდა მთლიანი შიდა პროდუქტის 25 პროცენტით შემცირებას, 200 ათასი სამუშაო ადგილის დაკარგვასა და ბასკური მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვნად გაუარესებას.

# ლონღაძის საქმეში ოთხი ახალი მოწმე გამოჩნდა

უკრაინელი ჟურნალისტის გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმეში ოთხი დღემდე უცნობი მოწმე გამოჩნდა. ამის შესახებ, "იტარ-ტასის" ცნობით, უკრაინის უმაღლესი რადის დანაშაულების გამოძიების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა, გრიგორი ომელჩენკომ განაცხადა. მისი სიტყვებით, ერთ-ერთ მოწმესთან ინახება ფირების ნაწილი, რომელიც ექს-პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას კაბინეტშია ჩაწერილი და ღონღაძეს ეხება. ომელჩენკომ ხასგასმით აღნიშნა, რომ ახალ მოწმეებს უკვე შეხვდა და ისინი, პირადი უსაფრთხოების გარანტიის სანაცვლოდ, ჩვენების მისაცემად მზად არიან. დეპუტატის მტკიცებით, გენერალური პროკურატურა მათ მოთხოვნას გაგებით უნდა მოეკიდოს და, მოწმეების სიცოცხლის უზრუნველყოფის მიზნით, მათი საანკეტო მონაცემებიც კი უნდა შეცვალოს.

გარდა ამისა, უკრაინული მასმედიის მონაცემებით, სამშაბათს უმაღლესმა რადამ ისევ უარი განაცხადა, მოესმინა დროებითი საგამოძიებო კომისიის ანგარიში, რომელსაც ომელჩენკო ხელმძღვანელობს. ანგარიშის მოსმენას კენჭი უყარა მხოლოდ 184 დეპუტატმა, საჭირო კი 226 ხმაა.

*24 საათი*

# საფრანგეთში რეფერენდუმის შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება

ევროპის ახალი კონსტიტუციის იდეას საფრანგეთში 29 მაისს გამოცდა ელის - რეფერენდუმის გზით, მოსახლეობა გადაწყვეტს, მისაღებია თუ არა მათთვის ერთიანი ევროპული სივრცის ახალი უზენაესი კანონი. რასაკვირველია, საფრანგეთის, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი ქირვეული და ძლიერი ქვეყნის გადაწყვეტილება დიდ გავლენას იქონიებს ალიანსის დანარჩენი წევრი-სახელმწიფოების პოზიციებზე. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება საერთო ახალი უზენაესი კანონის მიღებაზე დიდი ბრიტანეთის თანხმობა. დიდი ბრიტანეთი განსაკუთრებით საფრანგეთსა და გერმანიას აღელვებს. რეფერენდუმის უარყოფითი შედეგებით დამთავრების არასახარბიელო პერსპექტივით შეშფოთებული საგარეო საქმეთა მინისტრები 25 ქვეყნიდან ბრიუსელში 16 აპრილს შეიკრიბნენ. "საფრანგეთის რეფერენდუმის უარყოფითი შედეგები პოლიტიკური კატასტროფის ტოლფასი იქნება, მით უმეტეს - მომავალი გაფართოების თვალსაზრისით", - განაცხადა სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა. "იგი მძიმე შედეგებს გამოიღებს პოლონეთისთვის", - დაამატა, თავის მხრივ, პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მარეკ ბელკამ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიშელ ბარნიეს თქმით კი, ნებისმიერ შემთხვევაში, ძალაში დარჩება ძირითადი შეთანხმებები, არ იქნება წარმოდეგნილი სხვა ახალი კონსტიტუცია. ბრიუსელში, პარიზის მსგავსად, უარყოფითი შედეგების შემთხვევაში, "ბ გეგმის" ამოქმედების შესახებ გამოითქვა ჰიპოთეზა, რაც ფრანგულმა მხარემ უარყო. "არავითარი "ბ გეგმა" არ არსებობს", - აღნიშნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიშელ ბარნიემ. მართალია, მას მხარი ევროკომისიამაც აუბა. ევროპის ახალი კონსტიტუციის მიღების მომხრეებს, "არა"-ს შემთხვევაში, "პოლიტიკური კრიზისი" აფიქრებთ. საფრანგეთის სავარაუდო უარის ვერსია ბრიუსელისა და პარიზი-ბერლინის ექსპერტთა მუშაობის შედეგია. ექსპერტთა ჯგუფი კი კომპეტენტური იურისტების, დიპლომატების, მკვლევრებისა და ბრიუსელის ანალიტიკური ცენტრების სპეციალისტებისაგან შედგება. ახალი უზენაესი კანონის არმიღების შემთხვევაში კი, სცენარი, ექსპერტთა თანახმად, 3 ეტაპად განვითარდება:

პირველი ეტაპი: 29 მაისის შემდეგ გაგრძელდება დოკუმენტის რატიფიკაციის პროცესი. დანიამ და ჰოლანდიამ უკვე განაცხადეს, რომ ისინი არ გააუქმებენ რეფერენდუმს. "რატიფიკაციის პროცესი არ შეწყდება მაშინაც კი, თუ საფრანგეთის რეფერენდუმის შედეგები უარყოფითი იქნება. ეს შეუძლებელია", - განაცხადა ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ ბოტმა. თუმცა, დომინოს ეფექტისა თუ ევროსკეპტიციზმის გამო, შესაძლოა, სხვა ქვეყნებშიც უარყოფითი შედეგებით დასრულდეს რეფერენდუმი. რატიფიკაციის გაგრძელების სცენარი შეარბილებს საფრანგეთზე ზეწოლას.

მეორე ეტაპი: ევროპული საბჭო შეაჯამებს პოლიტიკურ შედეგებს, როგორც ეს ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული. თუ საფრანგეთისა და ჰოლანდიის რეფერენდუმის შედეგები უარყოფითი იქნება, შესაძლოა, ამ საბაბით, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადოს, რომ იგი აუქმებს რეფერენდუმს ბრიტანეთში.

მესამე ეტაპი: ხელშეკრულება ნაწილობრივ შევა ძალაში. დაიწყება ახალი პოლიტიკური მოლაპარაკებები, მაგრამ აბსოლუტურად ახალ საფუძველზე. თუ უმრავლესობა წინააღმდეგი არ იქნება, შეიქმნება ახალი ხელშეკრულება, რომელიც კონცენტრირებული იქნება მხოლოდ ინსტიტუტებზე. თუ დიდ სახელმწიფოთა უმრავლესობის რეფერენდუმის შედეგები უარყოფითი იქნება, მაგალითად - საფრანგეთის, პოლონეთისა და დიდი ბრიტანეთის, ხელშეკრულება პოლიტიკურად მკვდარ დოკუმენტად იქცევა, რომლის ნაწილობრივ აღდგენა მაინც შესაძლებელი გახდება. საამისოდ საკმარისი იქნება კონსენსუსის გზით მიღწეული ინოვაციები, რომლებიც ძალაში შევა სამთავრობათშორისო თუ ინსტიტუციონალური (საბჭო, კომისია, პარლამენტი) შეთანხმების საფუძველზე.

# თურქეთმა სომხები ნახევარი მილიონი თურქის სიკვდილში დაადანაშაულა

თურქეთის სახელმწიფო არქივმა გამოაქვეყნა თურქეთის მოქალაქეების სია, რომლებიც, თურქეთის მხარის განცხადებით, სომხებმა მოკლეს 1910 და 1922 წლების პერიოდში. "სიაში 523 ათასზე მეტი ადამიანია", - წერს გაზეთი "ნიუ იორკ თაიმსი".

გარდა ამისა, თურქეთის ხელისუფლება უარს ამბობს, აღიაროს სომხური მხარის განცხადება იმის შესახებ, რომ 1915-1923 წლებში თურქებმა ანატოლიაში მცხოვრები მილიონნახევარი სომეხი გაანადგურეს; პირიქით - თურქები ამტკიცებენ, რომ მათ, და არა სომხებმა, განიცადეს უზარმაზარი დანაკარგი, მითითებულ რეგიონში ცხოვრებაზე თავიანთი კანონიერი უფლების დაცვის გამო.

გამოქვეყნებული სია იმ ინფორმაციის საფუძველზე შედგა, რომელიც რეგიონებმა სტამბოლში გააგზავნეს; აგრეთვე - საერთაშორისო დამკვირვებელთა წერილობით ჩვენებებზე დაყრდნობით. თურქეთის ხელისუფლება შიშობს, რომ ანტითურქული განწყობილება, რომელიც სომხეთის პრეტენზიებითა და რიგი ქვეყნების მიერ სომხების გენოციდის აღიარებითაა გამოწვეული, ხელს შეუშლის ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანებას. თურქეთის მხრიდან, სომხეთის საპირისპიროდ, მსხვერპლის სიის გამოქვეყნება ანგარიშგასაწევ არგუმენტად გამოიყურება.

თურქეთის მცხოვრებმა სომხურმა სათვისტომომ დაღუპული თურქების სიის გამოქვეყნება საყოველთაოდ აღიარებული ისტორიული მოვლენის ალტერნატიულ ვერსიად მიიჩნია. სათვისტომოს ლიდერის განცხადებით, მოკლულთა ჩამონათვლის სისწორე აუცილებლად უნდა შეამოწმონ.

გასულ კვირას თურქეთის მთავრობის ხელმძღვანელმა ტაიპ ერდოგანმა და თურქეთის პარლამენტმა განაცხადეს, რომ საჭიროა მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულების მოვლენების საერთაშორისო დონეზე შესწავლა. თუმცა, სომხეთის ხელისუფლება აღნიშნულ შეთავაზებას არ დასთანხმდა.

*24 საათი*

ინდოეთი 2005

ინდური პროდუქციის და ტექნოლოგიების გამოფენა

20-24 აპრილი 2005 წელი.
11:00 -19:00 საათი

სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი
თელავის ქ. 20, თბილისი, 0103, საქართველო
ტელ: 77 20 20

ორგანიზატორები:

ინდოეთის სამრეწველო კონფერენცია
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
ინდოეთის საელჩო

სექტორები: ფარმაცევტიკა, ველოსიპედები, ჩაი, ყავა, სათამაშოები, სამკაულები და მოდური აქსესუარები, ტყავის ნაწარმი, საავტომობილო ნაწილები, სასოფლო სამეურნეო მოწყობილობები, საყოფაცხოვრებო ელექტროსაქონელი, ელექტრო მოწყობილობები

ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობები

შესვლა თავისუფალია

# სავალუტო ფონდი საქართველოს დახმარების პროგრამას გააგრძელებს

მარიამ ჭაჭვაძე

*საქართველოში ვიზიტით მყოფი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისია ეროვნული ბანკის პრეზიდენტს შეხვდა. შეხვედრისას ითქვა, რომ საქართველოსთვის დახმარების პროგრამები თანმიმდევრულად დაფინანსდება.*

თბილისში მყოფი სავალუტო ფონდის მისია ამჯერადაც, ისევე, როგორც წინა ვიზიტების დროს, ფულადი მასით, საფონდო ბაზრით, სადაზღვევო კომპანიების საქმიანობით, კომერციული ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ოპერაციებითა და ამ პროცესებში ეროვნული ბანკის როლის პრობლემატიკით დაინტერესდა.

რომან გოცირიძემ სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა გააცნო და აღნიშნა, რომ მისიის ამჟამინდელი სტუმრობა ხორციელდება მაშინ, როდესაც ფისკალური და საბიუჯეტო სფეროები, საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრი ზრდის ფონზე, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. შეგახსენებთ, რომ ქვეყნის კონსოლიდირებული ბიუჯეტი, გასულ ორ წელიწადთან შედარებით, გაორმაგდა.

რომან გოცირიძემ ფონდის მისიას აუწყა, რომ წელს პრივატიზაციიდან ბიუჯეტში 500 მილიონი ლარი უნდა შემოვიდეს, რაც გასული შვიდი-რვა წლის მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება. **"ეს დადებითი მოვლენები ეროვნული ბანკის წინაშე სრულიად ახალ ამოცანებს აყენებს,"** - აღნიშნა რომან გოცირიძემ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*რომან გოცირიძემ სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა გააცნო*

მისივე შეფასებით, არსებითად მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკისა და მთავრობის, კონკრეტულად, ფინანსთა სამინისტროს ურთიერთქმედება ისეთ საკითხებში, როგორიც არის სახაზინო ვალდებულებების აუქციონების მოწყობა, საპროცენტო განაკვეთები და მონაწილე ბანკები. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რამდენიმე თვეში უნდა დასრულდეს ეროვნული ბანკის ახალი როლისა და საზოგადოებრივი სახის ჩამოყალიბება, რომელიც ქვეყნის ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო და მონეტარულ პოლიტიკაში მომხდარ ძირეულ ცვლილებებს სრულად ასახავს. ამ ახალ ეტაპზე, არ არის გამორიცხული, რომ ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ურთიერთობებიც შესაბამისად შეიცვალოს.

რომან გოცირიძის თქმით, მთავრობის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გაზრდილ ბიუჯეტში პრივატიზების თანხების ხარჯვის საკითხს. ბაზარზე ამ თანხების ერთბაშად გამოტანა საკმაოდ დიდ საშიშროებას შექმნის. ეროვნულ ბანკს არ გააჩნია ამ რაოდენობის ფულადი მასის სტერილიზების მექანიზმები, ამიტომ, აუცილებელია მთავრობისა და ეროვნული ბანკის კოორდინირებული მოქმედება.

ამ ამოცანების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის შეფასებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ტექნიკურ დახმარებას. აქედან გამომდინარე, ქვეყნის საფინანსო სისტემის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა პრიორიტეტული უნდა გახდეს. **"აღმოსაფხვრელია წარსულში არსებული პრაქტიკა, როდესაც საფინანსო ბაზარზე მიმდინარე ოპერაციების (მაგალითად, სახაზინო ვალდებულებების აუქციონის) თაობაზე არავითარი ინფორმაცია არ გააჩნია არა მარტო საზოგადოებას, არამედ საფინანსო ბაზრის მონაწილეებსაც კი. ეს ბევრ კითხვას ბადებს,"** - განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის ხელმძღვანელმა ჯოდი სკარლატამ განაცხადა, რომ საქართველოსთვის დახმარების, მათ შორის - ტექნიკური ხასიათის, პროგრამები თანამიმდევრულად გაგრძელდება. მიმდინარე მისიის ფარგლებში განისაზღვრება იმ სფეროთა მიმართულებები, რომლებიც, ქართული მხარის აზრით, მომავალში ასეთ დახმარებას საჭიროებენ. ფონდის მისიის ვიზიტი საქართველოში კიდევ ორ კვირას გაგრძელდება.

# ბიზნესმენები საგადასახადოს შეფს შეხვდნენ

გუშინ "ბიზნესმენთა ფედერაციაში" საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით გალეგაშვილი ბიზნესმენებს შეხვდა და პირადად მოისმინა ის პრობლემები, რომლებიც მეწარმეებს საგადასახადო ინსპექციებთან ურთიერთობისას ექმნებათ. ბიზნესმენები პრეტენზიებს გუშინ ახალი "საგადასახადო კოდექსის" მიმართაც გამოთქვამდნენ.

გადასახადის გადამხდელებსა და საგადასახადო ორგანოებს შორის ურთიერთობების გამარტივების მიზნით, "საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის" ინიციატივით, გუშინ ბიზნესმენები საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით გალეგაშვილს შეხვდნენ.

როგორც შეხვედრაზე დავით გალეგაშვილმა აღნიშნა, იგი მიესალმება "ბიზნესმენთა ფედერაციის" ინიციატივას. მისივე თქმით, დღეს საგადასახადო ინსპექციებში საკმაოდ ბევრი პრობლემა არსებობს. **"არის როგორც კვალიფიკაციის, ასევე ფინანსების პრობლემაც, თუმცა, მიმდინარეობს რეორგანიზაცია. ვაპირებთ, საგადასახადო ადმინისტრირება და მომსახურება განვაცალკევოთ. წლის ბოლოსთვის თბილისში მაღალი ხარისხის მომსახურების ცენტრები გაიხსნება,"** - აღნიშნა მან.

საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, 2-3 კვირაში მსხვილ კომპანიებს დეკლარირების საშუალება ინტერნეტის საშუალებით მიეცემათ.

**"მიუხედავად იმისა, რომ გადამხდელებისგან გადასახადის ადმინისტრირება მხოლოდ საბანკო გადარიცხვებით უნდა ხდებოდეს, ხშირია საგადასახადო ინსპექტორის მიერ გადასახადის ხელზე აღების ფაქტები, რაც გადამხდელის დაბალი საგადასახადო კულტურის და ინსპექტორის არაპროფესიონალიზმის შედეგია,"** - განაცხადა დავით გალეგაშვილმა.

"ბიზნესმენთა ფედერაციის" აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ისაკაძის განცხადებით, კვირის ბოლომდე ბიზნესმენებისა და საბაჟო უწყების ხელმძღვანელ მერაბ ანთელიძის შეხვედრის გამართვაც იგეგმება. **"ამგვარი შეხვედრები პერმანენტულად გაგრძელდება. ეს კი საშუალებას მისცემს ბიზნესს, რომ უწყების ხელმძღვანელს კონკრეტული წინადადებები შესთავაზოს, შენიშვნები მისცეს და მისგან კონკრეტული პასუხი მიიღოს,"** - განაცხადა გიორგი ისაკაძემ.

*24 საათი*

# „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" კორუფციის წინააღმდეგ

*დღეიდან, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (სგსე) ექვსივე რეგიონულ ფილიალში ინკასატორის ინსტიტუტი ოფიციალურად უქმდება. ენერგოკომპანიის ინფორმაციით, იკრძალება ხელზე ფულის აღების პრაქტიკა, რის შემთხვევაშიც სგსე მკაცრ ზომებს მიმართავს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

დღეიდან, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ექვსივე რეგიონულ ფილიალში, ინკასატორის ნაცვლად, მრიცხველის წამკითხველი შეუდგება მუშაობას. ამ უკანასკნელის ფუნქციები დახარჯული ელექტროენერგიის მაჩვენებლებისა და საფასურის დაფიქსირება, ასევე შესაბამისი ქვითრების დარიგება იქნება. ენერგოკომპანიის განცხადებით, კატეგორიულად აიკრძალა ხელზე ფულის აღება, ხოლო ასეთი პრეცედენტის გამოვლენის შემთხვევაში, ადმინისტრაცია უმკაცრეს ზომებს მიმართავს.

გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის დინ უაითის განცხადებით, ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს მოხმარებული ელექტროენერგიის ზუსტი აღრიცხვისა და დარიცხვის სისტემის განმტკიცებას. ასევე ბოლო მოეღება კორუფციულ ფაქტებს.

წლების განმავლობაში, "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" აბონენტები მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს ინკასატორებს ხელზე უხდიდნენ. როგორც ენერგოკომპანიაში აცხადებენ, ფულის ხელზე აღების ამგვარი მექანიზმი არ გამორიცხავდა გარკვეული კორუფციული გარიგებების არსებობას აბონენტებსა და ინკასატორებს შორის, რაც საბოლოო ჯამში, ენერგოკომპანიის ამოღების მაჩვენებელზე და აბონენტების ელექტრომომარაგებაზე უარყოფითად აისახებოდა. **"სწორედ ამ პერიოდში დაინერგა ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა, რაც ელექტროენერგიის მოხმარების მიუხედავად, ფიქსირებული გადასახადის გადახდას გულისხმობდა. ენერგოკომპანიის მართვაში "პი-ეი კონსალტინგ ჯგუფის" მოსვლის შემდეგ, წლების განმავლობაში პირველად, ენერგოკომპანიაში ეფექტური ნაბიჯები გადაიდგა კორუფციული გარიგებების სრულად აღმოფხვრის მიზნით,"** – აცხადებენ საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში.

როგორც "პი-ეი კონსალტინგ ჯგუფის" წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა აღნიშნა, ინკასატორების ინსტიტუტის გაუქმების პროცესი ქვემო ქართლში რამდენიმე თვის წინ დაიწყო, რომლის შედეგები დღეს უკვე სახეზეა. **"4 თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება რუსთავში ექვსჯერ გაიზარდა,"** - განაცხადა ნიკა ლალიაშვილმა.

*24 საათი*

*საბიუჯეტო მონიტორინგი*

EPRC
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის და კვლევის ცენტრი
01 79, თბილისი, საქართველო, [illegible] 1/6
ტელ/ფაქსი (995 32) 92 25 51 www.eprc.ge

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

# საბიუჯეტო პროცესში კვლავ მანკიერი ტენდენციები შეიმჩნევა

*ამ დღეებში საქართველოს პარლამენტში 2004 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შევიდა და საპარლამენტო კომიტეტებში მისი განხილვა უკვე დაწყებულია. უახლოეს დღეებში ცნობილი გახდება ამ ანგარიშთან დაკავშირებით კონტროლის პალატის ანგარიშის შინაარსიც და პარლამენტის შეფასებაც. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი 2004 წლის და 2005 წლის ბიუჯეტების მონიტორინგს, უკვე რამდენიმე თვეა, ახორციელებს და ამ მონიტორინგის განმავლობაში გამოიკვეთა მანკიერი ტენდენციები, რომელიც ამ წლების ბიუჯეტების გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, კვლავ აღმოსაფხვრელია და ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს.*

[illegible]

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 744.00 | 728.70 | 143.25 | 94.20 | 101.55 | 293.25 | 2105.95 |
| [illegible] | 131.93 | 160.65 | 55.73 | 6.00 | 7.88 | 252.31 | 614.50 |
| [illegible] | 180.18 | 167.92 | 105.34 | 32.38 | 6.74 | 78.28 | 570.84 |
| [illegible] | 119% | 105% | 189% | 540% | 86% | 31% | 93% |
| [illegible] | 28.25 | 7.27 | 49.61 | 26.38 | -1.14 | -174.03 | -43.66 |
| [illegible] | 963.82 | 861.78 | 37.91 | 61.82 | 94.81 | 214.97 | 1,535.11 |

* [illegible] 86%

კერძოდ, ჯერ კიდევ იანვარში, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი ხაზგასმით აღნიშნავდა: 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ, ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, 2004 წელს კვლავ გაგრძელდა გახარჯული თანხების პოსტ-ფაქტუმ დამტკიცების პრაქტიკა. ისევ პოსტ-ფაქტუმ, დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოხდა 2004 წლის ბიუჯეტის კანონის კორექტირება, რაც, ბიუჯეტის გადაჭარბების მიუხედავად, ნამდვილად არ გახლავთ მისასალმებელი პრაქტიკა: შესწორებების თანახმად, გაიზარდა საბაჟოს გეგმა 50,5 მილიონი ლარით, (თუმცა საბაჟო დეპარტამენტმა ამ მაჩვენებელსაც გადააჭარბა 45 მილიონი ლარით), საგადასახადო დეპარტამენტს კი შემოსავლების გეგმა 44,5 მილიონი ლარით გაუზარდეს (გადაჭარბება იყო 28,5 მილიონი ლარი). არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა 10 მილიონი ლარით შემცირდა, თუმცა, შემცირებული გეგმა 9,7 მილიონი ლარის გადაჭარბებით შესრულდა. კაპიტალური შემოსავლები დარჩა 81, 4 მილიონი და გეგმის შესრულებას დააკლდა 14,4 მილიონი. გრანტების გეგმა გაიზარდა 2,3 მილიონით და გადააჭარბეს 0,7 მილიონით. ამის ხარჯზე, ბიუჯეტის დეფიციტი 87 მილიონი ლარით შემცირდა, რაც უდავოდ მისასალმებელი ფაქტია, და 184 მილიონი ლარი შეადგინა.

ანუ, მთელი ეს არითმეტიკა იმას ნიშნავს, რომ წლის ბოლოს ხელისუფლებამ კანონი ისევ "მოარგო" წლის ბოლოსთვის შექმნილ სიტუაციას, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ამ ცვლილებების შედეგად გეგმა დარჩა უცვლელი – 1 926 მილიონი ლარი.

სხვათა შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იგივე ტენდენცია გაგრძელდა 2005 წლის პირველ კვარტალში, როცა ორიოდე კვირის წინ ხელისუფლებამ 2004 წლის დეკემბრის მიწურულს დამტკიცებულ 2005 წლის ბიუჯეტში დაახლოებით ნახევარმილიარდიანი ცვლილება შეიტანა.

საგულისხმოა ისიც, რომ განხორციელებული მონიტორინგის პროცესში ნათელი გახდა - სახელმწიფო ბიუჯეტისთვის კვლავ დამახასიათებელია ხარჯების საეჭვო პრიორიტეტების შესაბამისად განაწილება. კერძოდ, 2004 წლის 27 დეკემბერს, 2004 წლის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების პოსტ-ფაქტუმ კორექტირებისას, განსაკუთრებული ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა ისეთი ტიპის ხარჯები, როგორიცაა "სხვა საქონელი და პროდუქცია" და "კაპიტალური ხარჯები", ამასთან - ეს ხარჯები გაეზარდა, ძირითადად, ძალოვან უწყებებს. მაშინ, როცა 2004 წლის ბიუჯეტის კორექტირების შედეგად შემცირებულია საერთო სასამართლოების დაფინანსება - 1,5 მილიონი ლარით, მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა - 1,7 მილიონი ლარით და სხვა სოციალური ხარჯები. ცენტრის ექსპერტთა აზრით, მსგავსი კორექტირებების მავნე პრაქტიკა წლის დასასრულს ცალსახად მიუღებელია ცივილიზებული ქვეყნის ეკონომიკისთვის და აუცილებლად აღმოსაფხვრელი გახლავთ.

2004 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ კვლავ გრძელდება ბიუჯეტის არათანაბრად დაგეგმვის ტრადიცია, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ერთი მეოთხედის მობილიზება ბოლო ერთი თვის განმავლობაში ხდება. აღნიშნული ტენდენციების გაგრძელებაზე გვამცნობს იანვარ-თებერვლის საშემოსავლო გეგმის ანალიზიც, რომელიც ბევრად ჩამოუვარდება 2004 წლის ბოლო თვეების საშემოსავლო მაჩვენებელს. კერძოდ, დეკემბრის ბოლოს განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დეკემბერში მისაღები თანხის პროგნოზი 370,17 მილიონი გახლდათ. ეს მონაცემი განსაკუთრებით შთამბეჭდავია წლის განმავლობაში მობილიზებული შემოსავლების საშუალო მაჩვენებლის ფონზე, რომელიც 134,4 მილიონ ლარს შეადგენს. საინტერესოა, რომ რეკორდული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში სექტემბერში შევიდა და ისიც ბევრად ჩამოუვარდებოდა დეკემბრის პროგნოზს: სექტემბრის შემოსავალმა 163,7 მილიონი ლარი შეადგინა. რეკორდული პროგნოზი კი ფინანსთა სამინისტროს ჰქონდა ივლისის თვეში - 171,4 მილიონი, რომლის შესრულებასაც ივლისში დააკლდა 25,6 მილიონი ლარი.

საბიუჯეტო დაგეგმვისას ყოველთვიურ შემოსავლებს შორის არსებული დისბალანსი, ცენტრის ექსპერტთა აზრით, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, მათ შორის - ეროვნული ვალუტის კურსსაც. შესაბამისად, საჭიროებს სასწრაფო რეაგირებას და აღმოფხვრას ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან 2005 წელს მაინც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ 2005 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის მონიტორინგის შედეგად კვლავ დაფიქსირდა ბიუჯეტის არასწორად დაგეგმვის პრაქტიკის გაგრძელება:

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 382,19 მლნ ლარით, მათ შორის, საბაჟო დეპარტამენტის გეგმა - 151,9 მლნ ლარით, საგადასახადო დეპარტამენტის გეგმა - 160,65 მლნ ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები - 55,7 მლნ ლარით, შემოსავლები კაპიტალის გაყიდვიდან - 6 მლნ ლარით, ხოლო გრანტებიდან - 7,88 მლნ ლარით. სახელმწიფო ხარჯების ნაწილში კი პირველი კვარტლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა იყო 635,5 მლნ ლარი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ტრადიციულად, დაგეგმვის პროცესი იყო არაკორექტული და გეგმის მაჩვენებლები - შემცირებული, რათა მომხდარიყო აპელირება გეგმის გადაჭარბებაზე. ამ ფაქტს ადასტურებს ისიც, რომ ამ დაგეგმვით დეფიციტის რაოდენობა I კვარტალში გამოდიოდა 252,5 მლნ ლარი, რაც მთელი წლის გეგმის 86 პროცენტია.

ფინანსთა სამინისტროს თავიდანვე ჰქონდა გათვლილი, რომ მოხდებოდა ბიუჯეტის "გადაჭარბება" შემოსავლების კუთხით და აღარ იქნებოდა საჭირო სხვა წყაროების მოძებნა ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად. შედეგად, საბაჟო დეპარტამენტმა გეგმას 19 პროცენტით გადააჭარბა, საგადასახადო დეპარტამენტმა 5 პროცენტით, არასაგადასახადო შემოსავლები გადაჭარბებულია 89 პროცენტით, ხოლო შემოსავლები კაპიტალის გაყიდვიდან, ნაცვლად 6 მლნ ლარისა, შემოვიდა 32,4 მლნ ლარი.

რაც შეეხება გრანტების ნაწილს, აქ სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმის შესრულებას დააკლდა 1,1 მლნ ლარი, ხოლო დეფიციტის დაფინანსების წყაროებში მობილიზებული იქნა 78,3 მლნ ლარი, რაც საბოლოო ჯამში გახდა საფუძველი იმისა, რომ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 634.5 მლნ ლარისა, პირველ კვარტალში მოხდა მხოლოდ 508 მლნ ლარის ხარჯების გაწევა, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გეგმის შესრულებას დააკლდა 20 პროცენტი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაშთი ხაზინაში 63 მლნ ლარი იყო, ვერ მოხერხდა 64 მლნ ლარის მობილიზება, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია 127 მლნ ლარის დაუფინანსებლობა.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის პირველი კვარტლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის ფაქტიური შემოსავლები გაზრდილია 172 მლნ ლარით, ანუ 55 პროცენტით, რაც უდავოდ მისასალმებელია.

# საქართველოში პირველი აზიური ბიზნესფორუმი ჩატარდება

მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოში აზია-წყნარი ოკეანის სავაჭრო-სამრეწველო პალატების(CACCI) 70-ე კონფერენცია და პირველი აზიური ბიზნესფორუმი გაიმართება.

როგორც გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ჯემალ ინაიშვილმა განაცხადა, საქართველოში ვიზიტით იმყოფება CACCI-ის დელეგაცია, რომელიც კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს სავაჭრო პალატასთან მოსამზადებელ სამუშაო შეხვედრებს მართავს.

CACCI სავაჭრო-სამრეწველო პალატების და ბიზნესკავშირების რეგიონული ორგანიზაციაა, რომელიც აზიის რეგიონში 3 მილიონზე მეტი საწარმოს ინტერესებს წარმოადგენს. იგი საქმიანობს ფორუმის სახით, რომლის მიზანია რეგიონში ბიზნესის როლის განვითარება, რეგიონული ბიზნესურთიერთობების გაღრმავება და ეკონომიკურ ზრდის ხელშეწყობა.

CACCI 1966 წელს დაარსდა. იგი შექმნილია აზია-წყნარი ოკეანის 23 ქვეყნის წამყვანი პალატებისგან. საქართველოს სავაჭრო პალატა ამ ორგანიზაციის ყველაზე ახალი წევრია, რომელიც ოფიციალურად მიმდინარე წლის თებერვალში გაერთიანდა.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შს სამინისტრო ახალგაზრდებში ანტინარკოტიკულ პროპაგანდას განაგრძობს. ე.წ. ანტინარკოტიკული მოძრაობის წარმომადგენლები გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. ნარკომანიის, კერძოდ კი, ერთ-ერთი ნარკოტიკული ნივთიერების "სუბოტექსის" გამოყენების საწინააღმდეგო პროპაგანდა გუშინ სტუდენტებთან შს მინისტრის პირველმა მოადგილემ ბიძინა ბრეგაძემ გაწია. მასთან ერთად აქციაში მონაწილეობდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები - ზაალ სამადაშვილი, დავით დოიაშვილი, რეზო არველაძე, ლიზა ბაგრატიონი, ლექს-სენი, ლაშა ბუღაძე და თიკა ფაცაცია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები, 21 წლის თემურ გელაძე, რომელიც 27 მარტს ოთხ შეიარაღებულ პირთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა თამაზ მღებრიშვილის ოჯახს და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით და განსაკუთრებული ცინიზმით გაიტაცეს ოქროულობა და ფული. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ყაჩაღობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენისა და შენახვა-ტარებისათვის სახელმწიფოთაშორისო ძებნილი, 32 წლის მამუკა საველიევი, რომელიც 2003 წლის 5 ივნისს კობა ელიავასთან და ზვიად მხეიძესთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა ზესტაფონის რაიონის სოფელ გურძევში მცხოვრებ გივი სიხარულიძის ოჯახს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის შედეგად თბილისში დააკავეს ყაჩაღობისთვის ბოლნისის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 42 წლის დავით კორძაია, რომელიც თანამზრახველებთან - კახაბერ შავგულიძესთან და ლევან დევდარიანთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა ბოლნისში მცხოვრებ ვ. შაინიძის ოჯახს, საიდანაც ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გაიტაცეს ოქროულობა, თანხა და საოჯახო ნივთები. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ერთად დააკავეს გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაძეში მცხოვრებნი - 24 წლის ლაშა მახარაშვილი და 23 წლის ზაზა შიმშიაშვილი; სოფელ კაჭრეთში მცხოვრები ძმები - 31 წლის არჩილ და 35 წლის რამაზ ბაზერაშვილები, რომლებმაც სოფელ კაჭრეთში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს - პოლიციის უფროს ლეიტენანტს, 35 წლის დავით ჭიაბერაშვილს და პოლიციის ლეიტენანტს, 26 წლის დავით სირაძეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რაჭა-ლეჩხუმის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებთან ერთობლივად დააკავეს ჭიათურის რაიონის სოფელ ქვედა ჭალვანში მცხოვრებნი - 31 წლის ვეფხია მაჭარაშვილი და ნასამართლევი, 36 წლის ელდარ მაჭარაშვილი, ასევე - სოფელ წირქვალში მცხოვრები, 43 წლის კობა გურული, რომლებმაც 17 აპრილს სოფელ კვაჩხუთში მცხოვრებ ვაჟა კობახიძეს ავტოფარეხში ავტომანქანა გაუქურდეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს 53 წლის ალექსანდრე ირემაძე, რომელმაც თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე ურთიერთშელაპარკებისას დანით ყელში დაჭრა ძმა, 57 წლის ნიკოლოზ ირემაძე. ეს უკანასკნელი მოთავსებულია საავადმყოფოში. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 18 აპრილს სასაზღვრო სამიგრაციო საკონტროლო-გამტარ პუნქტზე - „სარფი", მესაზღვრეებმა დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ყალბი პასპორტის გამოყენებით, ცდილობდა თურქეთის რესპუბლიკაში გადასვლას. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად დააკავეს ქუთაისში მცხოვრები, 19 წლის ვალერი კენჭოშვილი და 18 წლის ბექა ფორჩხიძე, რომლებიც ცდილობდნენ, გაექურდათ ნანა ბერეკაშვილის ბინა. საქმეს იძიებს ქუთაისის საგამოძიებო დეპარტამენტი. **მედიანიუსი**

# დააკავეს პენსიონერების თანხის გატაცებასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილები

პენსიონერების თანხის გატაცების მოტივით, რამდენიმე თვის წინ ავლაბრის მეტროსთან მომხდარი საზარელი მკვლელობა გახსნილია. შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის ისანი-სამგორის განყოფილებისა და თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, გუშინწინ წერეთლის გამზირზე დააკავეს გახმაურებულ დანაშაულში ეჭვმიტანილები - 24 წლის ლაშა გედიაშვილი და 30 წლის ზურაბ ხაჩიძე. სამართალდამცველთა ინფორმაციით, დაკავებულები ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები არიან და ისინი სხვადასხვა დროს ჩადენილ სხვა დანაშაულებშიც არიან ეჭვმიტანილები და სწორედ ამ დანაშაულებზე აღძრული საქმეები დაეხმარა სამინისტროს ინკასატორებზე თავდასხმის საქმის გახსნაში.

შეგახსენებთ, რომ "საქფოსტის" ფილიალის თანამშრომლებს, რომლებსაც ავტომანქანით თბილისის პენსიონერებისთვის განკუთვნილი თანხა - 250 ათასი ლარი, 18 ობიექტზე უნდა დაერიგებინათ, შეიარაღებული ყაჩაღები დაესხნენ თავს. "ა-კა-ემ"-ის სისტემის ავტომატისა და "პსმ"-ის სისტემის პისტოლეტიდან თავდამსხმელების მიერ გახსნილი ცეცხლის შედეგად ავტომანქანის მძღოლი გივი წიკლაური მიყენებული სასიკვდილო მრავალჯერადი ჭრილობებით ადგილზევე გარდაიცვალა; ერთ-ერთი ინკასატორი გიორგი რუხაშვილი გულ-მკერდის არეში დაიჭრა, მეორე ინკასატორს შალვა ჯოხაძეს თავდამსხმელებმა ბლაგვი საგნით მიაყენეს დაზიანება; ინციდენტისას ფეხის არეში დაიჭრა გამვლელი ზაალ კეზერაშვილი.

მომხდარ ფაქტს ჰყავდა საკმაოდ ბევრი თვითმხილველი მოწმე, რომელთა ჩვენებების მიხედვით, თავდამსხმელები ოთხნი იყვნენ, ნიღბების გარეშე მოქმედებდნენ და "ოპელ-ვექტრას" მარკის ავტომანქანით მოძრაობდნენ.

**"ამ საზარელი დანაშაულის გახსნა გაართულა იმ გარემოებამ, რომ საქმის გამოძიებისას დაცვის თანამშრომლები, რომელთაც ფული გადაჰქონდათ, აქტიურად არ თანამშრომლობდნენ პოლიციასთან. ამიტომ სამართალდამცველებს მტკიცებულებათა მოსაპოვებლად საკმაოდ დიდი დრო დასჭირდათ. სამართალდამცველთა ოთხთვიანი მუშაობა, საბედნიეროდ, შედეგიანად დასრულდა",-** აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

ვანო მერაბიშვილი კერძო ორგანიზაციებს ურჩევს, ხელშეკრულება გააფორმონ შს სამინისტროსთან არსებულ არასაუწყებო დაცვის სამსახურთან. ამ სამსახურების პრეზენტაცია შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინ გამართა ეროვნულ ბანკში საბანკო ასოციაციებთან შეხვედრაზე.

ბანკირებთან გამართულ შეხვედრაზე ვანო მერაბიშვილი ცდილობდა, კერძო დაცვის სამსახურებთან შედარებით, დაცვის პოლიციის უპირატესობა დაემტკიცებინა:

**"დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მომსახურებით სარგებლობენ სერიოზული ორგანიზაციები, მათ შორის - კომერციული ბანკები. თუმცა, ბოლო დროს შეიმჩნევა კერძო დაცვის სამსახურებთან კონტრაქტების გაფორმების ფაქტები".**

მისივე თქმით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი მოგებაზე მუშაობს, ამიტომ უფრო მეტი გარანტია არსებობს, რომ მან კლიენტებს ზარალი აუნაზღაუროს; ამასთან, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი კლიენტებს შესთავაზებს მომსახურების ახალ სახეს – კონტრაქტების დაზღვევას. "მიმდინარეობს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტექნიკისა და აღჭურვილობის განახლება. კერძო დაცვის სამსახურებში კი დისციპლინის დონე დაბალია", - განაცხადა მერაბიშვილმა.

მინისტრის განმარტებით, კონტრაქტორებმა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ერთ თანამშრომელზე 300-დან 690 ლარამდე თანხა უნდა გადაიხადონ. **"თუ კერძო დაცვის სამსახურები საკუთარ თანამშრომლებს ამაზე მაღალ ხელფასს აძლევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არალეგარულად საქმიანობენ; ამასთან, იარაღის ტარების უფლება მხოლოდ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს აქვთ",** - აცხადებს ვანო მერაბიშვილი.

*24 საათი*




# საქართველოში შემოტანილი "ფათოღლუს" პურის ფქვილი ფალსიფიცირებულია

ფინანსური პოლიცია აფრთხილებს საქართველოს მოსახლეობას, რომ "ფათოღლუს" სამარკო ნიშნით საქართველოში შემოსული პურის ფქვილი ფალსიფიცირებულია და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

არადა, საქართველოს ბაზრის უდიდესი ნაწილი "ფათოღლუს" პურის ფქვილს უკავია. ეს ფქვილი დაფასოებულია 50-კილოგრამიან ტომრებში და, ასევე – 1-კილოგრამიან პაკეტებში. ფინანსური პოლიციის ანალიტიკურ-ოპერატიულ სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე თურქული და ყაზახური წარმოშობის "ფათოღლუს" პურის ფქვილის ფალსიფიკაციის ფაქტებზე. ფინანსურმა პოლიციამ "ფათოღლუს" პურის ფქვილის ყველაზე მსხვილი შემომტანის, ინდმეწარმე "გოჩა ბურდულის" საწყობიდან ფქვილის საკონტროლო შესყიდვა განახორციელა; ნიმუშები კი კომპლექსური ექსპერტიზისთვის მოსკოვის მთავარ სანიტარიულ სამსახურს წარუდგინა.

"ფათოღლუს" პურის ფქვილს ჩაუტარდა კომპლექსური ექსპერტიზა - ფიზიკო-ქიმიური, ორგანულეპტიკური, და ასევე - მავნებლებზე. მოსკოვის ექსპერტიზის დასკვნით, სამივე მაჩვენებელი დარღვეულია და უმაღლესი და პირველი ხარისხის ნიშნით გაყიდული პურის ფქვილი, სინამდვილეში, მეორე ხარისხისაა. ცოტა მოგვიანებით, მოსკოვის ექსპერტიზის დასკვნა ქართულმა ექსპერტიზამაც დაადასტურა.

ფინანსურ პოლიციაში არსებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, "ფათოღლუს" პურის ფქვილს, უმაღლესი ხარისხის ნიშნით რეალიზაციის მიზნით, თეთრი ფერის მისაცემად ქლორს და კალიუმბრომატს ამატებენ.

ფინანსური პოლიციის მიერ ამჟამად დალუქულია 535 ტონა „ფათოღლუს" მარკის ფქვილი. ფალსიფიცირებული ფქვილის ამოსაღებად რეიდები გაგრძელდება.

სხვათა შორის, „ფათოღლუს" მარკის ფქვილის შესახებ სკანდალი საქართველოში წლების წინაც ატყდა. ამ პროდუქციას თავის დროზე საქართველოშივე ჩაუტარდა ექსპერტიზა და მაშინვე დადგინდა, რომ ფქვილი ადამიანის ორგანიზმისთვის საზიანოა. თუმცა, მისი რეალიზაცია წლების მანძილზე გრძელდებოდა. „ფათოღლუს" შემომტანთა წინააღმდეგ სხვადასხვა დარღვევისთვის საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წლების წინ საქმეც კი აღიძრა, ოღონდ - მსვლელობა არ მოჰყოლია. გავრცელებული ინფორმაციით, „ფათოღლუს" მწარმოებლებს წლების წინ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ლობირებდნენ.

*24 საათი*

# ცვლილებები კანონში

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის, სამხედრო მოსამსახურის ან სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში, მისი ოჯახისთვის 15 ათასი ლარის კომპენსაციას ითვალისწინებს "პოლიციის, სამხედრო მოსამსახურისა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც პარლამენტმა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით განიხილა.

საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაინვალიდებული ძალოვანი 7 ათასი ლარის შემწეობას მიიღებს. მოქმედი კანონმდებლობა, ერთჯერადი შემწეობის სახით, პოლიციელის, სამხედრო მოსამსახურის და უშიშროების თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში ითვალისწინებდა - მისი 10 წლის ხელფასის, დასახიჩრების შემთხვევაში კი 5 წლის ხელფასის გაცემას.

*პრაიმ-ნიუსი*

# ფოთის პორტის ტერიტორიაზე ცხრა არტილერიული ჭურვი აღმოაჩინეს

გუშინწინ, ღამით სამართალდამცველებმა ფოთის პორტის მესამე ნავსაყუდელის ტერიტორიაზე ცხრა არტილერიული ჭურვი აღმოაჩინეს, რომელთაგან ორი საბრძოლო მდგომარეობაში იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუსული წარმოების ჭურვები მიწაში იყო ჩამარხული.

მესამე ნავსაყუდელზე ტრანზიტული ტვირთები მოძრაობს და, სავარაუდოდ, ჭურვები პორტის ტერიტორიაზე ჯართს შემოჰყვა.

ჭურვები გუშინ ფოთის პორტის ტერიტორიიდან უსაფრთხო ადგილას გადაიტანეს და გააუვნებელყვეს.

როგორც შსს-ში აცხადებენ, ჭურვების ამოქმედებას სავალალო შედეგი მოჰყვებოდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

*პრაიმ-ნიუსი*

# ქუთაისში მალე ქვეითი პატრული გამოჩნდება

ქუთაისში მალე ქვეითი საპატრულო პოლიციელები გამოჩნდებიან. 80 ვაკანსიაზე კონკურსი აპრილის ბოლოს გაიმართება. გუშინ დილიდან ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში მსურველთა საბუთების მიღება დაიწყო. გუშინვე ქუთაისის საპატრულო სამსახურის ხელმძღვანელებმა ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრაზე პატრულის მუშაობის ოთხი თვის შედეგები შეაჯამეს; აღინიშა, რომ საპატრულო პოლიციის საქმიანობამ ქუთაისში მოსალოდნელზე უკეთესი შედეგი გამოიღო. "ამ ხნის მანძილზე პატრულმა ქუთაისში მანქანის გატაცების 30 საქმე გახსნა და 19 შემთხვევაში გამტაცებლები ფაქტზე დააკავა", – აცხადებს ქუთაისის პოლიციის უფროსი ჯიმშერ ფანჩულიძე. მისი თქმით, პატრულის წყალობით, გახსნილია ისეთი მძიმე დანაშაულებიც, როგორიცაა ყაჩაღობა.

*ინტერ-პრესი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი** ..............................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..............................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## გამოკითხვა

**როგორ ფიქრობთ, აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად რა უფრო ეფექტურია, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევა თუ ქართული და აფხაზური მხარეების პირისპირ მოლაპარაკებები შუამავლების გარეშე?**

**ისლამ ალიევი,** გაზეთ "გურჯისტანის" რედაქტორის მოადგილე:

"ამდენი წელია, აფხაზეთის კონფლიქტში, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთსა და ყარაბაღში, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევამ არანაირი შედეგი არ მოიტანა. ჯობს, ქართველები და აფხაზები პირისპირ დაელაპარაკონ ერთმანეთს, როგორც სამთავრობო, ისე უბრალო ადამიანების დონეზე. ჯობია, უფრო აქტიურად გამოვიყენოთ სახალხო დიპლომატია, თანაც ამგვარ შეხვედრებში არასამთავრობო ორგანიზაციებმა მეტად უნდა ჩართონ მოხუცები, ქალები, შერეული ოჯახების წარმომადგენლები".

■ ■ ■

**მარიკა კვიციანი,** პედაგოგი, აფხაზეთიდან დევნილი, 31 წლის: "მე მგონია, რაც მეტი შეხვედრა იქნება პირისპირ, უფრო უკეთესი იქნება. ერთმანეთთან უფრო გამოვნახავთ საერთო ენას. თუმცა, რასაკვირველია, საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობაც ძალიან მნიშვნელოვანია".

■ ■ ■

**მარინა ყიფშიძე,** ჟურნალისტი, მთარგმნელი, 40 წლის: "ამ კონფლიქტის ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ჩვენ ჩვენს ქმედებებზე ვიღაცის წინაშე ანგარიშვალდებულნი ვართ - რაღაცა დადებითი ნაბიჯი შეიძლება გადაიდგას, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციების ხედვით, ეს უარყოფითად შეფასდეს. ახლა ევროკავშირი აპირებს ამ კონფლიქტის მოგვარებაში ჩარევას. ის გამოდის რუსეთის ალტერნატიულ ძალად. თუმცა, მე ვფიქრობ, ევროკავშირის ჩარევა უფრო ფინანსური იქნება. საგულისხმო ის არის, რომ აფხაზები, რომლებიც აქამდე ურთიერთობის არანაირ სურვილს არ გამოთქვამდნენ, ახლა ეკონომიკურ საკითხებში თანამშრომლობით დაინტერესდნენ. ეკონომიკა უფრო დაგვაახლოებს და ერთმანეთთან ურთიერთობის სხვა გზებსაც დაგვისახავს. ამიტომ, უშუალო ურთიერთობები, მედიატორების გარეშე, ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია".

■ ■ ■

**ვანო შამანაური,** მშენებელი, აფხაზეთის ომის მონაწილე, 31 წლის: "საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევის გარეშე ჩვენ ვერაფერს მოვაგვარებთ, რადგანაც აფხაზები არანაირ დათმობაზე არ მოდიან. ამერიკას და ევროკავშირს უფრო აინტერესებთ ამ კონფლიქტის მოგვარება, რუსეთს - პირიქით. ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ, ისეთი ორგანიზაციები ჩავრთოთ საქმეში, ვინც რეალურად ხელს შეგვიწყობს".

■ ■ ■

**ქეთი ყალაბეგიშვილი,** პროექტების მენეჯერი, 27 წლის: "საერთაშორისო ორგანიზაციები, ისევე როგორც რუსეთი, აფხაზეთის პრობლემის მოგვარებით სულაც არ არიან დაინტერესებული, მათ გაყინული კონფლიქტი ურჩევიათ, რადგან ამ კონფლიქტებზე უამრავი თანხა იხარჯება და უამრავი ადამიანი იღებს სოლიდურ ანაზღაურებას. უკვე ვნახეთ, რა შედეგი მოიტანა მათმა "ძალისხმევამ", ახლა მოვსინჯოთ უშუალო, პირდაპირი მოლაპარაკებები ქართველებსა და აფხაზებს შორის, სხვების ჩაურევლად. მე ვფიქრობ, ეს უფრო შედეგის მომტანი იქნება".

## გადარჩენილი ფოტოები



*სოხუმი. 1970-იანი წლები. ნანული ბირკაია (მარცხნივ) თავის აფხაზ მეგობრებთან, დებ კვიწინიებთან ერთად.*

# "არძინბოვშინა" - რუსული ზეწოლის შედეგი ჟენევაში

*ჟენევაში ქართულ-აფხაზურ შეხვედრასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრი გამოითქვა. ზოგი შეხვედრას დადებითად აფასებს, სხვებს კი მიაჩნიათ, რომ შედეგი არ იქნება. ამასთან დაკავშირებით დიალოგზე მოვიწვიეთ სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი და ექსპერტი პაატა დავითაია.*



*პაატა ზაქარეიშვილი, გოგა ხაინდრავა და პაატა დავითაია.*

ზაზა ფარჯაშვილის ფოტო

ზაზა ფარჯაშვილი

**- რამდენად გაამართლა ჟენევის შეხვედრამ თქვენი მოლოდინი?**

**გოგა ხაინდრავა:** "განსაკუთრებული მოლოდინი ჟენევასთან დაკავშირებით არ იყო. წინასწარი კონსულტაციების შედეგად ვიცოდით, რომ განიხილებოდა სამი ძირითადი საკითხი: ადამიანის უფლებების დაცვა (ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გალში), ქართულ ენაზე სწავლების უფლება და საერთოდ უსაფრთხოება. ეს არ არის პოლიტიკური საკითხები, ჰუმანიტარულია და პოლიტიკური ურთიერთობების ხასიათის მიუხედავად დაცული უნდა იყოს. ასეთი იყო ჩვენი მოთხოვნა (და არა თხოვნა) აფხაზურ მხარესთან და თანამეგობრობასთან.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა ირაკლი ალასანია. მართალია, აფხაზურმა და რუსულმა მხარემ მოითხოვეს, დაგვედასტურებინა, რომ ირაკლი ალასანია მოლაპარაკებებში მონაწილეობდა როგორც საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყველამ კარგად იცის მისი თანამდებობა და ვის წარმოადგენს იგი - 250 ათას დევნილს. სხვათა შორის ირაკლიმ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მასზე უფრო მეტად შურისძიებისთვის მოტივირებული არავინაა, მაგრამ მისი ტონი მეგობრული იყო და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იმას ნიშნავს, რომ ის და შესაბამისად ქართველები აფხაზეთში შურისძიებისთვის არ მივდივართ.

აფხაზებისთვის მთავარი უსაფრთხოებაა და ისინი მოითხოვენ ჩვენგან დოკუმენტს, სადაც გაცხადებული იქნება, რომ აფხაზეთის კონფლიქტში სამხედრო ძალას არ გამოვიყენებთ. ჩვენ ამისათვის მზად ვართ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში გავცემთ ასეთ გარანტიას, თუ აფხაზური მხარე დაადასტურებს, რომ ყველა დევნილს აქვს სახლში დაბრუნების უფლება. ეს ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაციის მოთხოვნაა და აფხაზებს ისღა დარჩენიათ, აღიარონ ეს ნორმა.

აფხაზები აყენებენ ეკონომიკურ საკითხებს და პოლიტიკურ მოლაპარაკებებზე არ მოდიან. ჩვენ კარგად ვიცით, საიდან უბერავს ეს ქარი. სხვათა შორის ჩვენ ყველაფერი ვიცით, რაც აფხაზეთში ხდება - რა ძალები მოქმედებენ, ვინ რა პოზიციაზე დგას, რას აპირებს და ა.შ. ამიტომ მათ მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი გვაჩვენებს იმას, რაზე გავამახვილოთ ყურადღება. ცხადია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოხუმი რუსული მხრიდან სრული კონტროლის ქვეშაა. ისიც უნდა ითქვას, რომ სოხუმის დღევანდელ ხელისუფლებაში აფხაზური იდეა წონადია. წინასაარჩევნო დაპირისპირება სწორედ იმიტომ მოხდა, რომ რუსებს ამ მენტალიტეტის ხალხის მოსვლა არ სურდათ და მხარს ხაჯიმბას უჭერდნენ. ხაჯიმბას საარჩევნო პლაკატზე პირდაპირ არის გამოხატული, რომ ის რუსეთის ინტერესების დამცველია.

თუმცა, ვინც არ უნდა იყოს, ქართველი და აფხაზი ხალხის ინტერესები მაინც გადაიკვეთება. სად და რა ეტაპზე, ძნელი სათქმელია, მაგრამ ჩვენ ერთი დიდი ოჯახის წევრები ვართ, საერთო ინტერესები გვაქვს და სხვა ოჯახის კარნახი არ გამოგვადგება. ეს აფხაზებსაც კარგად ესმით, მაგრამ რუსული ზეწოლა, ჯერჯერობით, ყველაფერს აფუჭებს. საერთაშორისო მეგობართა ჯგუფზე აფხაზურმა პოზიციამ ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. ეს იყო სუფთა "არძინბოვშინა" და მე ვგრძნობდი რუსული ზეწოლის შედეგს. საერთო ჯამში ხაჯიმბას შარშანდელი განცხადების ფონზე, ქართულ მხარესთან არავითარ მოლაპარაკებებზე არ მივდივართო, ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო".

**პაატა დავითაია:** "სხვათაშორის, გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზების უშიშროების საბჭოს მდივანმა ლაკობამ შამბას დიდი საყვედური უთხრა, ქართულ მხარესთან ერთად იტალიაში რატომ ჩახვედიო. ჩვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვაშენებთ, შენ კი იტალიაში ავტონომიის ცხოვრებას ეცნობიო".

**გოგა ხაინდრავა:** "როგორ შეიძლება, ადამიანი დაადანაშაულო იმაში, ქართველებს რატომ ელაპარაკებიო. ვინც ამას აკეთებს, საკუთარი ხალხის მტერია. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ქართველების გარეშე აფხაზეთის საკითხი ვერ გადაწყდება. ვინც ასეთ განცხადებებს აკეთებს და ვითომ რადიკალობით თავს იწონებს, დამნაშავეა საკუთარი ხალხისა და შთამომავლობის წინაშე. თუ ჩვენი თაობა, ვინც ერთმანეთს ვიცნობდით და პატივს ვცემდით, მოლაპარაკებებს გავექეცით და ჩვენ დროს გაფუჭებული საქმე თავად არ მოვაგვარეთ, ჩვენი შვილები როგორღა უნდა შერიგდნენ. ამიტომ ვართ ვალდებულები ქართველები და აფხაზები, ნიადაგი მოვამზადოთ თანაცხოვრებისთვის, რომ ჩვენი შვილები ერთმანეთის მტრებად არ გადავაქციოთ."

**პაატა ზაქარეიშვილი:** "ჩემი მოლოდინი გამართლდა. უბრალოდ, გააჩნია, ვის რა მოლოდინი ჰქონდა. მოლაპარაკებების პროცესის ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ, ეს იყო ქართულ-აფხაზური პირველი შეხვედრა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირაკლი ალასანიას მონაწილეობას, რაც ორმხრივი კომპრომისის შედეგი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავად შეხვედრა არის უკვე პოზიტიური მოვლენა, ვინაიდან მხარეების დაშორებით პრობლემები არ გადაწყდება. მით უმეტეს, რომ მომდევნო შეხვედრა უფრო კონკრეტული იქნება, ეკონომიკური საკითხები განიხილება. იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკური საკითხები რუსეთის მხრიდან შემოგდებული თემაა, ჩვენთვისაც ხელსაყრელია. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა წავიდეთ ყველაფერზე, რაზეც აფხაზები წამოვლენ - ეკონომიკა, კულტურა, სპორტი და ა.შ. არ ჯობია, მივიდეთ იქამდე, როცა პოლიტიკურის გარდა ყველა სფეროში ურთიერთობა მოგვარებული გვექნება და მხოლოდ პოლიტიკა დაგვრჩება?

ბაგაფში რომ აცხადებს, ამ ეტაპზე ჩვენთვის პრიორიტეტულია ეკონომიკური ურთიერთობებიო, იმას ნიშნავს, რომ სხვა ეტაპებიც იგულისხმება. თუ ჩვენ წინ წავწიეთ რკინიგზის საკითხი, მაშინ შეგვეძლება, მოვუწოდოთ აფხაზებს, მათაც გადმოდგან ჩვენსკენ ნაბიჯი და ვისაუბროთ, ვთქვათ, დევნილების დაბრუნებაზეც. ნუ დაველოდებით დათმობას იქითა მხრიდან, პირველად ჩვენ დავთმოთ, მითუმეტეს, რომ რკინიგზა ჩვენს ინტერესებშიც შედის. შემდეგ თუ დევნილების დაბრუნებაზე უარს იტყვიან, სხვა მნიშვნელოვანი საკითხები წამოვწიოთ. თუ არა და ჩავკეტოთ რკინიგზა. ჩვენს ხელში არ არის?

**გოგა ხაინდრავა:** "მითუმეტეს, რომ რკინიგზა რუსეთიდან ოჩამჩირემდე მუშაობს".

**პაატა ზაქარეიშვილი:** "ამიტომ მიმაჩნია, რომ დინამიკა ნამდვილად იგრძნობა და მე მეტის მოლოდინი არც მქონდა. რაც შეეხება გალში ქართულ ენაზე სწავლებას, წინასაარჩევნოდ ბაგაფშმაც განაცხადა, რომ ქართული ენა არ იქნება შევიწროებული და ამ მხრივ, მე მგონი, პრობლემები არ უნდა იყოს. ამით ყველა მხარე მოგებული დარჩება, ნდობაც მეტი იქნება და მშვიდობაც".

**პაატა დავითაია:** "კარგია, რომ მოლაპარაკებები დაიწყო, თუმცა წინგადადგმულ ნაბიჯს არც ველოდებოდი. შეიძლება აფხაზური მხარე მზად იყოს კიდეც რაიმე კომპრომისისთვის, მაგრამ რუსული მხარე ამას არ დაუშვებს. აფხაზეთის 90 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა, პენსიებს რუსეთიდან იღებენ, საბანკო სისტემები და წარმოებები გაერთიანებულია..."

**პაატა ზაქარეიშვილი:** "ეს უკანონობაა და მოვა დრო, მოევლება".

**გოგა ხაინდრავა:** "საერთაშორისო სამართალმაც იცის, რომ ეს უკანონოა".

**პაატა დავითაია:** "უკანონოა, მაგრამ ეს სისტემა მუშაობს და რუსეთი ადვილად არაფერს დათმობს. აფხაზეთში თანამდებობებზე ინიშნებიან რუსეთის მაღალი სამხედრო ჩინები, ხდება ფულის გათეთრება.

ამიტომ ჩვენი მოქმედება უნდა იყოს მაქსიმალურად კოორდინირებული. ოფიციალური განცხადებები უნდა კეთდებოდეს იმ პირთან შეთანხმებით, რომელიც აფხაზებთან მოლაპარაკებებს ხელმძღვანელობს, რომ მას ხელი არ შეეშალოს. ბატონ ირაკლი ალასანიას მონაწილეობას მივესალმები, მაგრამ მიმაჩნია, რომ მოლაპარაკებები უნდა აწარმოოს ერთმა პირმა, რომელიც ამ საქმეში გამოცდილია, მცოდნეა და აფხაზებთანაც ურთიერთობა არ უჭირს. ვეთანხმები, რომ მთავარია ადამიანის უფლებების დაცვა და უსაფრთხოება. 2004 წლიდან დღემდე გალში 138 ქართველი მოკლეს".

**გოგა ხაინდრავა:** "ეს იმის დამადასტურებელია, რომ რაც 1992 წელს აფხაზეთში დაიწყო, გრძელდება".

**პაატა დავითაია:** "სამწუხაროდ, საერთაშორისო თანამეგობრობა ამის შესახებ ოფიციალურად ინფორმირებული არ არის. არადა ჩვენს შემთხვევაში, როცა აფხაზეთის ტერიტორიას ვერ ვაკონტროლებთ, საერთაშორისო სანქციებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება რკინიგზის გახსნას, თანახმა ვიქნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჩამჩირე-გალი-ზუგდიდის მონაკვეთს მოემსახურებიან არა რუსები, არამედ ქართველი რკინიგზელები (აფხაზი რკინიგზელი, სამწუხაროდ ბუნებაში არ არსებობს).

რაც არ უნდა იყოს, არაფერი გაკეთდება კოორდინაციისა და კონფლიქტის მოგვარებისადმი კომპლექსური მიდგომის გარეშე. მაგალითად, სახელმწიფო მოლაპარაკებებს აწარმოებს; ზაქარეიშვილი კონცეფციას ქმნის, რითიც აფხაზებს ეუბნება, რომ ქართული მხარე მზადაა მნიშვნელოვანი კომპრომისებისთვის; დავითაია კი მიმართავს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს და ა.შ. ამუშავდეს ყველა შესაძლო ბერკეტი. სხვათა შორის მე 7-8 წელი უნდა ველოდო, მაგრამ სახელმწიფომ რომ მიმართოს ჰააგის სასამართლოს, რეაქცია 2 წელში იქნებოდა".

**- როგორია თქვენი პოზიცია ჰააგის სასამართლოს ბერკეტთან დაკავშირებით?**

**გოგა ხაინდრავა:** "მთავარია, კრიმინალი არ იყოს, თორემ აზრის გამოთქმის თავისუფლება ყველას აქვს. ჩვენ უნდა ვცნობდეთ აფხაზთა მოთხოვნის ლეგიტიმურობას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერზე დავთანხმდეთ. უბრალოდ უნდა ვაღიაროთ, რომ მათ აქვთ საკითხის თავისებურად დაყენების უფლება, ოღონდ ეს არ უნდა იყოს დანაშაულებრივი ქმედება. მაგალითისთვის, აპარტეიდი, რომელსაც გალის რაიონში აქვს ადგილი, დანაშაულია კაცობრიობის წინაშე. ამას ყველგან დავამტკიცებ, მაგრამ იმის განცხადება, რომ რომელიმე აფხაზს ქართველთან ერთად ცხოვრება არ უნდა, თავისთავად დანაშაული არ არის. ეს არის აზრი, რომელსაც არ ვეთანხმებით, მაგრამ ვაღიარებთ, რომ მას არსებობის უფლება აქვს.

ჩვენ პირველ რიგში დანაშაულზე პასუხი საკუთარ მხარეს უნდა მოვთხოვოთ, შემდეგ - აფხაზურს. ასევე უნდა მოიქცნენ ისინი, კრიმინალს ეროვნება არ გააჩნია. საბოლოო ჯამში ჩვენ უნდა გავასამართლოთ ყველა სამხედრო დამნაშავე.

ამასთან დაკავშირებით სრულიად უაზროდ მეჩვენება აფხაზური მხარის განცხადება, რომ ვინც იბრძოდა ვერ დაბრუნდებიანო. ვერ უნდა დაბრუნდეს სამხედრო დამნაშავე, თორემ ის ვინც საკუთარ ოჯახს და მიწას იცავდა, რა დააშავა.

ქართველებს ერთი რამეც უნდა გვესმოდეს, რომ აფხაზები ჩვენზე გაცილებით მცირერიცხოვანი ხალხია და მათ ეშინიათ ჩვენი დაბრუნების. ეს ბუნებრივი ინსტიქტია. ამიტომ უნდა დავარწმუნოთ ჯერ ჩვენი საზოგადოება, შემდეგ აფხაზური იმაში, რომ ქართველები აფხაზეთში სამტროდ კი არა თანაცხოვრებისთვის მივდივართ. შემდეგ ხელს ვერც რუსეთი შეგვიშლის.

რაც შეეხება ჰააგის სასამართლოს, ეს ჰუმანიტარული საკითხია, საერთო საკაცობრიო თემაა და ჩვენ, ბუნებრივია, მხედველობაში გვაქვს. თუ დავინახავ, რომ საქმე შეთანხმებისკენ მიდის, ამ ბერკეტისგან თავს შევიკავებ, მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ სეპარატისტები ბოროტად იყენებენ ჩვენი და მსოფლიო თანამეგობრობის კეთილგანწყობას, ამ საკითხს ძალიან პრინციპულად მივუდგებით. კი, ბატონო, ორივე მხარემ ერთად მივმართოთ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს და ყველამ იკისროს თავისი წილი პასუხისმგებლობა. ხმამაღლა ვაცხადებ, თუ საერთაშორისო სამართალი საჭიროდ მიიჩნევს პირადად მე მზად ვარ ყველა კითხვას გავცე პასუხი, ჰააგაში იქნება ეს თუ სხვა ნებისმიერ ადგილზე. ამასვე მოვითხოვ სხვებისგანაც".

**პაატა ზაქარეიშვილი:** "ცხადია, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, მაგრამ ჰააგასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი მაქვს იმდენად, რამდენადაც მიმაჩნია, რომ დღეს უმთავრესია კონფლიქტის მოგვარება, რაც კონტექსტში ამნისტიასაც გულისხმობს. ეს არის მშვიდობის დამყარების ფორმა.

ასეც რომ არ იყოს, სისხლის სამართლის კოდექსში გენოციდის მუხლი არის და რა უშლის ხელს სახელმწიფოს, აამოქმედოს ეს ბერკეტი".

**პაატა დავითაია:** "საქმეც იმაშია, რომ სახელმწიფოს ხელს არაფერი შეუშლის, პოლიტიკური ნება რომ იყოს. თუმცა შეიძლება, ამან მოლაპარაკებებში ხელი შეგვიშალოს".

**პაატა ზაქარეიშვილი:** "იგივე პრობლემა იქნება საერთაშორისო სასამართლოს შემთხვევაშიც. ერთი სიტყვით ამ ბერკეტის განხილვა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებებს ხელი არ შეეშლება".

**- როგორ მოქმედებს საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების მიერ გაკეთებული აგრესიული განცხადებები სამშვიდობო პროცესზე?**

**გოგა ხაინდრავა:** "აგრესიული განცხადებების მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს. ასეთი პოზიცია აქვთ ჩვენი მეგობრების ჯგუფსაც და ამას არც მალავენ. მაგალითად ტერი დევისმა პირდაპირ აღნიშნა, რომ აგრესიული გამონათქვამები აბსოლუტურად მიუღებელია. ისინი ცალსახად გვეუბნებიან, თქვენ თუ ძალას გამოიყენებთ ჩვენი იმედი ნუ გექნებათო. ასეთია მათი პოზიცია. ცხადია, სახელმწიფოს საკუთარი პოზიცია აქვს. მე, როგორც სახელმწიფო მოხელე, რომლის ამოცანაა კონფლიქტების მოგვარება, ვაცხადებ, რომ ძალისმიერი გზით კონფლიქტს ვერ მოვაგვარებთ. ამ საქმისთვის სამხედრო იარაღი უვარგისია".

**პაატა ზაქარეიშვილი:** "სამწუხაროდ, აგრესიული განცხადებები ყოველთვის კეთდებოდა და ეს არ არის ახალი მოვლენა. ამის გამო ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და ჩვენი მეგობარი ქვეყანა გამოთქვამს გულისტკივილს. თუმცა ამის გამო ჩვენთან კონტაქტი არავის გაუწყვეტია.

ასეთი განცხადებები პირველ რიგში საქართველოს ინტერესების საზიანოდ ჟღერს. ცუდად მოქმედებს მოლაპარაკებების შედეგზეც. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა აგრესიული განცხადებების გამო მოლაპარაკებები სულ სხვა მიმართულებით წასულა და მთავარი საკითხები აღარ განხილულა.

შეიძლება ასეთი განცხადებები გარკვეულ მომენტში საჭიროა, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს იმგვარად და იმ დროს, რომ საქმე გაფუჭდეს".

**პაატა დავითაია:** "თუ იქნება კოორდინირება, მაშინ ასეთი განცხადებები უადგილოდ აღარ გაკეთდება".

**- ხომ არ ახლოვდება ის დღე, როცა აღმოვაჩენთ, რომ აფხაზეთი საქართველოსთვის დაკარგულია?**

**პაატა დავითაია:** "21 საუკუნეში არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ეს მოხდეს, მაგრამ მე მაინც მეშინია. რუსეთი ემზადება იუგოსლავიის მაგალითისთვის და ყველაფერს აკეთებს ამისთვის".

**პაატა ზაქარეიშვილი:** "მე მოკლე პასუხი მექნება, ამგვარი შიშისთვის საფუძველი არ არსებობს. აფხაზებს საამისოდ არავითარი რესურსი (ეთნიკური, კულტურული, სახელმწიფო-პოლიტიკური) არ გააჩნიათ, ხოლო რუსები აფხაზების გარეშე ამას ვერ მიაღწევენ. პირიქით, ყველა რესურსი არსებობს იმისათვის, რომ ჩვენ აფხაზი ხალხი დავიბრუნოთ. ის, რომ სოხუმის მთავრობა რუსეთისკენ მიიწევს, იმის მიმანიშნებელია, რომ მათთვის მთავარი დამოუკიდებლობა კი არა, უსაფრთხოებაა. ამიტომ ჩვენ უნდა დავანებოთ თავი მუქარას და მივცეთ მათ უსაფრთხოების გარანტიები. ასეთ შემთხვევაში ძალიან ბევრი აფხაზი შემობრუნდება საქართველოსკენ".

**გოგა ხაინდრავა:** "არ არსებობს, საქართველო აფხაზეთს არ დაკარგავს. ჩვენი ამოცანაა, აფხაზეთი აფხაზებთან ერთად დავიბრუნოთ. რაც უფრო გაჭიანურდება ეს პროცესი, მით უფრო დიდი საფრთხე დაემუქრება პირველ რიგში აფხაზებს. ამას არც თავად აფხაზები დაუშვებენ, დამერწმუნეთ. აფხაზურ ეთნოსს მომავალი მხოლოდ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში აქვს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შევრიგდებით. გერმანელებმა 6 მილიონი უდანაშაულო ებრაელი გაწყვიტეს, მაგრამ დღეს გერმანელები და ებრაელები მეგობარი ერები არიან. ამ მაგალითის წინაშე ყველა უძლურია. ეს ხალხი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მომავალს წარსულის პატიება სჭირდება".

## რადიო "ათინათს" გალშიც უსმენენ

*თითქმის ერთი წელია, რაც ქალაქ ზუგდიდში მოქმედი რადიოსადგური "ათინათის" გადაცემებს FM დიაპაზონზე, არა მხოლოდ სამეგრელოს რეგიონში, არამედ აფხაზეთში, გალის რაიონის სოფლებშიც უსმენენ. აღნიშნული საქმიანობა ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" კიდევ ერთი პროექტია, რომლის მიზანია ქართული და აფხაზური საზოგადოების დიალოგი.*

ლელა მარგიანი

ზუგდიდის რადიოსადგურ "ათინათის" მიერ განხორციელებულ პროექტს, მისმა შემსრულებლებმა, ტყუილა, როდი უწოდეს "კონსოლიდაცია". პროექტის მონაწილე ახალგაზრდა რადიო-ჟურნალისტებმა კარგად იციან, რომ ზუგდიდი ის ქალაქია, სადაც 60 ათასამდე აფხაზეთიდან დევნილმა შეაფარა თავი. იქ ყველაზე მეტად იგრძნობა მშობლიური აფხაზეთის მხრიდან ქარის მიერ მონაბერი ზღვის მლაშე სუნი. იქიდან სულ ერთი ხელის გაწვდენაზეა იძულებით მიტოვებული სამოსახლო.

**" მოლოდინი და იმედები დიდია, ადამიანებს დროებით გაწყვეტილი ახლობლური კავშირების, ძველი ურთიერთობების აღდგენა სწყურიათ. რაც დრო გადის, მით უფრო აუტანელი ხდება მხარეებს შორის უნდობლობის ბარიერის არსებობა. მერე იმაზე იწყებენ საუბარს, რომ არ შეიძლება, ქართველ კაცს სძულდეს აფხაზი, ვისთანაც მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება და ტრადიციები აკავშირებს,"** - მიაჩნია რადიო "ათინათის" ახალგაზრდა ჟურნალისტს თამუნა ცხონდიას.

იმისთვის, რომ უშუალო ურთიერთობის საშუალება ჰქონდეთ ქართველებს და აფხაზეთის მოსახლეობას, კვირაში სამჯერ გადის ეთერში (ორჯერ ქართულად და ერთხელ რუსულად) პროექტი "კონსოლიდაცია".

**"ჩვენი პროექტი მიზნად ისახავს მსმენელების ჩართვას კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. ნდობის აღდგენა აფხაზურ და ქართულ საზოგადოებებს შორის არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ყინულის გალღობას შეუწყობს ხელს. გადაცემების დროს ჩვენ მსმენელებს ვაძლევთ საშუალებას, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები კონფლიქტისა თუ სხვადასხვა თემის გარშემო. ერთ-ერთი პირველი თემა, რომელიც ჩვენ პირდაპირ ეთერში მსმენელებთან ერთად განვიხილეთ, იყო ქართველი ექსპერტების ჯგუფის მიერ მომზადებული "კონცეფცია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის" შესახებ.**

**ხშირად გადაცემის მსვლელობისას გვიკავშირდება აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობა. გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. მახსოვს, დაგვირეკა გალის მკვიდრმა, ბატონმა ოთარ ჩხეტიამ, რომელმაც მოგვიწონა წამოწყება და აღნიშნა, რომ ჩვენი რადიო-პროექტი მნიშვნელოვანი საქმეა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საქმეში, რომ ჩვენ-ქართველებმა მართლაც უნდა გავაგონოთ აფხაზებს სასიკეთოდ ნათქვამი სიტყვები. მერე იქნებ ახლოსაც მიგვიშვანო,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში რადიო-სადგურ "ათინათის" ჟურნალისტმა თამუნა შონიამ.

"ათინათს" მეორე გადაცემაც აქვს, რომელსაც ასევე ბევრი მსმენელი ჰყავს გალისა და ზუგდიდის რაიონებში. ამ აპოლიტიკურ გადაცემას, რომელიც კვირაში ერთხელ გადის, "ბილიკები" ჰქვია. გადაცემაში მოწვეული სტუმრები იხსენებენ აფხაზ მეზობლებსა და მეგობრებს, ძველ ურთიერობებს. ისეთი სტუმარიც ხშირად ჰყავთ, ვისაც აფხაზურ ენაზეც შეუძლია შეეხმიანოს ენგურს გაღმა მცხოვრებლებს.

თურმე მათ ხშირად ურეკავს გალში მცხოვრები მზევინარ კვეკვესკირი, რომელიც აცხადეს, რომ აუცილებელია ურთიერთობების აღდგენა და შერიგება. ქართველებმა და აფხაზებმა, ერთად უნდა ვიცხოვროთ ჩვენს საერთო მიწაზეო.

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**

ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

უარი დოკუმენტალისტიკას და ანიმაციას

B3

სწრაფად მოვიგოთ პრემიერლიგა

B4

მასონთა შეულამაზებელი ისტორია III

B6

# იდგნენ და ელოდნენ

*ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია: თუ რომელიმე თქვენგანი ნამყოფია ლონდონში, ჟენევასა ან ედინბურგში, მას თბილისის ბოტანიკური ბაღი ნაკლებად მოხიბლავს. ვისაც წილად არ ერგო ამ მშვენიერი პარკების დათვალიერება, მაგრამ თუნდაც ხუთი წლის წინანდელი ბოტანიკური ბაღი ახსოვს, ვურჩევ, ხელახლა ეწვიოს აქაურობას. ჯერჯერობით აქ ყველა მცენარე არ ყვავის, ჩიტების ჭიკჭიკიც აქა-იქ გაისმის და შეყვარებულ წყვილებსაც კანტიკუნტად წააწყდებით. დირექციაშიც არავინ დაგიხვდებათ. მიზეზი: ყველანი თავ-თავიანთ ნაკვეთებზე არიან გასული, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოტანიკურ ბაღში ფული გაჩნდა და საგაზაფხულო სამუშაოები მიმდინარეობს.*

სოფიო თოდუა

## მითიდან რეალობამდე

შევარდნაძის ერთ-ერთ საპრეზიდენტო პროგრამაში, სადაც ლაპარაკია ქართველი ქალის როლზე, საინტერესო ადგილს წავაწყდი. ღირსეულ და მისაბაძ მანდილოსნებს შორის კოლხი მედეაც ფიგურირებდა. გულიანად ვიცინე. არგონავტების მითზე შექმნილი ყველა არაჩვეულებრივი ლიტერატურული ნაწარმოების, მხატვრული ტილოსა თუ კინოფილმის მიუხედავად, მედეა ერთი უსინდისო დედაკაცი იყო, რომელმაც ვიღაც გადამთიელის გამო მამაც გაწირა, ძმაც და, რაც მთავარია, ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრე უცხოელს გაატანა. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, შევარდნაძის პროგრამის ამ ნაწილის დამუშავება ერთ ახალგაზრდა მწერალს მიანდეს. მწერალი კიდევ რისი მწერალია, ფანტაზიას გასაქანი არ მისცეს, მით უფრო, როცა ამავე თემაზე ოთარ ჭილაძის მშვენიერი რომანი ეგულება. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა. მაგრამ ამ ჩვენს მედეას ჭკუა აშკარად უჭრიდა და უბირიც არ გახლდათ, ყოველ შემთხვევაში, გრძნეულად იმიტომ მოიხსენიებოდა, რომ კოლხეთის ფლორას ხუთი თითივით იცნობდა და სხვადასხვა დანიშნულების წამლებს ამზადებდა. ასე რომ, როცა სიტყვა ბოტანიკურ ბაღზე ჩამოვარდება, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს ასეთი შორეული პარალელის გავლება, აუცილებლად მითიურ მედეამდე მივალთ. ამასვე მოწმობს ბერძნულ-რომაული წყაროები, რომელთა მიხედვითაც მედეას სამკურნალო მცენარეების წალკოტში გახარებული მცენარეების ეტიმოლოგია საქართველოს უკავშირდება.

ფაქტია, რომ ბოტანიკური ბაღების პირველადი დანიშნულება სამკურნალო მცენარეების მოშენება იყო, დეკორატიულ მხარზე ყურადღების გამახვილება შედარებით გვიან დაიწყო. შუა საუკუნეების ევროპაში ასეთი ბაღები თითქმის ყველა მონასტერთან იყო გაშენებული. თავდაპირველად ეს პარქტიკა მე-16 საუკუნის იტალიაში დაინერგა, მოგვიანებით საფრანგეთში, გაერმანიასა თუ ნიდერლანდებშიც გავრცელდა. ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია დეკორატიული ბაღები - "სამოთხენი" და "მტილ-სამოთხენი". ლეონტი მროველი (IV ს.) მირიან მეფის ბაღზე ლაპარაკობს, სადაც მოგვიანებით სვეტიცხოვლის ტაძარი აიგო. თეიმურაზ I-ისა და არჩილ მეფის თხზულებებით დასტურდება, რომ "ცოდნის წყაროდ" მიაჩდათ ლევან კახთა მეფის (XVI ს.) ბაღი გრემში. ასევე ცნობილი იყო შაჰნავაზისა (გარდაიცვალა 1675 წ.) და ვახტანგ VI-ის (1675-1737 წ.წ.) "სამეფო დიდი ბაღი", რომელიც დღევანდელი ბოტანიკური ბაღის წინამორბედადაა მიჩნეული. პირველ ცნობებს ბოტანიკური ბაღის შესახებ, რომელიც "ციხის ბაღად" მოიხსენიება, ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი გვაწვდის. შარდენმა საქართველოში 1672-73 წლებში იმოგზაურა. მისივე თქმით, ამ დროისათვის აქ ადგილობრივი ჯიშების გარდა კულტივირებული ყოფილა უნიკალური უცხოური მცენარეები. რადგან ასეთი პარკის გაშენებას სულ მცირე 50 წელი დასჭირდებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბოტანიკური ბაღის ისტორია დაახლოებით 1625 წლიდან იწყება. მოგვიანებით ეს ბაღი უცხოელთა შემოსევების შედეგად განადგურდა. მისი აღდგენა მხოლოდ მე-19 საუკუნეში გახდა შესაძლებელი. 1845 წელს მას ოციფიალურად ეწოდა ბოტანიკური ბაღი. იქიდან მოყოლებული აქაურობას არაერთი ქართველი თუ არაქართველი დირექტორი ახსოვს. მათი სახელები შესასვლელში აღმართულ ქვის სტელაზე მხოლოდ ფაქტის კონსტატირებას არ ისახავს მიზნად - ყოველი მათგანი ბაღის გამდიდრებაზე ზრუნავდა და თბილისის ბოტანიკური ბაღიც ერთ-ერთ საუკეთესო პარკად ითვლებოდა მთელ მსოფლიოში. დღევანდელი დირექტორი ჯიმშერ კერესელიძე იმედოვნებს, რომ ბაღი ძველ დიდებას დაიბრუნებს და ოდესმე მისი სახელიც ამოიტვიფრება წინამორბედების გვერდით.

## მძიმე მემკვიდრეობა

1985 წლის მონაცემებით თბილისის ბოტანიკური ბაღი 156 ჰექტარზე იყო გადაჭიმული და ხებუჩქებისა და ყვავილოვანი მცენარეების 4 898 სახეობასა თუ სახესხვაობას ითვლიდა. ოცი წლის თავზე ბაღის ტერიტორია 128 ჰექტარამდე შემცირდა. რაც შეეხება მცენარეებს, იმდენად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, მხოლოდ მეხსიერებაში თუ შემოგვრჩა, რომ აქაურობას ერთ დროს ბოტანიკური ბაღი ერქვა. მთელი ამ გაუსაძლისი წლების განმავლობაში გაუთავებელ ხვეწნა-მუდარას შედეგი არ მოჰყოლია. ბაღს ყურადღებას მხოლოდ თანამშრომლები აქცევდნენ, მაგრამ მათი ძალისხმევის მიუხედავად თითქმის განადგურდა მცენარეთა უნიკალური კოლექცია, მთლიანად მოიშალა სარწყავი სისტემა, დაინგრა სამეურნეო ნაგებობები, მოირღვა შემოსასვლელი ღობე და ბოტანიკური ბაღი მიტოვებულ პარკს დაემსგავსა. სახელმწიფოს კი ამ დროს სულ სხვა გეგმები ამოძრავებდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ერთმა ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა, რომელიც ყველა მოწვევის პარლამენტის წევრია, თანამშრომლებს "სარფიანი" წინადადებით მიმართა და პარკის ტერიტორიაზე შეძლებული ქართველებისთვის კოტეჯების ჩადგმა შესთავაზა. მახლას, დირექციამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, თორემ აქ ცხოვრებას რა სჯობდა! არადა, ცოტაც რომ დასცლოდათ, სააკაშვილი ხელს სხვა მიმართულებით გაიშვერდა, თუმცა ჩამორთმევით მაინც არავის არაფერს ჩამოართმევდნენ. დიდი-დიდი, ყველაზე მომცრო კოტეჯი რომელიმე საბავშვო ბაღისთვის გადაეცათ. დღევანდელი ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვა იმაში გამოიხატება, რომ სანდრა რულოვსს პერიოდულად ჰოლანდიიდან ტიტები ჩამოაქვს - ესეც საქმეა. სხვათა შორის, ერთი ჰოლანდიელი წყვილი, აქვე რომ სახლობს, ბაღს ყვავილებით ამარაგებს და მერე ძალიან განიცდის, გახარებული ყვავილები ძირფესვიანად მოგლეჯილი რომ ხვდება. რაც შეეხება მერიისა და საკრებულოს მაღალჩინოსნებს, მათ, როგორც ჩანს, აბანოთუბანში ბავშვობის დროინდელი ბოტანიკური ბაღი ეგულებათ და იქ მისვლას არ ჩქარობენ. სხვათა შორის, აქ არც ბიძინა ივანიშვილი გამოჩენილა (ყოველ შემთხვევაში, თანამშრომლებს არ უნახავთ, თუმცა ეჭვობენ, რომ საკუთარი ვერტმფრენით დროდადრო ბაღს გადაუფრენს ხოლმე), მაგრამ "ქართუს" სახით ბოტანიკურს პატრონი გამოუჩნდა და ისიც ნელ-ნელა იბრუნებს პირვანდელ სახეს.







თუ კვალიფიციურ კადრებს არ მივიღებთ მხედველობაში, ივანიშვილს ბაღში პრობლემები უხვად დაახვედრეს. პირველი და უმთავრესი, რაც ამ ტიპის პარკებს ესაჭიროება, ეს სარწყავი სისტემის მოწესრიგებაა. აქ კი მთელი ამ წლების განმავლობაში ცას შეჰყურებდნენ და ელიას მოწყალებას შესთხოვდნენ. დღეს ბოტანიკური ბაღი კვირაში სამჯერ მაინც ირწყვება. დაუცველ ტეროტორიაზე ყველას შეეძლო არათუ შესვლა, არამედ აქა-იქ შემორჩენილი უნიკალური მცენარეების განადგურება ან მოჭრა. ამჟამად ბაღს დაცვაც ჰყავს და ტერიტორიაც, ასე თუ ისე, შემოღობილია, თუმცა აქაურ მცენარეებს ხშირად წააწყდებით ბაზრებსა და ფლორადიზაინის მოყვარულ ოჯახებში. იმ ათი ნაგებობიდან, რომლებიც ბაღშია განთავსებული, ყველას სჭირდება შეკეთება, მათ შორის - მუზეუმის ორსართულიან ნაგებობასაც. გამონაკლისია მხოლოდ ახალი ადმინისტრაციული შენობა. დაახლოებით ასი თანამშრომლიდან ნახევარზე მეტი მუშაა, მაგრამ ამხელა ტერიტორიის მოსავლელად ეს საკმარისი არ არის. საქმეს ართულებს ისიც, რომ აქ შავ სამუშაოს ჩვეულებრივ მუშას ვერ ანდობ, მებაღეობის ინსტიტუტი კი ჩვენს ქვეყანაში თითქმის მოშლილია. ამდენად, აქაურ თანამშრომლებს, კანდიდატებსა თუ დოქტორებს, ხელში ბარი და ნიჩაბი უფრო დიდხანს უჭირავთ, ვიდრე კალმისტარი. "ქართუს" სახსრებითვე (22 000 ევრო) შარშან პოლონეთიდან ახალი ნარგავები ჩამოიტანეს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, მცენარეები ადგილობრივ გარემოს კარგად შეეგუენ. სახელმწიფოს ბოტანიკური ბაღის შენახვა წელიწადში 60 000 ლარი უჯდება, "ქართუს" - 25 000 დოლარი. ყველაფერი ერთად იმის საშუალებას იძლევა, რომ დროდადრო ექსპედიციები მოაწყონ და კოლექციები გაამდიდრონ. თუ პოლონეთიდან ჩამოტანილ ექსპონატებს არ ჩავთვლით სათვალავში, ორი წლის წინ ტროპიკული მცენარეები კიევის ბოტანიკური ბაღიდან ჩამოიტანეს - რა თქმა უნდა, უფასოდ. სხვათა შორის, მცენარეების გაცვლა აპრობირებული მეთოდია და დღესაც ბევრი ითხოვს თბილისის ბოტანიკურ ბაღში დაცულ მცენარეებს. გაუმჯობესებული პირობებისა თუ გაზრდილი ხელფასების მიუხედავად (200-300 ლარი) 128 ჰექტარის სათანადოდ მოვლას გაცილებით მეტი სჭირდება. ჩვენ კი ლაპარაკი მხოლოდ იმაზე გვიწევს, რომ თბილისის ბოტანიკური ბაღი განადგურებას გადაურჩა. რა იქნება ხვალ? იმედია, "ქართუ" პირობას არ დაარღვევს. იქნებ დღეს არც კი ღირდეს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ თავის დროზე აკადემიის პრეზიდიუმმა ივანიშვილთან რატომღაც ოცდახუთი წლის ნაცვლად მხოლოდ თორმეტწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ასე რომ, ამ თორმეტი წლის განმავლობაში სტახანოვურად თუ იმუშავებენ, იქნებ თბილისში ჩამოსულ ტურისტებს ბოტანიკური ბაღიც დავათვალიერებინოთ.

## Viola - ახალი გატაცება

უცხო თვალისთვის მცენარეებთან ურთიერთობა სასიამოვნოა - მაგალითად, ორანჟერეაში, სადაც მუდმივი გაზაფხულია და ტემპერატურა პლუს 17 გრადუსზე დაბლა არ იწევს. ეს დღეს, თორემ იმ საშინელი წლების დროს, როცა გათბობაზე ფიქრიც კი უხერხული იყო, ორანჟერეა თითქმის განადგურდა და მხოლოდ სამი წლის წინათ აღსდგა. უკეთესი იქნებოდა გვეთქვა: ყველაფერი ნულიდან დაიწყო. იმ სამ ქალბატონს, რომლებიც ორანჟერეაში მუშაობენ, დილის ათი საათიდან ხუთ საათამდე (აქ სამუშაო გრაფიკს მკაცრად იცავენ) ხელები მიწაში აქვთ ჩაფლული და ფაქტობრივად მუშის გასაკეთებელს აკეთებენ. ზამთარში კიდევ რა უჭირს, მაგრამ ზაფხულობით აქ გაუსაძლისი სიცხე და ტენია, რაც ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. აქედან გამომდინარე, წესით მათი ხელფასები უფრო მაღალი უნდა იყოს. წესით, ორანჟერეაც გარემონტებული უნდა იყოს, მაგრამ ერთი კაცი ყველაფერს ვერ გასწვდა, აქაური თანამშრომლები კი იმაზეც მადლობელი არიან, რომ უკვე 1500 დასახელების ტროპიკულ მცენარეს უვლიან. მათი ჰობი ამჟამად იებია და ორანჟერეაც ამ ყვავილის სხვადასხვა სახეობითაა სავსე. მიუხედავად იმისა, რომ მსურველებს ეგზოტიკური მცენარეებით ასაჩუქრებენ, ისეთებიც მოდიან, მოკვდებიან და ერთ-ორ ყვავილს ხელს გააყოლებენ.

მცენარეთა გადარგვის დროს (ეს პროცესი კი აქ მუდმივად მიმდინარეობს), მათი დიდი ნაწილი უადგილობისა და საჭირო რაოდენობის ქოთნების არარსებობის გამო იყრება. არადა, ამ დროს თბილისის მაღაზიებში სხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი ქოთნის მცენარეები საკმაოდ ძვირი ღირს და ასორტიმენტიც არც ისე ფართოა. ამას ისიც ემატება, რომ სხვა ქვეყნების სათბურებში გამოყვანილი ქოთნის მცენარე აქაურ პირობებს ძნელად ეგუება და გაცილებით ადრე ჭკნება, ვიდრე ბოტანიკური ბაღის ორანჟერეაში გახარებული. როგორც ჩანს, ყვავილების ბიზნესს საქართველოში გავლენიანი პატრონი ჰყავს და ამ სფეროში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდოთ. იგივე უნდა ითქვას სამკურნალო და გადაშენებულ თუ იშვიათ მცენარეებზეც. რამ გამოიწვია ფლორის ამ სახეობის განადგურება, ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ფონის დამძიმება ამ სფეროსაც დაეტყო. მაგალითად, ბორჯომისა და ბაკურიანის მიდამოებში უმოწყალოდ იგლიჯება უნიკალური მცენარეები, რომლებიც მოგვიანებით ბაზრებში იყიდება. ასევე დაუდგენელია, რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ ტერიტორიის საძოვრებად გამოყენება. შედეგი სახეზეა: "წითელ წიგნში" შეტანილი მცენარეების სია დღითი დღე იზრდება. რაც შეეხება სამკურნალო მცენარეებს, ძნელი დასაჯერებელია, რომ მომრავლებულ "მწვანე" აფთიაქებში მართლა სამკურნალო მცენარეს გვთავაზობენ.

## შორი გზიდან მოუარე

საზოგადოებრივ პარკებსა თუ კერძო კარ-მოდამოებში, იქნებოდა იგი ინგლისური თუ ფრანგული პარკების ანალოგიით დაპროექტებული, ლანდშაფტის არქიტექტურას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. არანაკლებ ყურადღებას იჩენდნენ ამ დარგის მიმართ საბჭოთა კავშირშიც. როგორ გამოიყურება პარკები პოსტსაბჭოთა საქართველოში, ამაზე "24 საათი" ერთხელ უკვე წერდა - არქიტექტურის ამ მნიშვნელოვანი დარგის პრაქტიკულ მხარეზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. არადა, თბილისის ბოტანიკური ბაღი, ისევე როგორც ამ ტიპის სხვა ბაღები, გეოგრაფიული სარტყელების პრინციპითაა გაშენებული, ამდენად ლანდშაფტის გეოგრაფიის პრინციპების დაცვა აქ აუცილებელია. სამწუხაროდ, ამ მხრივ აქ ახალი არაფერი გაკეთებულა, საბედნიეროდ - ძველიც არ განადგურებულა და გიორგი მანაგაძის მიერ ბოტანიკური ბაღის სიღრმეში ჩაკარგული ეგრეთ წოდებული პარტერი დღესაც ხიბლავს ფლორის მოყვარულებს. აქვეა ბამბუკების ცნობილი ხეივანი, სამუზეუმო ექსპონატად დატოვებული ყოფილი ფრანგული ორანჟერეა, ტერასები იშვიათი და გადაშენებული მცენარეებით, ჩანჩქერებზე გადებული ხიდები, ახლადჩაყრილი ნერგები, ეგზოტიკური ფანჩატურები, ნარიყალას ნანგრევები ... სამწუხაროდ, ეს ყველაფერი თბილისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის მიუწვდომელია იმ მიზეზით, რომ ბოტანიკურ ბაღში მისვლა არც ისე იოლია. გვირაბი ასათიანის ქუჩიდან დაკეტილია, ჭრელი აბანოებიდან კი პარკში შესაღწევად ციცაბო აღმართის ავლაა საჭირო. ერთხელ უკვე ვწერდი, რა ბედი ეწია გვირაბს - იგი არ გაყიდულა, ათი წლით გაქირავდა გასართობი კომპლექსის ასამოქმედებლად. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, რატომ უნდა უნდოდეს ადამიანს დროზე ადრე მიწაში ჩასვლა და მაინცდამაინც იქ გართობა, მაგრამ თუ ანდერგრაუნდის მუსიკოსის იარლიყს მთელი ცხოვრება ამაყად დაატარებ, ასეთ ადგილას სიმღერა ერთი სიამოვნებაა. ჰოდა, ანდერგრაუნდის მეფემ ლადო ბურდულმა ერთი აქცია უკვე ჩაატარა ამ გვირაბში, მაგრამ არც მაშინ და არც მერე ამ გზით ბოტანიკურში არავინ მოხვედრილა. თავის დროზე მიმტკიცებდნენ, როგორც კი აქაურობა ამოქმედდება, ყველა მსურველს უპრობლემოდ გავატარებთო. გვირაბი კვლავინდებურად დილასაღამოს იღება მხოლოდ თანამშრომლებისთვის. არადა, ბოტანიკური ბაღი მხოლოდ მეიდანზე მაცხოვრებლებისთვის არ გახსნილა, თუ არ ვცდები, ის მთელი ქალაქის საკუთრებაა. რაც შეეხება ახლო-მახლო მაცხოვრებელ მაჰმადიანებს, ისინი აქაურობას ისედაც ხშირად სტუმრობენ, რადგან ბაღის დღევანდელ ტეროტორიაზე მათი სასაფლაო მდებარეობს. აქვეა დასაფლავებული აზერბაიჯანელი მწერალი მირზა ფათალი ახუნდოვი. იქნებ ეს პრობლემა მაინც მოაგვაროს თბილისის მერიამ და, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც მოგვცეს იმის საშუალება, რომ ბოტანიკურ ბაღში ხალისით მიგვეჩქარებოდეს.




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
კიტა ბუაჩიძე
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი: გოგი ქავთარაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
პატრიკ ზიუსკინდი
"კონტრაბასი"
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"რობოტები"
დას: 16:00; 18:00 სთ.

"ხერხი"
დას: 20:00; 22:00 სთ.

**ამირანი**
"ზარი2"
დას: 18:00; 22:00 სთ.

"ყველაფერი ალფის შესახებ"
დას: 14:00; 16:00; 20:00 სთ.

## გამოფენები

**ქარვასლა**
**რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები**
ლეონიდ ტიშკოვი
"სოლვეიგი. ჩემი მეხსიერების ლანდშაფტი" - ინსტალაცია

რუსეთის სახელმწიფოს ხალხური ხელოვნების სახლი წარმოაჩენს სანკტ-პეტერბურგის "ქვილთ-კლუბის" გამოფენას "წიგნი დაბადებისა"

სამამულო ომის 60-წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"თიხიანი ხელები"
მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
თაკო შანშიაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
საგაზაფხულო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება)

**ჰობი**
ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსი

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

## რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები

**კინოს სახლი**
"მამა" (რეჟისორი: ვალერი ტოდოროვსკი)
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
მოსკოვის მუსიკალური თეატრი "ჰელიკონ-ოპერა"
ი.ს. ბახი "ყავის კანტატა"
დამდგმელი რეჟისორი: ოლეგ ილინი
სცენოგრაფია: იგორ ნეჟნი, ტატიანა ტულუბიევა
მუსიკალური ხელმძღვანელი: ვ. კრიცკოვი

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*


## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**დოკუმენტური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**ანიმაციური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.
დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს:
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge


# ხილული და უხილავი კავშირები ბაირონთან

### როგორ აღნიშნეს ინგლისელი პოეტის გარდაცვალების დღე თბილისში

ვერა ნეფარიძე

*ყველაფერი ბაირონის შესახებ, - ზოგადად, ამგვარად შეიძლება დახასიათდეს გუშინდელი ღონისძიება, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციულ კორპუსში გაიმართა. თბილისში არსებულმა "ბაირონის საზოგადოებამ" ინგლისელი პოეტის გარდაცვალების 184 წლისთავს სემინარით, მის ფონდში დაცული სხვადასხვა ნივთებისა და რარიტეტების გამოფენით და, რაც მთავარია, ახლახან ინგლისში ბაირონის შესახებ გამოცემული ერთტომეულის - "როგორ მიიღო ევროპამ ბაირონი" პრეზენტაციით აღნიშნა.*

ღონისძიებაზე წარმოდგენილი ერთტომეულის ("როგორ მიიღო ბაირონი ევროპამ"), (რომელიც ბრიტანეთში გამოიცა) ისტორია მოკლედ ასეთია: ექვსი წლის წინათ ბრიტანეთის აკადემიამ არაერთ უნივერსიტეტთან და ფონდთან დაიწყო საინტერესო პროექტი, ყოველ დიდ ინგლისელზე მომზადებულიყო კოლექტიური, თეორიული მონოგრაფია, თუ როგორ მიიღო ესა თუ ის ინგლისელი ევროპამ. ბოლო წლებში იდეის ავტორები აქტიურად მუშაობდნენ ევროპის წამყვან ექსპერტებთან. ერთ-ერთი ქართველი ბაირონოლოგის ინესა მერაბიშვილის ნაშრომს, რომელიც წიგნში შევიდა, ჰქვია "თავისუფლება და ქართველი ბაირონი". "ცნობილია, რომ ქართველი ბაირონის ცნება საქართველოში გაჩნდა და ამ ტიტულის ყველაზე დიდი წარმომადგენელი გალაკტიონ ტაბიძე იყო. წიგნებიც არის გამოცემული ამასთან დაკავშირებით, მათ შორის ჩემი ავტორობითაც", - ამბობს ინესა მერაბიშვილი. შესავალში კი, რომელშიც ჩამოთვლილია ევროპის უდიდესი რომანტიკოსები, ჰაინესა და მიცკევიჩის შემდეგ, ჩამონათვალს ბარათაშვილი აგრძელებს. ეს ეპიზოდი ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ სულიერი ძაფების არსებობაზე, რაც ბაირონთან ქართველი პოეტების კავშირს ადასტურებს, რაზეც ქალბატონი ინესა ამბობს: "მეც მივყევი ბაირონისა და ბარათაშვილის პარალელებს, რაზეც გურამ ასათიანი მიანიშნებდა. ბარათაშვილმა ბაირონის გენიალური მაზეპა უფრო შორს გაიყვანა და სულიერ ურთიერთობაში წარმოაჩინა; ასევე გალაკტიონმაც ისე განავითარა "მერი", რომ ღვთისმშობლის კატეგორიაში აიყვანა და ბაირონზე მაღლა ავიდა. ეს არის გენიოსების ურთიერთობა და არა იმიტაცია".

რაც შეეხება "ხილულ" კავშირებს, მის საფუძველს ინესა მერაბიშვილმა წლების წინათ ინგლისში, ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში მიაგნო, როდესაც ბაირონის გარდაცვალებისთანავე გამოცემული პოეტის ბიოგრაფიის სამტომეული (რარიტეტი გუშინდელ გამოფენაზეც იყო წარმოდგენილი) წაიკითხა. კერძოდ, მესამე ტომში, მეთერთმეტე გვერდზე ნაამბობია ეპიზოდი პოეტის ცხოვრებიდან, როდესაც ბაირონი მონათა ბაზარზე შეხვდა ქართველ ტყვეს, რომლის გამოხსნასაც პოეტი წელიწადნახევარი ცდილობდა; საბოლოოდ, გოგონა ისე გარდაიცვალა, პოეტმა ვერ შეძლო მისი დახსნა. ამგვარად, ქართველმა ექსპერტმა მიაკვლია პასუხს შეკითხვაზე - თუ ვინ იყო ბაირონის ცხოვრებაში ვინმე თირზა, ვის შესახებაც ბაირონი თავის წერილებში საუბრობდა. ამ თემაზე ინესა მერაბიშვილი ექვსი წელიწადია კითხულობს მოხსენებებს და, როგორც თავად ამბობს, ჯერჯერობით საპირისპირო მოსაზრებები არავის გამოუთქვამს.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

ხსენებული სამტომეულის გარდა, რომელიც ინგლისშიც დიდი იშვიათობაა, გუშინდელ გამოფენაზე ბევრი ისეთი წიგნი და ნივთი იყო წარმოდგენილი, რომელიც ბაირონის ცხოვრებას უკავშირდება. მაგალითად, უამრავი გამოცემის გვერდით ნახავთ პოეტის ვენეციურ კალამს, ასანთს ბაირონის ტავერნიდან; აქ არის მინიმოდელი მაგიდისა, რომელზეც ბაირონმა შექმნა "ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები", სადაც საქართველოს მოიხსენიებს, როგორც სილამაზის მშობლიურ მხარეს. ამ და ქართველი ბაირონოლოგებისთვის საინტერესო სხვა დეტალებზე გუშინ უფრო დაწვრილებით საუბრობდნენ. ვფიქრობთ, "ბაირონის საზოგადოებამ" (1988 წელს დაარსდა თბილისში, 1990 წლიდან კი საერთაშორისო სტატუსი მიიღო; მისი დირექტორი კი მეათე წელიწადია ბაირონის საზოგადოების (რომელიც 40 ქვეყნის წარმომადგენელს აერთიანებს) დირექტორთა საბჭოს წევრია), პირნათლად შეასრულა მოვალეობა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ბაირონის გარდაცვალების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების პარალელურად საინტერესო საღამო გაუმართა ბაირონის შემოქმედებით დაინტერესებულებს.

# ვეგეტარიანული მხატვრობა

### ნანა მანჯგალაძე მცენარეებს ახმობს და ბუნებას ხატავს

ია ვექუა

ვისაც ჰგონია, რომ ხილი და ბოსტნეული მხოლოდ საკვები პროდუქტებია, ხოლო ყვავილები ოთახის გასალამაზებელი ბუნების საჩუქარი, მწარედ ცდება. თუ ამ ნედლეულს კარგად დაამუშავებთ, გაახმობთ, მოხალავთ და დაფქვავთ (მადულარა დაივიწყეთ!), შეგიძლიათ, თამამად მოჰკიდოთ ხელი მხატვრობას. დიდი ხანია, ნანა მანჯგალაძემ თავისი ბოტანიკური ვნებები ხელოვნებად აქცია და დასათაურებული და მინაჩარჩოში ჩასმული ნამუშევრები საგამოფენოდაც გამოიტანა.

გალერეა "კოპალა" გუშინ ბოტანიკურ ბაღად გადააკეთეს, თუმცა, დროებით, ვიდრე მორიგი ახალბედა მხატვარი მოინდომებს პრეზიდენტის სამეზობლოში მდებარე საგამოფენო სივრცის ათვისებას. ნანა მანჯგალაძეს ბუნება უყვარს და ამის აღიარებას არ ერიდება. ხატავს ტყეს, ყვავილებს, ტბებსა და მასავით ბუნებაზე შეყვარებული ადამიანების მკრთალ ფიგურებს.

"საკუთარ ნამუშევრებზე საუბარს და მათ ახსნას ვერიდები. მსურს, დამთვალიერებელს საფიქრალი დავუტოვო. ალბათ, ამიტომაცაა ეს ნახატები ასე აბსტრაქტული. პეიზაჟი ჩემთვის ცოცხალი არსებაა და თითოეულ მათგანში კონკრეტულ ადამიანებს ვგულისხმობ", - ამბობს ნანა მანჯგალაძე.

პირველი, რაც მის შემოქმედებაში ყურადღებას იპყრობს, ის მასალაა, რომელსაც მხატვარი აქტიურად იყენებს და საკუთარ გამოგონებასაც უწოდებს. ეს მასალა ზოგადად შერეულ ტექნიკად იწოდება, თუმცა, ნანა მანჯგალაძე მის საიდუმლო რეცეპტსაც გვიმხელს: "ჩემ მიერ მოგონილი ტექნიკა ახალი სიტყვაა მხატვრობაში. ეს მეთოდი სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე, შემდეგ კი გავიგე, რომ მსოფლიოში ანალოგი არა აქვს. ეს ჩემი ფერებია და მინდა, რომ ბუნება ამ ფერებში იყოს. საღებავს ნებისმიერი სახის მცენარისგან ვამზადებ - ყვავილებს, ხილსა თუ ბოსტნეულს საკუთარი მეთოდით ვამუშავებ: ვახმობ, ვხალავ, ვფქვავ."

ამის შემდეგ საქმეში ალქიმია ერთვება (დაკონკრეტებისგან მხატვარი თავს იკავებს), შედეგად კი განსაკუთრებული ფერისა და ხარისხის საღებავებს იღებს. მანჯგალაძის თქმით, მან უკვე 60-მდე ფერი შექმნა და ძიების პროცესს კვლავ განაგრძობს. "კოპალაში" გამოფენილი ყველა ნამუშევარი რელიეფურია, რაც თურმე მასალის შემადგენლობასა და, ალბათ, მცენარეთა სიმწიფეზეცაა დამოკიდებული.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

ნანა მანჯგალაძის სამხატვრო ნათლია ზურაბ წერეთელია. დამწყებმა მხატვარმა სწორედ მისი ხელშეწყობით გამართა პირველი გამოფენა. მასვე ეკუთვნის განსაზღვრება "შერეული ტექნიკა".

საკმაოდ საინტერესოა ნანა მანჯგალაძის პრესამხატვრო ცხოვრება. როგორც ირკვევა, იგი პირველი ქართველი ქალი მენეჯერია. დაამთავრა ბიზნესისა და მენეჯმენტის უმაღლესი სკოლა, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისშიც მოასწრო მუშაობა და რუსეთში საქართველოს საელჩოს სავაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლობაშიც. ერთდროეულად არის რუსეთის მხატვართა შემოქმედებითი კავშირისა და ორგანიზაცია "ქართველი ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის" წევრი.

ის, რომ ხატვა შეეძლო, 2000 წელს აღმოაჩინა და იქვე ახალი მასალის გამოგონების უნარიც შეიძინა. პირველი გამოფენის გამართვა მხოლოდ სამი წლის შემდეგ გაბედა და მოსკოველი აუდიტორია საკუთარი შემოქმედებით არაერთხელ გაახარა. საბოლოოდ სამშობლოსაც დაუბრუნდა და ორი წლის განმავლობაში შექმნილი ტილოები გამოფინა.

# იწყება ბიბლიოთეკების კვირეული

გურამ თაყნიაშვილი

*საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი*

28 აპრილს თბილისში ოფიციალურად გაიხსნება ბიბლიოთეკების კვირეული. ასეთი ფართომასშტაბიანი ღონისძიება, რომელშიც საქართველოს თითქმის ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკა მონაწილეობს, მართლაც საჭიროებს ჯეროვან ყურადღებას როგორც მკითხველთა და ინფორმაციის მომხმარებელთა მხრიდან, ისე ბიბლიოთეკების დამფუძნებელთა მხრიდანაც. კვირეულის მიზანია ბიბლიოთეკებისა და საზოგადოებრიობის დაახლოება; ბიბლიოთეკების, როგორც კულტურის, განათლებისა და საინფორმაციო დაწესებულებების როლისა და მნიშვნელობის უფრო მეტად წარმოჩენა. კვირეულის დღეებში ბიბლიოთეკებში გაიმართება ნაირფეროვანი, საინტერესო მასობრივი ღონისძიებები, იქნება შეხვედრები კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და სხვადასხვა სფეროში მომუშავე ცნობილ ადამიანებთან, მოეწყობა წიგნების პრეზენტაციები, ლიტერატურული დისპუტები. საქართველოში, როგორც წიგნიერებისა და განათლების ქვეყანაში, კარგად იციან წიგნისა და ბიბლიოთეკის ადგილი ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. კვირეული ისეთი ფორუმია, როდესაც ბიბლიოთეკა კიდევ ერთხელ ცხადყოფს თავის უნიკალურობასა და ცხოველმყოფელობას ყოველმხრივ განათლებული და ინფორმირებული პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ამ დღეებში ბიბლიოთეკის ცხოვრებით დაინტერესებული ადამიანები ეცნობიან ბიბლიოთეკის პრობლემებს; საზოგადოება გამოხატავს თავის მხარდაჭერას კულტურის ამ დაწესებულებებისადმი, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება ახალისებს ბიბლიოთეკარებს, შესაძლებლობის ფარგლებში ჭრის მათ თანამედროვე პრობლემებს, რომლებმაც ამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად დააკნინეს ბიბლიოთეკების ავტორიტეტი.



კვირეული, ფაქტობრივად, დაწყებულია; წელს ასეთი ღონისძიება მეოთხედ იმართება. მისი ინიციატორია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია; ამ ინიციატივას აქტიურად უჭერენ მხარს საქართველოს ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები.

კვირეულს ახალი იმპულსი შეაქვს ბიბლიოთეკების ყოფიერებაში. ღონისძიების მთავარი დევიზია "თქვენი ბიბლიოთეკა", რაც იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკა საზოგადოებისაა, იგი ღია დაწესებულებაა ყველასთვის, ვისაც წიგნი, განათლება, ინფორმაციის მიღება ყოველდღიურ მოთხოვნილებად აქვს ქცეული.

იჩქარეთ, თქვენს ახლომდებარე ბიბლიოთეკებში საინტერესო შეხვედრები, წიგნები, ბიბლიოთეკარები, დიდები და პატარები გელოდებიან. გვერწმუნეთ, ეს დღე დიდხანს დაგამახსოვრდებათ.

# უარი დოკუმენტალისტიკას და ანიმაციას

### კანში კინოკლასიციზმი ბრუნდება

შარშანდელი განწყობისგან წლევანდელ კანს აღარაფერი დარჩება. ამერიკელების პოლიტიკური ექსპანსია, რომელიც ქუენტინ ტარანტინომ გააჟღერა და მაიკლ მურმა განახორციელა, 2004-ს ჩაბარდა. წელს ისევ "არტ ჰაუზის" დრო დადგა - ჯარმუშების, ვიმ ვენდერსების და დევიდ კრონენბერგების.

მოკლედ, მაშინ, როცა თბილისში უმასპინძლებენ ბუშს, ფრანგულ რივიერაზე შვებით დაივიწყებენ მას და მთლიანად კინოხელოვნებით ტკბობას მიეცემიან. ვიმ ვენდერსი, ჯიმ ჯარმუში და დანარჩენები ხომ ტყუილად არ გვიხსენებია. წლევანდელ კონკურსში გაერთიანებული ფილმების სია მართლაც მაცდუნებლად გამოიყურება.

თუმცა, ამ ფილმებზე ქვევით. ქრონოლოგიურად ჯერ 10 მაისია. მართალია, ფესტივალი 11-ში იხსნება, მაგრამ ზუსტად ერთი დღით ადრე პირველად ეწყობა ერთგვარი წინმსწრები ღონისძიება სახელად Rencontre - "შეხვედრა", რაც პირდაპირი მნიშვნელობით, შეხვედრას ნიშნავს და გულისხმობს რეჟისორების თავყრილობას, რომლებიც კინემატოგრაფზე და კინოფესტივალის როლზე იმსჯელებენ. კანის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დასმული პრობლემატური საკითხები დაახლოებით ასეთია: როგორ უნდა ეხმარებოდეს ფესტივალი კინოს შემოქმედებით პროცესში? კმარა თუ არა ამისთვის წლის საუკეთესო ფილმების ჩვენება? როგორ უნდა მოვახდინოთ ფესტივალებზე შერჩეული ფილმების პოპულარიზაცია?

თემები მეტად საინტერესო და აქტუალურია, მით უფრო მაშინ, როცა ამ საკითხებზე ანალიტური უნარით დაჯილდოებული ცნობილი რეჟისორები მსჯელობენ.

ეს მოთელვა იქნება. უკვე 11-ში კი ფესტივალი საქმეს შეუდგება. გამხსნელი ფილმი - დომინიკ მოლის "ლემინგი". შემდეგ - დანარჩენი 19.

სათაურების გადახედვა საკმარისია იმისთვის, რომ დავასკვნათ: კონკურსში არ დაუშვეს არც ერთი დოკუმენტური ფილმი (როგორც შარშან იყო მაიკლ მურის "ფარენჰეიტი 9/11") და არც ერთი ანიმაციური სურათი.

"შარშან გვსურდა, პუბლიკისთვის სწორედ ამ ჟანრების მნიშვნელობა დაგვენახებინა. წელს სხვა ტენდენციებია. წელს, თითქოს, კლასიციზმი ბრუნდება, ბრუნდებიან კინოს დიდი და ცნობილი სახელებიც, რომლებიც ჩვენს საკონკურსო პროგრამაში წინათაც ხშირად გამოჩენილან", - აცხადებს ტიერი ფრემო - საკონკურსო პროგრამის ხელმძღვანელი.

დიდი სახელები თავიანთი დიდი ნამუშევრებით, რომელთა წარდგენასაც აგერ უკვე რამდენიმე


ლარს ფონ ტრიერი და ნიკოლ კიდმანი

აბზაცია გპირდებით, არიან: დევიდ კრონენბერგი, ვიმ ვენდერსი, ლარს ფონ ტრიერი, გუს ვან სანტი, მიხაელ ჰანეკე, ჯიმ ჯარმუში, ამოს გიტაი, ატომ ეგოიანი, რობერტ როდრიგესი... მოკლედ, "არტ ჰაუზის" მთელი ვარსკვლავეთია წარმოდგენილი.

მას შემდეგ, რაც რალფ ფაინსის შესანიშნავი თამაშით კრონენბერგმა "ობობა" შექმნა, სახელი ამ წრეში კიდევ უფრო გაიმყარა. ახლა კანზე ის ვიგო მორტენსენისა და ედ ჰარისის მონაწილეობით წარმოადგენს სურათს "ძალადობის ისტორია", რომელიც სხვა არაფერია, თუ არა - თრილერი. კრონენბერგი დასძენს: "ამერიკაში ჰგონიათ, რომ ომი კარგია. ამის გამო ომი ხშირად ხდება. ამიტომ მოვინდომე გამეკეთებინა წიგნი, რომელიც ცქერას გვასწავლის და აბსტრაქტული ფასეულობების აღქმას".

1997 წლის შემდეგ 8 წელი გავიდა. ზუსტად ამდენი ხნის წინ მონაწილეობდა ბოლოს ვიმ ვენდერსი კანის ფესტივალში. გაცილებით უფრო ადრე კი, 1984 წელს მან ოქროს პალმის რტო მოიპოვა ფილმისთვის "პარიზი, ტეხასი". წელს ის თავის ბოლო ფილმს გააცნობს პუბლიკას. "ნუ მოხვალ დაკაკუნებით" - სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება სურათის სათაური, რომელშიც ჯესიკა ლანჟი და ტიმ როტი თამაშობენ. ვენდერსი ხანში შესული კინოვარსკვლავის ისტორიას მოგვითხრობს და კონკურსსაც ამ თემით ამრავალფეროვნებს.

რაც შეეხება დანიას, იქაურები


ვიმ მენდერსი

კვლავაც ლარს ფონ ტრიერით ამაყობენ და კვლავაც ამ რეჟისორს "გზავნიან" ძალიან პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალზე. მისი "მანდერლეი" კი ასევე კარგი მსახიობებითაა დახუნძლული: ვილემ დეფო, დენი გლოვერი და ლორენ ბაკალი. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად, ხუთიოდე წლის წინ კი ტრიერმა მთელი კანი აღაფრთოვანა მიუზიკლისთვის "მოცეკვავე წყვდიადში" - ბიორკის მონაწილეობით. შემდეგ იყო "დოგვილი", რომელმაც მწვავე პრობლემატიკით და არატრადიციული ვიზუალური გადაწყვეტით, მკვეთრი შთაბეჭდილებები დატოვა მაყურებელზე, თუმცა პალმის რტოს გარეშე დარჩა. მაშინ ითქვა, რომ "დოგვილით" ლარს ფონ ტრიერი

ამერიკულ ტრილოგიას იწყებს. ასე რომ, გამოდის - "მანდერლეი" ტრილოგიის მეორე ნაწილია.

არც ამერიკელი გუს ვან სანტი ითვლება კანში ახალბედად. 2003 წელს მან ფილმისთვის "სპილო" ოქროს პალმის რტო მოიპოვა. მაშინ რეჟისორი სკოლაში მომხდარი მკვლელობის შესახებ გვიამბობდა, ახლა კი წარმოადგენს ფილმს "უკანასკნელი დღეები" და განიხილავს როკმუსიკოსის ბედს, დაახლოებით მუსიკოსისას, როგორიც კურტ კობეინი იყო. როგორც წინასწარ ამბობენ, გუს ვან სანტის მთავარ გმირსა და "ნირვანას" ლიდერს შორის მსგავსება ცხადზე ცხადია.

ბოლოს ჯიმ ჯარმუშის რიგიც დადგა. კანში ის "დამსხვრეული ყვავილებით" ჩადის და თან ჩაჰყავს "თარგმანში დაკარგული" ბილ მიურეი, რომელიც ამჯერად მამის როლს თამაშობს. მამის, რომელიც ამერიკაში მოგზაურობს, რათა იპოვოს შვილი, რომლის არსებობის შესახებაც არაფერი იცოდა.

საკონკურსო ოც ფილმში კიდევ ორიოდე სახელი იპყრობს ყურადღებას: ჰოლივუდელი მსახიობი ტომი ლი ჯონსი, ყოფილი "კაცი შავებში". ამჯერად ის რეჟისორის ამპლუაში გვევლინება და წარმოადგენს თავის სადებიუტო ფილმს "მელქიადეს ესტრადას სამი დაკრძალვა". ფილმში ტომი ლი ჯონსი თვითონაც თამაშობს.

კონკურსშია ჩართული რობერტ როდრიგესიც, ფილმით "ცოდვის ქალაქი", რომელშიც ბრუს უილისი მონაწილეობს.

ამ აღიარებულ სახელებს შორის რამდენიმე აზიელი რეჟისორიც გვევლინება. აქვეა ერაყელი ჰინერ სალემიც სურათით "კილომეტრი ნული".

ამ ფილმებსა და სახელებს შორის კი ყველაზე ღირსეული ტრადიციულად უნდა აირჩიოს კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომელსაც ცნობილი ბოსნიელი რეჟისორი ემირ კუსტურიცა უხელმძღვანელებს. თუმცა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის ჟიურის წევრების ვინაობა - ამით კი ტრადიცია აშკარად დაირღვა და საკონკურსო ფილმების გამოცხადებისთანავე პირველად არ გაირკვა ჟიურიში შემავალი სპეციალისტები სახელებიც.

ერთი სიტყვით, კანი წელს ნამდვილად კინოს ზეიმი უნდა იყოს და არა კომერციის. თუმცა, კომერცია თავის სიტყვას მაინც იტყვის. ჯორჯ ლუკასი - არასაკონკურსო პროგრამაში თავის ფინანსურად სუპერწარმატებულ "ვარსკვლავეთის ომების" ბოლო სურათის პრემიერას გამართავს და ფანების გულსაც მოიგებს. თუმცა, ამჯერად მიზანი უფრო ამბიციური აქვს. არა მარტო ფანების, არამედ კრიტიკოსების გულის მოგებაც. მან ხომ საკუთარი ქმნილება ასე შეაფასა: "ჩემი ფილმი ეს იგივეა, რაც "ტიტანიკი" კოსმოსში". ასეა თუ ისე, ფაქტია, "ვარსკვლავეთის ომების" სანახავად 1977 წლის შემდეგ მოყოლებული მსოფლიოს მასშტაბით 3.4 მილიარდი დოლარის ბილეთები გაიყიდა.

11 მაისს გახსნილი კანის კინოფესტივალი კი 22 მაისს დასრულდება. ამ დღეს გამოვლინდება ოქროს პალმის რტოს მფლობელი ფილმი და დანარჩენი გამარჯვებულებიც. თუმცა, უკვე ცხადია, რომ ტრიუმფატორებს შორის ნაკლებად იქნებიან ამერიკელები. შარშან ხომ "ფარენჰეიტი 9/11", "შრეკი 2" და Ladykillers ითვლებოდნენ კანის ყველაზე მეტად სანახაობრივ ფილმებად. წელს ვნახოთ, ვის აირჩევს ემირ კუსტურიცას გუნდი.

# ლამაზი და დაფასებული მხატვრობა გერმანიიდან

### თბილისში ბერნდ შვარცერი ჩამოდის

ვერა ნეფარიძე

*გუშინ ეროვნულ გალერეაში გერმანელი მხატვრის ექსპოზიცია დააბინავეს. თავად ავტორი, ბერნდ შვარცერი, 25 აპრილს გერმანელ დიპლომატებს ჩამოჰყვება; მისი ნამუშევრები კი ეროვნულ გალერეაში რამდენიმე დღით ადრე გამოიფინება.*

ბერნდ შვარცერი "დაფასებული" ხელოვანების კატეგორიას მიეკუთვნება. ყოველ შემთხვევაში, როგორც მისი თბილისელი მეგობრები და კოლეგები ამბობენ, ის დღესდღეობით გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ფერწერული ტილოების ავტორია. ალბათ ამიტომაცაა, რომ ხელოვანი თბილისში გერმანელ დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს ჩამოჰყვება.

რამდენიმე თვეა, ბერნდ შვარცერთან აქტიურად თანამშრომლობს თბილისელი მხატვარი გია გურასპაშვილი, რომელსაც გერმანიასა და ევროპის სხვადასხვა ქალაქში უფრო იცნობენ, ვიდრე თბილისში. 12 წელიწადია, ევროპაში მოღვაწეობს. იქ აქვს შექმნილი და გაყიდული ათას ხუთასამდე ნამუშევარი; სამშობლოში ვერ მუშაობს და მიზეზებზე საუბარსაც ერიდება. მოქანდაკესა და ფერმწერს, 1989 წლის შემდეგ აღარ ჰქონია გამოფენა, მას შემდეგ, რაც ცნობილმა გერმანელმა გალერისტმა რალფ პლაინმა ქართველ მხატვრებს 28 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიაღებინა მნიშვნელოვან გამოფენა-ბიენალეში. იმის მიუხედავად, რომ გია გურასპაშვილი ჯერჯერობით ვერც კი გეგმავს მოღვაწეობის თბილისში გაგრძელებას, მხატვარი საქართველოსთან შემოქმედებითი კავშირების აღდგენას ცდილობს. როგორც თავად გვითხრა, მისი სურვილით მოხდა სამი წლის წინათ იმენ დორფის გამოფენის ორგანიზება; ახლაც ერთადერთი საკონტაქტო პირი, ვისაც შვარცერის ექსპოზიციის დაბინავებისას მიაკითხეს საგარეო საქმეთა სამინისტროდან, გია გურასპაშვილი იყო.

ქართველი მხატვარი დიდი ხანია, იცნობდა ბერნდ შვარცერს, თუმცა, დაუახლოვდა შარშან, რალფ პლაინის მეშვეობით (შვარცერთან საქმიანი კონტაქტები აქვს "ქარვასლის" გალერეის მენეჯერს ლიკა მამაცაშვილსაც). სწორედ მაშინ გადაწყვიტეს შვარცერმა და გურასპაშვილმა, "ნარინჯისფერი რევოლუციის" დროს კიევში გამგზავრებულიყვნენ. "პირველად ვიყავი კიევში. წარმოუდგენლად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქმა და მთელმა უკრაინამ. დიდი სიხარულის მონაწილენი ვიყავით. ეს იყო უზომოდ დიდი ბედნიერება; ყველა ადამიანი კეთილი და სტუმართმოყვარე იყო", - იხსენებს ქართველი მხატვარი. რევოლუციაში ერთკვირიანი მონაწილეობის შემდეგ, მხატვრები გერმანიაში დაბრუნდნენ და შთაბეჭდილებების ტილოზე გადასატანად დაიწყეს მუშაობა. ერთობლივი იდეა, ალბათ, უკრაინაში განხორციელდება ერთობლივი გამოფენით. ყოველ შემთხვევაში, საუბარი კულტურის მინისტრთან უკვე შედგა და პროექტსაც, ერთი შეხედვით, ხელს არაფერი შეუშლის. თუმცა, როგორც ქართველი მხატვარი ამბობს, მისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს: "მთავარია, რომ ერთად დავინახეთ და განვიცადეთ ის, რაც კიევში ხდებოდა. და დავინახეთ აბსოლუტურად სხვადასხვანაირად". რაც შეეხება შვარცერის ექსპოზიციის ჩამოტანის მნიშვნელობას, ამის შესახებ გერმანელი კოლეგისა და მეგობრის შესახებ ბატონი გია ამბობს, რომ ამ გამოფენის ნახვით ქართველი დამთვალიერებელი კიდევ უფრო განათლდება: "შვარცერი გერმანიაში ერთ-ერთი დიდი და გავლენიანი მხატვარია. ძალიან დიდი გამოფენა ჰქონდა პეტერბურგის ერთ-ერთ მუზეუმში. იმ კატეგორიის მხატვართა რიცხვს ეკუთვნის, ვინც მუშაობენ მაღალ საზოგადოებასთან, მთავრობასთან. მათი ნამუშევრები ძვირად იყიდება. შვარცერი დგას ისეთი სახელების გვერდით, როგორებიც არიან: პენკი, ლუპეცი, იმენ დორფი... შვარცერის ხელოვნება ძალიან ლამაზია".


ლიკა მამაცაშვილი ბერნდ შვარცერთან (მარცხნივ) და რალფ პლაინთან ერთად

სამსონ ლეჟავას სვეტი

## სახლი დიუმას ქუჩაზე - მხატვართა და არქიტექტორთა

### შთაგონების წყარო



ამა თუ იმ ნაგებობის მნიშვნელოვანება როდი შემოიფარგლება მხოლოდ თავისთავადი ხუროთმოძღვრული ღირსებით - საქმე ისაა, რომ მათ შორის არაერთგზის გვხვდება ისეთებიც, რომელნიც ძლიერ ინსპირატორად იქცა სხვათა შემოქმედებისთვისაც. მათში დაუნჯებული სულიერი ინფორმაცია ესწრაფვის გავრცობას, საკუთარ "საზღვართა" გადალახვას. ამიტომაც არის, რომ სახლი დიუმას ქუჩაზე, 13 ნომერში, უდიდეს ინტერესს აღძრავდა მხატვართა და არქიტექტორთა წრეებში, როგორც გამორჩეული, არაორდინარული ფენომენი. თუკი ნიკოლოზ სევეროვი, ქართული ხუროთმოძღვრების გამოჩენილი მკვლევარი, და თავადაც - ამ უზარმაზარი ტრადიციის გამგრძელებელი, ყურადღებას მიაპყრობდა დიუმას ქუჩაზე ამ შენობის სპეციფიკურ ტექტონიკას, მხატვარი დავით გველესიანი დაინტერესდა ამჟამად კალისტრატე ცინცაძის ქუჩის მხარეზე - აივნის მორთულობის ფილიგრანულობით და მისი შინაგანი ლოგიკით; ბრწყინვალე ფერმწერი ალექსანდრე ციმაკურიძე იმავე აივნის ფაქიზმა ცხოველხატულობამ მიიზიდა; მასვე შეისწავლიდა თბილისის ცნობილი მკვლევარი თენგიზ კვირკველია.

უბანში, სადაც ეს სახლია აღმართული, არაერთი საგულისხმო ძეგლი გვხვდება, მაგრამ მთელი დედაქალაქის მასშტაბით, დიუმას ქუჩა N.13, პირველხარისხოვანთა რიგში მდგომია.

დავიწყოთ იმით, რომ მისი ორი მხარე ნათელყოფს დიდად თავისებურ, ძველი თბილისისათვის დამახასიათებელ მრავალსახოვანებას, ფასადთა სახეცვალება - მეტამორფოზულობას, ანუ აქ ერთი ნაგებობაც (ამ შემთხვევაშიც, და კიდევ ბევრგან) "მრავალგანზომილებიანია", ხანდახან მრავალფასადური (გიორგი მარჯანიშვილი), თანამედროვე ტერმინოლოგიით - პოლიტექსტუალური. თუკი კალისტრატე ცინცაძის ქუჩიდან უპირატესობას ძველთბილისური რიგის "ორიენტალურობა" იძენს, დიუმას ქუჩაზე პირიქითაა. აქ უკვე იერცვლილი კლასიციზმი წარმოადგენს ორიენტირს. ასეთი დინამიკური თამაშის პრინციპი, გამოვლენილი ორიგინალური დედაქალაქური ვერსიით, შთამბეჭდავია და ჩვენი კულტურის გახსნილ ხასიათზე მეტყველებს. შესაბამისად ეს სახლი ერთ-ერთი გასაღებია ტრადიციული სამყაროს სურათის ჩასაწვდომად.

შენობას მნიშვნელოვანებას ჰმატებს ძველი სარდაფი, რომელიც ამ ძეგლს გვიანფეოდალური ხანის გამოცდილებას უკავშირებს, თუმცა იგი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის. სარდაფი აძლიერებს შენობის "კულტურულ ტევადობას".

და მაინც, ალბათ ყველაზე არსებითი, მეორე სართულის მუშარაბიანი აივანია. ის უმაღლესი ოსტატობით, ყოველი დეტალის ზედმიწევნითი დამუშავებით, ნიუანსთა სიმდიდრითა და ორნამენტთა ხატოვანებით - უნიკალურია. იგი თითქოსდა ითხოვს ყურადღების მიპყრობას, მაგრამ ამაოდ: სამწუხაროა, რომ დედაქალაქის მესვეურნი ვერ იცლიან კულტურისათვის, თვალს არიდებენ მას, უმეხსიერებო სივრცედ ქცევისაკენ მიაქანებენ ოდესღაც ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქს...

შესაძლოა, ეზოს აივნის მუშარაბიანი ნაწილი სპარს (ალბათ ადგილობრივ, თბილისელ) ოსტატთა მიერაც იყო შესრულებული, თუმცა გადამწყვეტია, რომ თბილისური ხუროთმოძღვრების ზოგადი თვისობრიობა, მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანის ამ შენობაშიც, სრულად არის გამოვლენილი.

აღსანიშნავია, რომ არსებობს ამ ნაგებობის რესტავრაცია-ადაპტაციისათვის გამიზნული, საკმაოდ დეტალური საპროექტო წინადადება, რომელიც არქიტექტორ ილო საბანაძეს ეკუთვნის. ისიც ცნობილია ჩემთვის, რომ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო სახლის აღდგენით დაინტერესებულია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყოველი დღე შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, მით უმეტეს, რომ შენობის ავარიულობა საგანგაშოა. უკვე სრულებით აუცილებელია და გადაუდებელიც შემორჩენილ, ძალზე შებღალულ, აუთენტურ დეტალთა ჩამოხსნა და გადანახვა აღდგენით სამუშაოთა განხორციელებამდე.

**P.S.** აქ წარმოდგენილი ნახატი შეასრულა არქიტექტორმა მაია მანიამ.

# სასიყვარულო კომედია ტბის პირას



კინოსტუდია "უორნერ ბროსმა" გარემოს დამცველების გული მოიგო. მათი ახალი პროექტი ხომ კუკის საგრაფოს ნაკრძალში ტბის დაცვასა და გაწმენდას ითვალისწინებს. საქმე ის გახლავთ, რომ რომანტიკული კომედიის რამდენიმე დიდ ეპიზოდს, რომელშიც კეანუ რივზი და სანდრა ბალოკი ითამაშებენ, ტბა მეიფლის ნაპირას გადაიღებენ, ჩიკაგოსთან ახლოს.

კინოსტუდია გადაღებების უფლების მოპოვებისთვის 100 ათას დოლარს გადაიხდის. გარდა ამისა, 40 ათასი დოლარით დააფინანსებს სანაპიროს გაწმენდისა და წყლის მცენარეების დარგვის პროცესსაც.

ფილმი, რომელსაც "ილ მარე" ჰქვია, დიდ ეკრანზე 2006 წელს გამოვა. ზემოთ ხსენებული ტბის გარდა, გადაღებები ჩიკაგოს ათასწლეულის პარკში გაიმართება.

რაც შეეხება კეანუ რივზსა და სანდრა ბალოკს, ეს "სიჩქარის" შემდეგ მათი მორიგი დუეტი იქნება. ფილმის ჩანაფიქრი ისევ რომანტიკულია. პროდიუსერები კი სწორედ იმ გარემოებაზე დებენ ფსონს, რომ ბალოკსა და რივზს რომანტიკული წყვილების შექმნა კარგად გამოსდით ხოლმე, თანაც ორივე - მძაფრსიუჟეტიან და კომედიურ სიტუაციებშიც. ასე რომ, ვნახოთ, როგორი სასიყვარულო კომედია გათამაშდება ამჯერად მშვენიერი მეიფლის ტბის პირას.

მოკლედ

## სწრაფად მოვიგოთ პრემიერლიგა



ლონდონის "ჩელსის" მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს სურს, რაც შეიძლება, სწრაფად მოიგოს ინგლისის პრემიერლიგა, რათა მთლიანად ჩემპიონთა ლიგის ტურნირზე გადაერთოს. სააგენტო "ბი-ბი-სის" ცნობით, პორტუგალიელმა ფეხბურთელებს მოუწოდა, ქვეყნის ჩემპიონატი უახლოეს პერიოდში მოიგონ.

"ძალიან მინდა, რომ ბიჭებმა პრემიერლიგა, რაც შეიძლება, სწრაფად მოიგონ, რათა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ამოსუნთქვის საშუალება ჰქონდეთ. ჩვენ ხომ წლევანდელ სეზონში ოთხ სხვადასხვა ტურნირში უკვე 54 მატჩი გავმართეთ", - განაცხადა მოურინიომ.

ოთხშაბათს "ჩელსი" სატურნირო ცხრილში თავის უახლოეს მდევარს ლონდონის "არსენალს" ხვდება. თუ "არისტოკრატები" მოიგებენ, მაშინ მოურინიოს გუნდს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად დარჩენილ ხუთ შეხვედრაში ორი ქულაც ეყოფა.

ინგლისის ჩემპიონატის დამთავრებამდე ექვსი ტურით ადრე "ჩელსი" 81 ქულით ლიდერობს გათამაშებას, მაშინ, როცა მისი უახლოესი მდევარი "არსენალი" ლიდერს 11 ქულით ჩამორჩება. პირად შეხვედრაში კი გამარჯვებაზე "არისტოკრატების" შანსი საკმაოდ მაღალია, რადგან შეიძლება ვერ ითამაშონ ტიერი ანრიმ და ფრედერიკ ლიუნგბერგმა, რომლებსაც ტრავმა აქვთ.

## არმსტრონგი "ტურის" შემდეგ წავა




სახელგანთქმულმა ამერიკელმა ველომრბოლმა ლენს არმსტრონგმა განაცხადა, რომ ზაფხულში "ტურ დე ფრანსის" მრავალდღიან ველორბოლაში მონაწილეობის შემდეგ ის სპორტულ კარიერას დაასრულებს.

"წასვლაზე ბევრი ვიფიქრე, - აღიარა 33 წლის სპორტსმენმა, - ყველაზე დიდი სტიმული ჩემი გადაწყვეტილების მისაღებად შვილებმა მომცეს. ისინი ხელს მიწყობენ, რომ კარიერის დასასრული იოლად გადავიტანო. სწორედ მათ მითხრეს, რომ დროა, სახლში დავბრუნდე. ბოლოს და ბოლოს, ყველა ათლეტი ოდესმე მიდის. უკვე 14 წელიწადია, ამ საქმეს ვემსახურები. პროფესიონალად კი, 20 წელია, ვითვლები. უბრალოდ, სხეულსაც არ შეუძლია, ამდენი იშრომოს, იშრომოს და იშრომოს".

ლენს არმსტრონგი ერთადერთი მრბოლია, რომელმაც "ტურ დე ფრანსი" ექვსჯერ მოიგო. ივლისში Discovery Channel-ის გუნდის შემადგენლობაში ის მეშვიდედ შეეცდება, მოიგოს ყველაზე პრესტიჟული ველორბოლა, რომლის საერთო მანძილი 3,5 ათასი კილომეტრია. ეს მანძილი სპორტსმენებმა 23 დღის განმავლობაში უნდა დაფარონ. "გამიმართლა და ეს რბოლა 6-ჯერ მოვიგე. დარწმუნებული არ ვარ, რომ ამჯერადაც გამომივა, მაგრამ მცდელობას არ დავაკლებ" - განაცხადა არმსტრონგმა.

საუბარი იმის შესახებ, რომ არმსტრონგი სპორტიდან წასვლას აპირებს, ბოლო თვეების განმავლობაში მას შემდეგ გამძაფრდა, რაც სპორტსმენმა არაერთხელ განაცხადა, რომ სურს, რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროს თავის სამ შვილთან.

ამას გარდა, ველომრბოლს სურს, თავისუფალი დრო მიუძღვნას მის მიერ დაარსებულ ფონდს, რომელიც ეხმარება ონკოლოგიურ ავადმყოფებს მკურნალობაში. აღსანიშნავია, რომ კიბოს დიაგნოზი თავად არმსტრონგსაც დაუსვეს, მაგრამ სპორტსმენმა ავადმყოფობა დაამარცხა.

არმსტრონგისთვის "ტურ დე ფრანსი" გახდება ბოლო, მაგრამ არა ერთადერთი ტურნირი. ის ჩაება ტურნირში "ტურ დე ჯორჯია", რომელიც ამერიკის ჯორჯიის შტატში ექვსი დღის განმავლობაში გაიმართება. ამ ტურნირის ფარგლებში 1042 კილომეტრის დაძლევას სპორტსმენი განიხილავს, როგორც "ტურ დე ფრანსისთვის" მზადების პროცესს.

რაგბი

# მსოფლიომ ადგილი მიგვიჩინა

პაატა თოთაძე



საქართველოს ჭაბუკ მორაგბეთა ნაკრები ელიტური A ჯგუფიდან გავარდა. ამის მიზეზი სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველ მორაგბეთა ზედიზედ ხუთი მარცხი გახდა.

მოსალოდნელი იყო თუ არა ასეთი შედეგი? რომ ვთქვათ, არაო, არ ვიქნებით მართალი. თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, რომ უეჭველად ასე უნდა მომხდარიყო. ყველაფერი ირლანდიასთან მარცხით დაიწყო. ეს იყო მატჩი, რომელშიც ნაკრების თავკაცის, ლევან მაისაშვილის თქმით, გუნდს, ნორმალური ნახევარმცველი რომ ჰყოლოდა, წარმატების მიღწევა შეეძლო. მოხერხება უნდა, უპირატესობას ფლობდე და თამაში მშრალზე წააგო. არადა, ამბობენ, სწორედ ასე იყოო - 16:0 წავაგეთ ირლანდიასთან. მეორე მეტოქე საფრანგეთის ნაკრები იყო. ეს გუნდი ირლანდიელებზე ძლიერი არ იყო, მაგრამ უარესად შევრცხვით - 48:0. ეს ქართველთა უარესი თამაში იყო ამ ტურნირზე. გუნდმა პირველ ტაიმში შეტევაც ვერ შეძლო, მეორეში კი მოახერხა ერთი-ორჯერ მეტოქის ნახევარზე გადასვლა, მაგრამ განა ეს საკმარისია?

დავმარცხდით მესამე მატჩშიც. მეტოქედ ამჯერად უკვე არგენტინის ნაკრები გვყავდა. ამ მატჩამდე ორივე გუნდს ორ-ორი წაგება ჰქონდა და გამარჯვების შემთხვევაში შანსი გვეძლეოდა, შუა ოთხეულში მოვხვედრილიყავით, ანუ მე-5-მე-8 ადგილებისთვის გაგვეგრძელებინა ბრძოლა, მაგრამ... 26:6 - ასეთია მატჩის შედეგი სამხრეთამერიკელთა სასარგებლოდ. ამ შემთხვევაშიც უპირატესობა ჩვენს გუნდს ჰქონდა, მაგრამ მაინც წავაგეთ. საერთოდ, რაღაც გაუგებარი რამ ხდებოდა სამხრეთ აფრიკაში. თითქმის ყველა მატჩში უპირატესობას ვფლობდით და მაინც წავაგეთ. მწვრთნელთა თქმით, მთავარი მიზეზი ნახევარმცველთა სუსტი თამაშია. ვერც ერთმა მათგანმა ვერააწყო თამაში და ვერც უკანა ხაზი აათამაშა. უამისოდ კი აბა რას მოვიგებდითო. აქედან გამომდინარე, რაში გამოიხატება ჩვენი უპირატესობა, ცოტა გაუგებარია. მხოლოდ იმაში, რომ შერკინებას ბურთი იმათ 22-მდე ან სადმე მის მახლობლად მიჰქონდა? ყველაფერი ისევ მწვრთნელებამდე მიდის - არ გვყავს კარგი ნახევარმცველი, არ გვყავს კარგი უკანა ხაზი. გვყავს მარტო შერკინება, მარტო ამით კი წარმატება არ მიიღწევა. მხოლოდ ლევან მაისაშვილზე არაა საუბარი. კლუბები ვერ ზრდიან მაღალი კლასის მოთამაშეებს. ამიტომ რაგბის კავშირმა უპირველესად ამაზე უნდა იზრუნოს. პლეი-ოფში იგივე გამეორდა - შოტლანდიასთან უპირატესობა გვქონდა ბურთის ფლობის მხრივ, მაგრამ საქმე რეალურ წარმატებამდე არ მისულა. ყველაფერს დაემატა დაცვაში სუსტი თამაში, ანუ გუნდმა არ იცის, როგორ დაიცვას თავი. ამდენი შეცდომა, ჩვენ რომ დავუშვით დაცვაში (და შეტევაშიც), დანარჩენებს ერთად არ დაუშვიათ. შოტლანდიასთან წაგების შემდეგ (32:10) ბოლო იმედად იაპონიის დამარცხება დაგვრჩა.

სიმართლე რომ ითქვას, ამისი ნაკლებად მჯეროდა უბრალო მიზეზის გამო - იაპონია საქართველოს ნაკრებზე კარგი გუნდია.

ასეც მოხდა - 24:0 და საქართველო ელიტურ A ჯგუფს დაემშვიდობა. მომავალ წელს B ჯგუფში მოგვიწევს თამაში და უძლიერესთა შორის ადგილის მოპოვება. ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, მაგრამ დასკვნები კი უნდა გამოვიტანოთ, რასაც, იმედია, სწორად გააკეთებენ სადაც საჭიროა და მომავალში უკეთეს შედეგს მივაღწევთ. ისე კი, ერთიც სათქმელია. რაგბის კავშირი რომ ეროვნული გუნდისთვის ახალი მწვრთნელის ჩამოყვანას აპირებს, ცნობილი ამბავია. ჰოდა, კარგი იქნება, იმ ახალ მწვრთნელთან ერთად ვინმე ისეთიც ჩამოვიდეს (ანუ ჩამოიყვანონ) საქართველოში, ახალგაზრდა მორაგბეებს რომ მიხედავს და ეროვნულის მწვრთნელთან ერთად კომპლექსურად იმუშავებს. მოთამაშეებისგან არაერთხელ გამიგია, საფრანგეთში სრულიად განსხვავებული ვარჯიშები გვქონდა, სულ სხვა დონეა, ძალიან ბევრი გვქონდა სასწავლიო. ახალგაზრდებთან კვალიფიციური უცხოელი მწვრთნელის მუშაობის შემთხვევაში კი ამას ავცდებით.

ეს იქნება ინვესტიცია ქართული რაგბის უკეთესი მომავლისთვის.

ფეხბურთი

# პენსიონერები



მაშინ, როცა ორი უმაღლესი კატეგორიის ელიტარული მსაჯი პიერლუიჯი კოლინა და კიმ მილტონ ნილსენი ასაკის გამო კარიერის უკანასკნელ სეზონს ატარებენ, საფეხბურთო სამყაროში მიმდინარეობს დებატები, თუ რომელ ასაკში უნდა გავიდნენ მსაჯები პენსიაზე.

თუ არაფერი შეიცვალა, პიერლუიჯი კოლინასა და კიმ მილტონ ნილსენის კარიერა დეკემბერში დასრულდება, როცა ორივეს 45 წელი შეუსრულდება. თუმცა, ბოლო დროს მსაჯებმა საკმაოდ დახვეწეს თავიანთი ფიზიკური მდგომარეობა და ამიტომ სპეციალისტები ბჭობენ იმაზე, რომ კრიტიკული ზღვარი ცოტათი გადაწიონ, რათა არ დაკარგონ ევროპული ფეხბურთის ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფიგურა.

კოლინას კარიერის პიკი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იყო, რომელიც კორეა-იაპონიაში გაიმართა. მაშინ მას ფინალური მატჩის მსაჯობა ანდეს, რომელშიც ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრები გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. ამას გარდა, იტალიელს უმსაჯია 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის გახსნით მატჩში, 1996 წლის ოლიმპიური თამაშებისა და 1998-1999 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ფინალებში.

ბევრი სპეციალისტის აზრით, კოლინა ძალიან კარგია იმისთვის, რომ სამუდამოდ დაემშვიდობო. ნათელია, რომ ის ძველებურად ერთ-ერთი საუკეთესო მსაჯია მსოფლიოში. უფრო მეტიც, ყოველ წელს კოლინა პროგრესს განიცდის. იტალიის მსაჯთა კავშირი აქტიურად ლობირებს იმ საკითხს, რომ რაც შეიძლება გაიზარდოს მსაჯთა მოღვაწეობისთვის დასაშვები ასაკობრივი ზღვარი და მათ 48 წლამდე მიეცეთ მუშაობის უფლება. თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მომავალ წელს კოლინას სასტვენის ხმას ველარ გავიგონებთ. "წესი ყველას ეხება, მათ შორის მეც, - განაცხადა კოლინამ, - რა თქმა უნდა, ასეთ რეგლამენტზე კამათი შეიძლება, რადგან ფიზიკური ფორმა პასპორტში აღნიშნულ ასაკთან ყოველთვის თანხვედრი როდია, მაგრამ ამ დრომდე ამ წესის წნეხის ქვეშ ყველა მსაჯი მოექცა და ისინი იძულებული იყვნენ, ახალგაზრდებისთვის დაეთმოთ გზა".

ევროპული ფეხბურთისთვის არანაკლებ დიდი დანაკლისი იქნება ნილსენის წასვლა. ის პირველი მსაჯია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში 50 მატჩი იმსაჯა. ნილსენი არ მალავს, რომ დიდი სიამოვნებით განსჯიდა უმაღლესი დონის შეხვედრებს. "მსაჯთა სამყაროში ასაკობრივი ზღვარი უაღრესად რთული თემაა", - განაცხადა დანიელმა.

"რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ წლევანდელი სეზონი ბოლო იქნება ჩემს კარიერაში. ამ სამუშაოს შესახებ ხომ უამრავი შესანიშნავი მოგონება დამრჩება, - ამბობს ნილსენი, - თუმცა, თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, უნდა ვაღიარო, რომ ჩემი სხეული ახლა უფრო იღლება, ვიდრე ადრე. თუმცა, ეს არც არის გასაკვირი, რადგან მე მატჩებს 1988 წლიდან ვემსახურები. ამის მიუხედავად, თუ საშუალება იქნება, მე მაინც მსურს კარიერა გავაგრძელო".

პორტუგალიელი მსაჯი ლუსილიუ ბატიშტა ამბობს, რომ კოლინასა და ნილსენს საშუალება უნდა მიეცეთ, 45 წლის ასაკის შემდეგად იმსაჯონ, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფიზმომზადებაში ნორმატივებს ჩააბარებენ. "კოლინა და ნილსენი უმაღლესი კატეგორიის მსაჯები არიან და მათ ორი-სამი წელი თავისუფლად შეუძლიათ იმსაჯონ, - განაცხადა ბატიშტამ, - ისინი შესანიშნავ ფორმაში იმყოფებიან".

"ამავე დროს საჭიროა, თავის გამოჩენის შანსი მიეცეთ ახალგაზრდა არბიტრებსაც, - დაამატა პორტუგალიელმა, - ვფიქრობ, რომ ფიზმომზადების ტესტები ყოველწლიურად უნდა ჩავაბაროთ და ამით შევამოწმოთ 45 წლის ასაკის მსაჯთა მოღვაწეობის ხარისხი. ვფიქრობ, უეფა და ფიფა ყაბულს იქნებიან, რომ ამ ხალხს მსაჯობის გაგრძელების ნება დართოს". თუმცა, როგორც არ უნდა გაგრძელდეს მოვლენები, კოლინა და ნილსენი ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მსაჯებად დარჩებიან.

# „სიკვდილის მატჩად" შერაცხული საქმე დახურულია

*საგამომძიებლო კომისიის მიერ საბოლოოდ დაიხურა საქმე "სიკვდილის მატჩად" შერაცხული საფეხბურთო შეხვედრისა, რომელიც უკრაინელ ფეხბურთელებსა და ფაშისტურ გერმანიას შორის 1942 წლის ზაფხულში შედგა. საქმე ისაა, რომ გაგანია მეორე მსოფლიო ომის დროს უკრაინელებსა და გერმანელებს შორის ჩატარებულ საფეხბურთო მატჩთან დაკავშირებით ჰამბურგის პროკურატურამ 1974 წელს საქმე აღძრა.*



"სიკვდილის მატჩის" მოთამაშეები.

ჰამბურგის პროკურატურის პრეს-მდივნის რიუდეგერ ბაგერის თქმით, საგამომძიებლო კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა როგორც უკრაინელების მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია, ისე გერმანული ტელევიზიის ARD-ის პირველი არხის გადამღები ჯგუფისგან ამოღებული მასალებიც.

"გერმანიის იუსტიციის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ ესაუბრათ თვითმხილველებთან, რომლებიც ისტორიული მატჩისას ბავშვები იყვნენ", - ერთ-ერთ რადიოსადგურთან საუბარში განაცხადა ბაგერმა.

კიევის "სტარტსა" და ვერმახტის გუნდის "ფლაკელფს" შორის შემდგარი შეხვედრა, რა ხანია, ისტორიაში შევიდა. გერმანელთა და უკრაინელთა მატჩი, რომელიც 1942 წლის აგვისტოში გერმანელების მიერ ოკუპირებულ კიევში შედგა, უკრაინელთა გამარჯვებით - 5:3 დასრულდა..

ისტორიკოსთა მონაცემებით, ისტორიული შეხვედრიდან რამდენიმე კვირაში კიევური გუნდის ოთხი მოთამაშე დააკავეს და შემდეგ მოკლეს.

საკმაო ხნის განმავლობაში გერმანიის იუსტიცია მატჩთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებდა, იკვლევდა ფეხბურთელთა დაღუპვის მდგომარეობას. ახლახან კი გამომძიებლებმა საქმე დახურეს. კერძოდ, გერმანელმა გამომძიებლებმა შეძლეს გამოეაშკარავებინათ უკრაინელ ფეხბურთელთა სიკვდილის მიზეზები.

"შევძელით გაგვერკვია, რომ მოთამაშეები ნიკოლაი ტრუსევიჩი, ივან კუზმენკო და ალექსეი კლიმენკო თამაშიდან დიდი ხნის შემდეგ დაიღუპნენ, - ვითარებაში გვარკვევს რიუდეგერ ბაგერი. - კერძოდ, 1943 წლის გაზაფხულზე, კიევის რაიონში, სირცაზე არსებულ საკონცენტრაციო ბანაკში ფეხბურთელები კომენდანტის ბრძანებით დახვრიტეს. აქედან გამომდინარე, მათ სიკვდილს ფეხბურთის შედეგთან არანაირი კავშირი არა აქვს".

ერთი სიტყვით, გამოძიების მიხედვით ესესელი ოფიცრის მუქარა ფეხბურთელების მიმართ არ დასტურდება.

რიუდეგერ ბაგერის ცნობით, ერთადერთი პრობლემა, რომელთანაც გამომძიებლებს ჰქონდათ საქმე, გახლდათ თვითმხილველთა თუ მოწმეთა პოვნა, რადგან მათი უმეტესობა დღეს უკვე ცოცხალი აღარაა. "სიკვდილის მატჩად" შერაცხული საქმე კი საბოლოოდ დაიხურა.

მოკლედ

## ბერხკამპი "აიაქსში" დაბრუნდება

ლონდონის "არსენალის" თავდამსხმელი დენის ბერგკამპი თავის ძველ გუნდში, ჰოლანდიის "აიაქსში" დაბრუნების შესაძლებლობას განიხილავს. "მეთოფეებთან" მიმდინარე კონტრაქტს სამ თვეში გასდის ვადა, ლონდონელებს კი ჯერაც არ შეუთავაზებიათ კონტრაქტის ვადის გაგრძელება.

ამსტერდამის გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დანი ბლინდმა უკვე გამოთქვა ბერხკამპის დაბრუნების სურვილი.

## ემრე "ევრტონში" გადასვლის წინააღმდეგი არაა

"ინტერის" ფეხბურთელის ემრე ბელეზოღლუს აგენტმა განაცხადა, რომ მისი კლიენტის შეძენით დაინტერესებულია "ევერტონი".

შეგახსენებთ, რომ ადრე თურქმა ფეხბურთელმა სურვილი გამოთქვა, მილანის კლუბი მიმდინარე სეზონის ბოლოს დატოვოს.

"ევერტონის" გარდა, ემრესთვის იბრძვიან პრემიერ-ლიგის ისეთი გრანდები, როგორიცაა "მანჩესტერ იუნაიტედი", "არსენალი" და "ლივერპული", მაგრამ, ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, ყველაზე რეალური შანსი მაინც "ევერტონს" აქვს.

## "ინტერს" ესპოზიტო სჭირდება

მილანის "ინტერმა" აღიარა, რომ "კალიარის" ნახევარმცველის მაურო ესპოზიტოს შეძენითაა დაინტერესებული. უფრო ადრე ფეხბურთელით დიდ ინტერესს ამჟღავნებდა "ბარსელონა", თუმცა, "კალიარის" ხელმძღვანელობამ ესპანურ კლუბს უარი უთხრა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს "ინტერის" მწვრთნელი რობერტო მანჩინი.

რაც შეეხება თავად ესპოზიტოს, იგი ასე აფასებს შემქნილ სიტუაციას: "ჩემი კონტრაქტი 2008 წელს მთავრდება. "კალიარიში" თამაშით ძალიან ბედნიერი ვარ. ამის მიუხედავად, ვოცნებობ, ევროპის რომელიმე უძლიერესი გუნდის ღირსება დავიცვა. არჩევანის წინაშე თუ დავდგები, ავირჩევ ისეთ გუნდს, რომელშიც ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებ".

## დი ვაიო დასაჯეს

"როიტერსის" ცნობით, "ვალენსიას" ფეხბურთელი მარკო დი ვაიო დისციპლინის დარღვევის გამო დროებით გააძევეს გუნდიდან. მთავარი მწვრთნელის ანტონიო ლოპესის განცხადებით, მას არ მოეწონა იტალიელის საქციელი ესპანეთის ჩემპიონატში "მალიორკას" (0:0) წინააღმდეგ მატჩის დროს. მას შემდეგ, რაც მეორე ტაიმის დასაწყისში დი ვაიო შეცვალეს, მან მწვრთნელს დაუყვირა და უხამსი ჟესტიც უჩვენა.

"არ მომწონს ასეთი გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ეს ჩემი გუნდისთვის გავაკეთე. ახლა არ ვიცი, როდის დაუბრუნდება დი ვაიო ძირითად შემადგენლობას, როდის მიიღებს მონაწილეობას ვარჯიშში. ეს მის შემდგომ საქციელზე იქნება დამოკიდებული. არ შემიძლია ვთქვა, რომ მარკოზე ცუდი აზრის ვარ, მაგრამ არსებობს რაღაც, რაც არ უნდა გააკეთო," - განაცხადა ლოპესმა.

## "მიდლსბრო" თვალყურს ადევნებს "იუვენტუსის" ფეხბურთელებს

ინგლისური კლუბი "მიდლსბრო" თვალყურს ადევნებს ტურინის "იუვენტუსის" ფეხბურთელს იგორ ტუდორსა და სტეფან აპიას. ახლა ტუდორი იჯარის წესით თამაშობს "სიენაში", აპია კი რეგულარულად გამოდის შეცვლაზე "იუვეში".

"მიდლსბროს" გარდა, აპიას მიმართ დიდ ინტერესს იჩენს "ევერტონი". ამიტომაც გამორიცხული არაა, მომავალ სეზონზე ეს ფეხბურთელი ინგლისის პრემიერ-ლიგაში ვიხილოთ.

რაც შეეხება ტუდორს, მას "იუვენტუსში სურს თამაშის გაგრძელება, თუმცა, ამას წინათ აღიარა, რომ ტურინში მისი დღეები დათვლილია.

## კასილასმა "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლაზე უარი თქვა

მადრიდის "რეალის" მეკარე იკერ კასილასი არ აპირებს "სამეფო გუნდის" დატოვებას. ამის შესახებ მან განუცხადა ესპანელ ჟურნალისტებს, როცა კომენტარი გაუკეთა გავრცელებულ ხმებს "მანჩესტერ იუნაიტედში" მისი შესაძლო გადასვლის შესახებ.

"მთელი ჩემი ფიქრები "რეალს" უკავშირდება. ვიცი, რომ ხელმძღვანელობასაც არ უნდა, გუნდიდან წავიდე. დიდ მადლობას ვუხდი "მანჩესტერ იუნიატედს" ჩემს მიმართ გამოჩენილი ინტერესის გამო, მაგრამ მადრიდში დარჩენა მინდა", - აღნიშნა კასილასმა.

ვარსკვლავი

# დეკუ

ლაშა გოდუაძე

*დღეს ახალი რუბრიკის პრემიერაა - ყოველ ოთხშაბათს "ვარსკვლავში" შეხვდებით პოპულარულ ფეხბურთელებს და მათ შესახებ არაერთ საინტერესო ინფორმაციას გაიგებთ.*

*პირველ სტუმრად ავირჩიეთ "ბარსელონას" პორტუგალიელი ნახევარმცველი დეკუ, რომელიც უეფამ ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.*



**დეკუ სოუზა**

**("ბარსელონა", პორტუგალია)**

### ციტატები

**ბრაზილიაზე**

...ბრაზილიაში დავიბადე და, მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიის ნაკრებში ვთამაშობ, ეს ქვეყანა უზომოდ მიყვარს. სხვათა შორის, ნაკრებში პირველი მატჩი სწორედ ბრაზილიელების წინააღმდეგ ჩავატარე. ძალიან ვღელავდი, მაგრამ შევდგი თუ არა ფეხი მინდორზე, აღელვება უკვალოდ გაქრა. იმ თამაშში გოლიც გავიტანე, რაც ჩემთვის დაუვიწყარია. არა იმიტომ, რომ სადებიუტო შეხვედრაში გამოვიჩინე თავი და თან, ბრაზილიელთა წინააღმდეგ, უბრალოდ, გოლი ძალიან ლამაზი იყო!

**ბავშვობაზე**

...სიღარიბეში ვიზრდებოდი. მახსოვს, ბურთს დახეული წინდებისგან ვკერავდით, მერე კი ასფალტზე ვცვეთდით. გარშემო არასახარბიელო სიტუაცია იყო, თუმცა, ბავშვები ბედნიერები ვიყავით, რადგან მშობლების სიყვარული და ოჯახური სითბო არასდროს გვაკლდა. დღეს ძალიან ვაფასებ ამას - ოჯახური ბედნიერება ჩემთვის უმთავრესია! როცა ფეხბურთისგან თავისუფალი ვარ, ვცდილობ, მთელი დრო შვილებს დავუთმო, მათთან ერთად ვიყო. ჩემთვის ეს განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა!

**საუკეთესო ფეხბურთელზე**

...მსოფლიოში საუკეთესო? მგონი, ჩემი ამპლუის ფეხბურთელთაგან ეს ზინედინ ზიდანია. ის ჩინებულად ფლობს ბურთს, საოცარი ტექნიკა აქვს! ზიზუ ფანტასტიკურია... მაგრამ, ვფიქრობ, პირისპირ თამაშში ვჯობივარ.

**"პორტუს" შესახებ**

...ამ კლუბმა ძალიან ბევრი მომცა. მთავარი სხვაობა "პორტუსა" და ქვეყნის სხვა კლუბებს შორის - გულშემატკივარია! როცა ქუჩაში მხვდებოდნენ, მუდმივად კეთილგანწყობილნი იყვნენ, დებიუტანტებს კი ყოველთვის ამხნევებენ. ეს ძალიან კარგია! სხვა მხრივ, სწორედ ამ გუნდში დავოსტატდი და იქვე ვუწიე მწვერვალებს. ძალიან მიხარია, რომ "პორტუში" სერიოზულად არასდროს დავშავებულვარ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მწვრთნელები ყოველთვის მენდობოდნენ. ერთი სიტყვით, "პორტუ" ძალიან მიყვარს!

**მწვრთნელების შესახებ**

...ვალში ვარ ფერნანდუ სანტუშთან, იმ ადამიანთან, რომელმაც "პორტუში" მიმიწვია. არც ლუიშ ფელიპე სკოლარის დავიწყება შეიძლება - მის ადგილზე ბევრი ვერ გაბედავდა პორტუგალიის ნაკრებში ბრაზილიელის მიწვევას. სკოლარი რომ არა, ჩემი მეორე სამშობლოს ღირსების დაცვის საშუალება არც მექნებოდა. რაც შეეხება ჟოზე მოურინიოს, მას თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად ვთვლი. მოხიბლული ვარ მისი განათლებით, შედეგებით და ფეხბურთელებთან დამოკიდებულებით. მშურს ლონდონელების - მათ დიდებული მწვრთნელი ჰყავთ!

**რონალდინიოს შესახებ**

...ფენომენია! მგონი, დიდი დახასიათება არ სჭირდება - მოედანზე ყველაფერი ჩინებულად ჩანს. სხვა მხრივ, ძალიან კარგი ბიჭია, გულღია, მხიარული და "ბარსელონას" სული და გულია! შარშან რონალდინიომ ფიფა-ს გამოკითხვაც მოიგო და "უორლდ სოკერისაც", მაგრამ ევროპის საუკეთესო მოთამაშის ტიტული ვერ მოიპოვა. მგონი, "ფრანს ფუტბოლმა" შეცდომა დაუშვა - "ოქროს ბურთს" შევჩენკო კი არა, რონალდინიო უფრო იმსახურებდა.

**ჯარიმებზე**

...იმ შემთხვევაშიც კი, როცა აკრძალული ხერხით მაჩერებენ, ვცდილობ, არ დავეცე და კარში დავარტყა. მიუხედავად იმისა, რომ საჯარიმო დარტყმების კარგად შესრულება მეხერხება, ვცდილობ, სტანდარტულ სიტუაციებს თავი ავარიდო. ისე, ძალიან მიყვარს მცველების გაბითურება - თუ მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგეა, ყოველთვის ვცდილობ ორიგინალური ფინტით მოტყუებას. ამ შემთხვევაში ჯარიმა ერთადერთი საშუალებაა ჩემს შესაჩერებლად.

**ფეხბურთზე**

...გულშემატკივრის თვალით თუ შევხედავთ, ფეხბურთი გართობაა, სანახაობა, რომელიც აუცილებლად კარგი უნდა იყოს. ჩვენთვის, მოთამაშეებისთვის კი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა სამუშაოა, რომელიც, მჯერა, თითოეულ ჩვენგანს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. მსურს, რომ ჩემი და ჩემი გუნდის თამაში შედეგიანი იყოს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, - ლამაზი. მინდა, რომ გულშემატკივრები ჩვენი ფეხბურთით იხიბლებოდნენ.

**მეტოქეების შესახებ**

...პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ იმ გუნდებს, სადაც ვთამაშობ, არავისი ეშინიათ. რაც შეეხება ყველაზე რთულ მოწინააღმდეგეებს, ასეთად ორს დავასახელებ: ტურინის "იუვენტუსს" და მადრიდის "რეალს". იტალიელები ნელი თამაშით "გაძინებენ", თითქოს საფრთხე არ გემუქრება, მერე კი უცებ შეგიტევენ, გოლს გაგიტანენ და თამაშიც იქვე მთავრდება. რაც შეეხება "რეალს", ესაა კლუბი, რომელშიც თითოეული ფეხბურთელისგან უსიამოვნებას უნდა ელოდე. ამავდროულად, "რეალის" ცქერა სასიამოვნოა. ჩემი აზრით, ბექჰემის შეძენა საჭირო არ იყო, თუმცა, ეს მხოლოდ და მხოლოდ მადრიდელთა საქმეა.

**ევრო 2004-ზე**

...შესანიშნავი ტურნირი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებთან დავმარცხდით, მაინც კმაყოფილი დავრჩი. დამეთანხმებით, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი პატარა საქმე არაა. მგონი, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შეჯიბრება იყო, რომელშიც ოდესმე მითამაშია. ვფიქრობ, გულშემატკივრები მოხიბლულნი დარჩნენ.

**გეგმებზე**

...მსურს, რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიგო. "პორტუსთან" ერთად წარმატებები ნამდვილად არ მაკლდა, მაგრამ ძალიან მინდა "ბარსელონაში" დავიპყრო მწვერვალები. რაც მთავარია, ამ კლუბში ტიტულების მოგება სავსებით შესაძლებელია. წლეულს აუცილებლად უნდა ვიმარჯვოთ პრიმერადივიზიონში - ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ ჩვენი უმთავრესი მიზანი სწორედ ესაა!

**იცოდით?**

...დეკუს სრული სახელი და გვარია ანდერსონ ლუის და სოუზა დეკუ.

...2003 წლის ზაფხულში დეკუს გადაბირება ფრანგულ "პარი სენ-ჟერმენს" სურდა. პარიზელები პორტუგალიელებს 19 მილიონ ევროს სთავაზობდნენ, თუმცა, "პორტუს" ხელმძღვანელობამ გარიგება იუარა.

...უეფამ დეკუ ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელად და ნახევარმცველად დაასახელა.

...2004 წლის ივლისში პორტუგალიის მოქალაქეობამიღებულმა დეკუმ "ბარსელონასთან" ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

...ნაკრებში დებიუტიდან (2003 წლის 27 მარტს ბრაზილიელებთან) დღემდე დეკუმ პორტუგალიის უპირველეს გუნდში 27-ჯერ ითამაშა და 2 გოლი გაიტანა.

ფორმულა 1

# შუმახერს დასაკარგი არაფერი აქვს

"დიდი პრიზების" სამი წარუმატებელი რბოლის შემდეგ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი პირობას დებს, რომ "სან-მარინოს დიდი პრიზზე (23 აპრილი) "ფერარი" ბევრად აგრესიული იქნება, ვიდრე ეს წინა სამ ეტაპზე იყო. მდგომარეობის გამოსასწორებლად და დანაკარგის ასანაზღაურებლად მიხაელმა გასული კვირა ინტენსიურ მუშაობაში გაატარა. კერძოდ, ახალი ბოლიდის - F2005 ჭკუაზე მოსაყვანად გერმანელმა 2500 კილომეტრი გაიარა. ახლა კი იმედი აქვს, რომ ტესტირებები შედეგს გამოიღებს: ჩვენი მიზანი კვლავაც პირველობაა და მიმაჩნია, რომ ამისთვის კარგი შანსი გვაქვსო.

"ზოგიერთი პესიმისტის გასაგონად ვიტყვი, რომ ჩემპიონატის ბედის გასარკვევად საკმაო დროა. მართალია, სეზონი ჩვენი მოლოდინის საწინააღმდეგოდ დაიწყო, მაგრამ ვიცოდით, რომ გაგვიჭირდებოდა. აშკარად არ გაგვიმართლა. მაგალითად, ავსტრალიაში, სადაც ნორმალური ამინდის პირობებში ქულების აღებას შევძლებდი...

ბაჰრეინის შემდეგ თავდაჯერებულობა შეგვემატა. საბედნიეროდ, ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში არაა. სეზონის დამთავრებამდე საკმაო დროა და ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. ფერნანდო ალონსოს ("რენოს" ესპანელი მრბოლი) 24 ქულით ჩამოვრჩები, რაც საკმაოდ ბევრია, მაგრამ არცთუ უიმედო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ალონსოსთვის სეზონი წარმატებულად დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ასე არ გაგრძელდება.

ახლა ალონსოს გონება იმით იქნება დაკავებული, რომ მიღწეული უპირატესობა არ გაანიავოს. იმისთვის, რომ ძვირფასი ქულები არ დაკარგოს, ორთაბრძოლებში არ ჩაერთვება. მე კი პირიქით, არაფერი მაქვს დასაკარგი. ასე რომ, ბევრად აქტიურად, შესაძლებლობათა ზღვარზე ვიმოქმედებ. დანარჩენი მრბოლებიც დიდ რისკზე წავლენ, რასაც ვერ ვიტყვით ფერნანდოზე".

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს მიაჩნია, რომ "რენოს" საკმაო ოფლის ღვრა დასჭირდება წარმატებების მოსაპოვებლად. ამასთან, ფერნანდოს უმთავრესი საზრუნავი ქულების აღება იქნება და არა გამარჯვებისკენ სწრაფვა.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ 14-წლიან კარიერაში 36 წლის მიხაელ შუმახერს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში "სან-მარინოს დიდი პრიზი" ხუთჯერ მოუგია.

და კიდევ, სარბოლო უიკ-ენდამდე მიხაელი ტრადიციას არ ულალატებს და საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩში მიიღებს მონაწილეობას. მატჩი, რომელიც დღეს საღამოს სან-მარინოს სტადიონზე ჩატარდება, ფორმულა 1-ის მრბოლთა ნაკრებისგანაა დაკომპლექტებული.












მოკლედ

## ბლატერი მესამედ აპირებს კენჭისყრას

ორი დღის წინათ ბერლინში გამართულ სპეციალურ კონფერენციაზე ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ მესამედაც აპირებს კენჭისყრას.

"თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს და ფედერაციაც არ იქნება წინააღმდეგი, 2007 წელსაც წამოვაყენებ ჩემს კანდიდატურას ფიფას პრეზიდენტის პოსტზე", - განაცხადა ბლატერმა.

პრეზიდენტმა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც ისაუბრა. იგი დარწმუნებულია, რომ გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატი ექსცესების გარეშე ჩაივლის. ყოველ შემთხვევაში, ის არ გამეორდება, რაც "სან-სიროს" სტადიონზე მოხდა "მილანი"-"ინტერის" შეხვედრის დროს.

"ვფიქრობ, რომ ხულიგნები პრობლემებს არ შეგვიქმნიან მსოფლიო ჩემპიონატზე. მე მჯერა ჩემპიონატის ორგანიზატორების. ის, რაც იტალიაში მოხდა, დაუხვეწავი დაცვის სისტემის შედეგი იყო. გერმანიაში ეს გამორიცხულია, რადგან იქ უსაფრთხოების საკითხს განსაკუთრებით მკაცრად ეკიდებიან", - თავისი ოპტიმიზმი გამოხატა ბლატერმა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 20 აპრილი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ინგლისის ჩემპიონატი. "ბოლტონი" - "საუთჰემპტონი"
14:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:00 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:55 რუსეთის თასი. ფინალი. ცსკა - "სატურნი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:50 "საფეხბურთო კლუბი"
19:35 თავისუფალი დარტყმა
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 რუსეთის თასი. ფინალი. "ტორპედო" - "ხიმკი". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
22:35 თავისუფალი დარტყმა
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ევერტონი" - "მანჩესტერ იუნაიტედი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "კიევო"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 18:45 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. 56 კგ. ფინალი
11:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
12:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
13:30 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი
15:00 "მწვერვალის ინტერესი". "ევერესტის ჩრდილოეთ კედელი"
16:15 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "NEW JERSEY NETS" - "WASHINGTON WIZARDS"
18:55 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. 63 კგ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 "სპორტისიმო"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. 62 კგ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:15 "ვატერპოლე"
23:45 სამბო. რუსეთის ჩემპიონატი
00:15 ახალი ამბები
00:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. 58კგ. 63კგ. ფინალები

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი - ევროგოლები
11:30 სამთო ველოსიპედი. მსოფლიო თასი კვიპროსზე
12:00 სადარბაზო ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იბიცა
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
16:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ველოსპორტი. პრო-ტური "Fleche Wallonne"
19:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
21:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 ახალი ამბები
00:45 გოლფი. US PGA. სპეციალური მიმოხილვა
02:45 გოლფი. ევროპული ტური ესპანეთში
03:15 მულტისპორტი ოთხშაბათობით

## მასონური იდეალები



ოთხი გვირგვინოსანი მოწამე

ინიციაციის გზა ყოველმა მასონმა ანალოგიების გზით უნდა გაიაროს: რიტუალის ყოველი ელემენტი გარეგნულად "ჰგავს" მის მიერ გამოხატულ იდეას ან მოვლენას. ამიტომაც გასაგებია, რატომ უნდა შეასრულოს ყოველმა ახლად განდობილმა მასონმა დუმილისა და სადუმლოს შენახვის აღთქმა. ყოველი მოძღვრება, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა რაღაც უმაღლესი ცოდნის ფლობაზე თავისი რიტუალების ან იდეოლოგიის აუცილებელ ატრიბუტად მიიჩნევდა დუმილს: ბუნებრივია, რომ რისი გამხელა აკრძალულია, ყოველთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ყოველთვის უკეთესად გვამახსოვრდება და უფრო სათუთად გადაეცემა თაობიდან თაობას.

გამოჩენილი ფრანგი მასონი, შევიონი წერდა: "ჭეშმარიტება არაა სიტყვებში, რომლებითაც ჩვენ ვმოსავთ იდეებსა და კონცეფციებს. ჭეშმარიტება საგანთა და მოვლენათა არსშია, რომლის გახსნა მხოლოდ დუმილს შეუძლია". აქედან გამომდინარე, მასონთა ნამდვილი საიდუმლოებები ის კი არაა, რომელსაც ახლად მიღებულ წევრს უმხელენ ინიციაციის რიტუალისას, არამედ ისინია, რომელთა შეცნობას იგი თვითონ უნდა მიეჩვიოს ცხოვრების გზაზე ხანგრძლივი სულიერი ვარჯიშის შედეგად.

ამგვარად, ინიციაციის რიტუალი ახლად მიღებულ წევრს მხოლოდ ეგრეთ წოდებულ "ქმედით მადლს" აძლევს. ამ ქმედითი მადლის წყალობით იგი მხოლოდ დგება ჭეშმარიტების გზაზე და პირველ ნაბიჯებს დგამს. რიტუალი მხოლოდ გარეგნული ინიციაციაა: ჭეშმარიტი შესვლა მასონთა სამყაროში მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარეობს. ამ თვალსაზრისით, მასონები ხშირად მიმართავენ იოანეს სახარების ერთ ადგილს: "სასუფეველი ღვთისა ჩვენშია".

ინიციაციის რიტუალსა და რეალურ მიმდინარეობას ადამიანი გაღმერთებისკენ არ მიჰყავს, რადგან ღმერთი მუდამ მიღმიერია, მუდამ ტრანსცენდენტული. მაგრამ, მასონთა აზრით, ინიციაციის, საღვთო განგებაში მუდმივი მონაწილეობის შედეგად შეიძლება გაჩნდეს ერთგვარი გახსენება იმ მდგომარეობისა, რომელშიც ადამიანი ცოდვით დაცემამდე იმყოფებოდა.

სინათლის მოპოვების გზაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის გონებას. მაგრამ ამ უკანასკნელს მასონური მსოფლმხედველობა ისე არ განიხილავს, როგორც რელიგიები ან ფილოსოფიური სისტემები. მასონობა არაფერს ამტკიცებს და არ ასაბუთებს, ის მხოლოდ მოუწოდებს გონებას და ეს მოწოდება ყოველთვის ინდივიდუალურია. ამ თვალსაზრისით, მასონობა დაესესხა ადრეულ ქრისტიანობას, სადაც გონება არის ადამიანებთან და ქვეყნიერებასთან კავშირის შეგნების, მათ მიმართ სიყვარულის განხორციელების საშუალება. ეს იდეოლოგია ერთგვარად ჰგავს იუსტინე მოწამის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ყოველ ადამიანში არსებობს ჩანასახოვანი ჭეშმარიტება, ლოგოსი. თვით უზენაესი ჭეშმარიტება კი გაბნეულია ადამიანთა მასაში, რომლის წევრებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან კულტურით, ენით, სოციალური წარმოშობით და ა. შ. აქედან გამომდინარე, მასონთა აზრით, ჭეშმარიტების მიღწევის ერთ-ერთი ქმედითი გზაა აქტიური შემწყნარებლობა.

ინდივიდუალურ გონებას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ის აბსოლუტში მონაწილეობს, ამიტომაა აუცილებელი ურთიერთკავშირის, ერთობის შეგნება ანუ სიყვარული.

სიტყვის მეშვეობით ჩვენ ვარჩევთ საკუთარ "მე"-ს სხვებისაგან, ვიქცევით პიროვნებად. სიყვარულის საშუალებით კი კვლავ ვპოულობთ სხვებთან ერთობას. ადამიანის პიროვნება ყოველთვის დგას უსასრულოსა და სასრულის, აუცილებლისა და შემთხვევითის, აბსოლუტურისა და ფარდობითის საზღვარზე. ამიტომაც მასონური ინიციაციის ფორმა და ლოჟებად გაერთიანების იდეა იფარავს ყოველ ახალ წევრს ზედმეტი ინდივიდუალიზაციისაგან. გონებაც და სიყვარულიც კოლექტიური შრომის, მოღვაწეობის ატმოსფეროში პოულობს რეალიზაციას.

ხშირად ამბობენ, რომ მასონობა კონსტრუქტივიზმის ერთგვარი ფორმაა: ყოველ წევრს მოაქვს თავისი ქვა ერთი დიდი ტაძრის მშენებლობაზე, მაგრამ ამავე დროს იგი საკუთარ თავშიც აშენებს მცირე ტაძარს.

ასევე ქრისტიანული მსოფლმხედველობიდანაა აღებული მასონური ინიციაციის შემდეგი ელემენტიც: სიკვდილი და ხელახალი დაბადება. რიტუალის შედეგად ყოველი ახალი წევრი კვდება იმ სამყაროსთვის, სადაც გრძნობიერი აღქმები ბატონობს. იგი იბადება ახალ, სულიერ სამყაროში. ეს კი უკვდავებასთან ზიარებაა: სოლომონის ტაძრის მაშენებელი, პირველი მასონი ხირამი უკვდავია.

ცნობილია მასონთა უძველესი ლეგენდა ხირამის მკვლელობის შესახებ. მაგრამ ინიციაციის რიტუალში ამ ლეგენდას აქვს გაგრძელება: ხირამი მკვდრეთით აღდგა. ამგვარი დამატების არსს რომ ჩავწვდეთ, საჭიროა გავიხსენოთ, როგორ კითხულობდნენ ბიბლიას შუა საუკუნეებში. ამ დროს ბიბლიური ტექსტის გაგების ორი მთავარი პრინციპი არსებობდა: წმინდა მამათა ნაწერებთან შედარება და ეგრეთ წოდებულ წინასახეთა ძიება. წინასახეები ეს ძველი აღთქმის ის პერსონაჟები და მოვლენებია, რომლებიც წინასწარ მიგვანიშნებენ ახალი აღთქმის პერსონაჟებსა და მოვლენებზე. ასე მაგალითად, შუა საუკუნეების დროინდელი კომენტატორები ხშირად ერთმანეთში ურევდნენ მეფეთა წიგნის ორ პერსონაჟს — ხირამსა და ადონირამს. არსებობს მრავალი ძველებური ბიბლია, სადაც მეფეთა მესამე წიგნის ორ ადგილას (5:28, 7:12), სადაც მოთხრობილია ამ ორაზროვანი პიროვნების ამბავი, არსებობს მინაწერი: hic est Christus — ეს ქრისტეა!

XVIII საუკუნის ფრანგი მასონებისთვის ცნობილი იყო ქრისტიანობის ეს ძველი ტრადიცია. იმდროინდელ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: "ორდენის საიდუმლოებები და მისტერიები ეს რელიგიის საიდუმლოებები და მისტერიებია... სამი დარტყმა, რომელიც ჩვენს ოსტატს, ხირამს მიაყენეს ეს წინასახეა იესო ქრისტეს სამმაგი ბრალდებისა — კაიაფას, ჰეროდესა და პილატეს მიერ".

მასონთა საზოგადოებაში ახლად მიღებული წევრი ინიციაციის რიტუალისას, როცა ხირამის მკვლელობისა და მკვდრეთით აღდგომის ამბავს მოითხრობენ, ემოციურ შოკს განიცდის. ამას ინტუიციურად მიჰყავს მასონი სულის უკვდავების იდეამდე. ამის შესახებ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: "მასონობის მთავარი დებულება დაიყვანება იქამდე, რომ სული უსასრულო ღვთაებრივი არსის ნაპერწკალია — ამ ნაპერწკლის წყალობით ადამიანი უკვდავია".

აქ ვუახლოვდებით მასონთა მოძღვრების კიდევ ერთ უმთავრეს დებულებას — ერთობას. უძველესი ჰერმეტული სწავლების თანახმად, "ის რაც მაღლაა, ჰგავს იმას, რაც დაბლაა, რათა განხორციელდეს ერთობის სასწაული". ამ ერთი შეხედვით უაზრო წინადადებაში გამოხატული იდეა უდევს საფუძვლად, მაგალითად, შუა საუკუნეებში მიღებულ თვალსაზრისს, რომ ადამიანის ორგანიზმი თავისი აგებულებით იმეორებს ქვეყნიერების აგებულებას. ამიტომ პირველს მიკროკოსმოსს უწოდებენ, მეორეს კი — მაკროკოსმოსს. ადამიანი და ქვეყნიერება — ერთიანი დიადი ქმნილების ორი სხვადასხვა ასპექტია.

აქედან გამომდინარე, ალქიმიკოსების მიერ ძებნილი "ფილოსოფიური ქვა", რომლის შეხება ტყვიას ოქროდ აქცევს, მასონთა მსოფლმხედველობაში გარდაიქმნება ფილოსოფიურ პრინციპად, რომლის მეშვეობით ყოველი ცალკეული პიროვნება მაღლდება და აღწევს მშვენიერებას.

# მასონთა შეულამაზებელი ისტორია III

### მასონობის გამოჩენა საფრანგეთში

1649 წელს ინგლისის მეფეს, ჩარლზ პირველს თავი მოჰკვეთეს აჯანყებულმა ინგლისელებმა. მეფის ქვრივმა. ჰენრიეტა ფრანგმა, რომელიც ანრი მეოთხისა და მარიამ მედიჩის ქალიშვილი იყო, საფრანგეთის მეფის, ლუი XIV-ისგან მიიღო სამეფო თავშესაფარი — ციხე-დარბაზი სენ-ჟერმენი. მალე მის ირგვლივ შეიკრიბნენ შოტლანდიელი არისტოკრატიის წარმომადგენლები. შოტლანდიელმა აზნაურებმა მაშინვე დაიწყეს ინგლისური აჯანყების ლიდერის, კრომველის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება, რაშიც მათ ხელს უწყობდა მასონურ ლოჟებში საპატიო წევრობა. როგორც ვხედავთ, გავრცელებული თვლასაზრისის საწინააღმდეგოდ, პოლიტიკური მოღვაწეობა მასონებმა დაიწყეს როგორც მონარქისტებმა. ის გარემოება, რომ მასონური ორგანიზაციები ჯერ ცნობილი არ იყო და მათი შესაძლებლობები არავის შეეფასებინა, საშუალებას იძლეოდა სამეფო ტახტის წინააღმდეგ ამბოხებულ "დიქტატორთან" საბრძოლველად.

1661 წელს ინგლისის ტახტზე ასულმა ჩარლზ მეორემ შექმნა ირლანდიური გვარდიის ლეგიონი, რომელიც ტახტის ერთგული დამცველი უნდა ყოფილიყო. ირლანდიურ ლეგიონში მოქმედებდა მასონური ლოჟა. 1689 წელს, ირლანდიური ლეგიონი პოლკოვნიკ უილიამ დორინგტონის სარდლობით საფრანგეთის ნავსადგურ ბრესტში გადმოსხდა. 1698 წლამდე ის სენ-ჟერმენის ციხე-დარბაზის გარნიზონად ითვლებოდა, შემდეგ კი საფრანგეთის რეგულარულ ჯარში შევიდა. როგორც ვხედავთ, მასონური სულისკვეთება ერთდროულად გამოჩნდა როგორც არსებული ხელისუფლების დამცველი, ასევე საერთაშორისო, ზენაციონალური ფენომენი.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თვისებები მოწმობს მასონთა შეგნებულ, რაიმე ჩამოყალიბებულ თეორიაზე აგებულ არჩევანს. სინამდვილეში ორივე დაკავშირებულია პოლიტიკურ გარემოში გადარჩენის აუცილებლობასთან და, ასე ვთქვათ, თვითშენარჩუნების ინსტინქტთან. სამეფო ტახტისადმი ერთგულება საკუთარი კლასის (იმხანად, არისტოკრატიის) ინტერესების დაცვაა, ზენაციონალური ხასიათი კი უზრუნველყოფს ემიგრანტ მასონთა უსაფრთხოებას ევროპის ყველა ქვეყანაში. როგორც ვხედავთ, მოტივაციები სრულიად პრაგმატულია.

1717 წლის შემდეგ, როცა ინგლისში შეიქმნა დიდი ლონდონური ლოჟა, საფრანგეთის მასონობა ორი მიმართულებით ვითარდებოდა: შოტლანდიური რიტუალის მასონები აღმავლობას განიცდიან, ინგლისური რიტუალისა კი დიდ სიძნელეებს აწყდებიან. ისტორიულად დამტკიცებულია, რომ საფრანგეთის ტერიტორიაზე პირველი შოტლანდიური ლოჟა — წმინდა ტომას ბეკეტის სახელობისა — დაარსდა 1726 წელს, პარიზში. ტომას ბეკეტი, კათოლიკე წმინდანი, ინგლისის კანცლერი იყო 1155 წლიდან და მას სტიუარტთა დინასტიის მეფეები ეთაყვანებოდნენ. ლოჟის დამაარსებელი იყო ჩარლზ რედკლიფი, რომელმაც 1731 წელს გრაფ დერვენუოტერის ტიტული მიიღო. აქაც შეიმჩნევა ერთგულება სამეფო ტახტისა და კათოლიკური ეკლესიისადმი: რედკლიფების გვარი ორივე თვისებით საუკუნეების განმავლობაში გამოირჩეოდა.

ამ განწყობის მატარებლები მასონებს არც საფრანგეთში აკლდათ. ამ მხრივ, გამოირჩევა ვინმე ლუიზა დე კერუალი, საფრანგეთის პირველი ლამაზმანი, რომელიც თავისი პოლიტიკური მიზნების შესასრულებლად ლუი XIV-მ ლონდონს მიავლინა. იქ ქალბატონი დე კერუალი მეფე ჩარლზ მეორის საყვარელი ხდება და მისგან პორტსმუტის ჰერცოგინას ტიტულს იღებს. სიბერეში კათოლიციზმისა და სტიუარტთა მიმართ ერთგულება ლუიზა დე კერუალს ლამის ავადმყოფობად ექცა და ის მასონთა ერთ-ერთი უძლიერესი და გავლენიანი მფარველი გახდა.

ერთი სიტყვით, საფრანგეთში მასონთა გამოჩენა და აღმავლობის პირველი ათწლეულები დაკავშირებულია ბრიტანელ კათოლიკეთა და სტიუარტთა დაჩაგრული დინასტიის მომხრეთა საქმიანობასთან.



### მასონები და მეფე

მასონობის ელვისებურმა გავრცელებამ XVIII საუკუნის პირველ მესამედში საზოგადოებისა და ხელისუფლების ყურადღება მიიქცია. შემორჩენილია საფრანგეთის პოლიციის 1737 წლის 16 თებერვლით დათარიღებული პატაკი, რომელშიც ვკითხულობთ: "ყველა მხოლოდ ფრანკმასონების ორდენის წარმატებებზე ლაპარაკობს. დიდსა და მცირეს მათ შორის მოხვედრა უნდა. ნამდვილი საყოველთაო აღტყინება სუფევს". სინამდვილეში ხალხი მასონთა მიერ გამართულ საჯარო სადილებს ეტანებოდა. სწორედ ეს ღონისძიებები მიაჩნდათ მთავარ მასონურ რიტუალად. ამას მოწმობს მაშინდელი იუმორისტული სიმღერები, სადაც მასონები გამოყვანილნი არიან ლოთებად და მოქეიფეებად, ხოლო კარგი სმა-ჭამა — მთავარ მასონურ საიდუმლოებად.

ხალხისგან განსხვავებით, ხელისუფლება საკმაოდ სერიოზულად მიუდგა საკითხს. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, კარდინალი დე ფლერი საოცრად შეშფოთდა. ბუნებრივია, რომ გარკვეულ ეტაპზე ხელისუფლება უნდობლად ეკიდება ყოველგვარ დახურულ საზოგადოებებს, რადგან ფიქრობს, რომ ხელი ეშლება ქვეყნის მართვაში. ფრანგული ნაციონალიზმის განვითარებამ არასასურველი გახადა ყოველგვარი კავშირი ინგლისთან, თუნდაც კათოლიკე სტიუარტებთან. ამავე დროს აღმოჩნდა სხვა საეჭვო კავშირებიც, მაგალითად, ორანელთა დინასტიის მომხრეებთან, რაც საფრანგეთის მეფეს შესაძლო პოლიტიკური ინტრიგების წინაპირობად მოეჩვენა.

ამ დროს მასონთა ლოჟაში წევრად ითვლებოდა გრაფი სენ-ფლორენტანი, საფრანგეთის მეტად პატივცემული პოლიტიკური მოღვაწე, ამავე დროს, მასონთა ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა, შევალიე რამზაიმ სცადა კარდინალ დე ფლერის დარწმუნება. ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. მეფის პრემიერ-მინისტრმა სიჩლუნგით აღსავსე პასუხი გასცა მასონთა მესვეურებს: "მეფეს არ სურს, რომ ადამიანები ერთად იკრიბებოდნენ". როგორც ვხედავთ, მითი, თითქოს მასონები თავიდანვე უპირისპირდებოდნენ მონარქიულ ხელისუფლებას, თვით სამეფო კარის არაშორსმჭვრეტელობამ წარმოქმნა.

დაიწყო პირველი ჯერ გაუბედავი რეპრესიები: 1737 წლის 10 სექტემბერს შატლეს პოლიციის რაზმი შეიჭრა ერთ-ერთ კაფეში. აქ ისინი წააწყდნენ ადამიანების ჯგუფს: ყოველ მათგანს ეკეთა თეთრი ტყავის წინსაფარი, ყელზე კი ლურჯი თასმებით ეკიდათ ქვისმთლელთა სხვადასხვა ხელსაწყოები. ამჯერად პოლიცია გამოძიებას არ აწარმოებს, არც სახელებს კითხულობს, რადგან შეკრებილთა შორის უმაღლესი საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი შეინიშნება. ამაზე მოწმობს კაფეს მახლობლად შექუჩული ძვირფასი კარეტებისა და მსახურების სიმრავლე. გაასამართლეს მხოლოდ კაფეს საწყალი მეპატრონე, ვინმე შაპელო, რომელსაც მიუსაჯეს ფულადი ჯარიმა და დაწესებულების ექვსთვიანი ყადაღა. სასამართლოს განაჩენით იკრძალებოდა ყველანაირი ფარული შეკრება, მაგრამ ამან მხოლოდ დამატებითი სიფრთხილე შეიტანა მასონთა რიგებში.

40-იან წლებში, როცა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი იყო მორეპასი, დევნა გაძლიერდა. 1741 წელს დაიწყო ინგლისთან ომი, რომელიც მხოლოდ 1748 წელს დასრულდა. ალბათ ეს იყო მიზეზი მასონთა მიმართ არაკეთილგანწყობისა. მართალია, დიდი ოსტატი, გრაფი დე კლერმონი, მამაცურად იბრძოდა საფრანგეთის მხარეზე, ამან მაინც ვერ შეარბილა ხელისუფლების განწყობა. მაგრამ აქაც საქმე 1744 წელს პარიზში ჩატარებული მასობრივი დაპატიმრებებით შემოიფარგლა. დაპატიმრებულები მალევე გაათავისუფლეს. საზოგადოდ, მასონთა წინააღმდეგ რეპრესიებისგან ყველაზე მეტად ისევ და ისევ კაფეებისა და დუქნების მეპატრონეები დაზარალდნენ, რადგან მათ უხდებოდათ ფულადი ჯარიმების გადახდა.

1740 წლების შემდეგ კი სამეფო ხელისუფლება არა თუ აღარ დევნის მასონებს, არამედ შეიძლება ითქვას, რომ ხელს უწყობს მათ გავრცელებასა და განვითარებას. ეს იმდენად შესამჩნევია, რომ შემდომში მკვლევრებმა დასვეს კითხვა: იყო თუ არა მასონი საფრანგეთის მეფე ლუი XV? ამ კითხვაზე დადებითი მინიშნება მოიპოვება აბატ პიგრეს ქაღალდებში, კერძოდ კი ერთ-ერთ ლექსში, რომელიც მიეძღვნა მეფის მიერ წმ. ჟენევიევას ეკლესიის საძირკვლის ჩაყრას. აქ არის სიტყვები: "თავის მოძმეში ხედავს მასონი ქვეყნიერების უდიდეს მეფეს".

რა თქმა უნდა, ამ საშუალო დონის პოეზიას ვერ მივიჩნევთ მკაფიო ისტორიულ მოწმობად, მაგრამ 1739 წლიდან ნამდვილად არსებობს ე. წ. სამეფო ლოჟის პირველი მოხსენიება ოფიციალურ დოკუმენტებში.

ლუი XVI-ის დროს მასონთა ამ გაერთიანებას სამი ძმის ლოჟის სახელი დაერქვა და ის, ე. წ. სამეფო აღმოსავლეთის ლოჟას შეუერთდა. მხოლოდ ვარაუდი შეიძლება იმის თაობაზე, იყო თუ არა თვით მეფე ამ ლოჟის წევრი, სამაგიეროდ დოკუმენტურადაა დაფიქსირებული მისი ორივე ძმის წევრობა. ეს მასონთა ნამდვილი ტრიუმფი იყო: საფრანგეთის ყველა მნიშვნელოვანი პიროვნება მასონთა რომელიმე ლოჟაში ირიცხებოდა. მათ შორის იყვნენ: ლაროშფუკო, ვოლტერი, კონდორსე, ლალანდი და სხვები.

იმ დროს მაღალი საზოგადოების მრავალი წარმომადგენლისთვის ეს ერთგვარი სნობური გასართობი იყო. მასონური რიტუალების თავშესაქცევ მხარეს (რატომაც არ უნდა გაერთო ამ სანახაობით, როცა ტელევიზორი ჯერ არ გამოუგონებიათ?) ისინი უთავსებდნენ სხვადსხვა შარლატანურ თუ ნაწილობრივ სამეცნიერო ექსპერიმენტებს, რასაც საჯაროდ ატარებდნენ მესმერი და კალიოსტრო. აქ საქმე ეხებოდა ჰიპნოზს. მასონური რიტუალები და საჯარო ჰიპნოზური ცდები შემთხვევით არ მოხვედრილა ერთ კონტექსტში: ორივე ეხებოდა ადამიანებზე ზეგავლენისა და ძალაუფლების გავრცელებას.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მასონთა ორდენმა მშვენიერი სქესის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლებიც დაიპყრო. იმხანად ქალები ბრწყინავდნენ განათლებითა და მახვილგონიერებით. ბევრი მათგანი განსაკუთრებულ სალონებსაც მასპინძლობდა. მასონთა რიგებში პირველად ჩაეწერნენ საფრანგეთის მაღალი საზოგადოების ქალბატონები. დედოფალი მარია-ანტუანეტა ასე ამშვიდებდა თავის დას, მარია-კრისტინას: "იქ ყველა დადის და ყველამ იცის, რაც ხდება. სადღაა საშიშროება?".

"სადღაა საშიშროება?" — კითხულობდა დედოფალი, მაგრამ არისტოკრატიული საზოგადოება კატასტროფის წინაშე იდგა და ამ კატასტროფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი სწორედ მასონობა იყო.

### მასონები და რევოლუცია

საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ მასონობამ უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა ქვეყანაში. ის თანადათანობით აღწევდა სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასში: მასონები იყვნენ არისტოკრატები, სამხედროები, პარლამენტარები, სასულიერო პირები, ინტელექტუალები, ბურჟუები და იურისტები. მაგალითად, 1780 წლისთვის საფრანგეთის არმიაში 72 მასონური ლოჟა მოქმედებდა და მათგან 26-ს სასულიერო პირები ხელმძღვანელობდნენ.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მასონებმა ჩაიფიქრეს საფრანგეთის რევოლუცია და გეგმაზომიერად გაატარეს რეპრესიები დანარჩენი საზოგადოების წინააღმდეგ. რევოლუციის მსხვერპლთა შორის მრავალი მასონი ირიცხება. მათი უმრავლესობა სიკვდილის იმ მანქანამ გაანადგურა, რომელიც მასონმა ექიმმა გილიოტენმა გამოიგონა. სხვები — მაგალითად, ბაი, ტალეირანი, კონდორსე, ბრისო, ლაფაიეტი — რევოლუციის ავტორებად მოევლინენ ისტორიას. არისტოკრატ მასონთა დიდ ნაწილს კი მალე ემიგრაციაში გამგზავრება მოუხდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ რევოლუციის ლიდერთაგან არც კამილ დემულენი, არც დანტონი და არც რობესპიერი არასოდეს ყოფილან მასონები. რაც შეეხება მირაბოს, მასზე მრავალი ერთმანეთის გამომრიცხავი ცნობა არსებობს.

ნიშანდობლივია მასონთა დიდი ოსტატის, ფილიპე ორლეანელის განცხადება "ჟურნალ დე პარიში" 1793 წლის 22 თებერვალს: "როცა ჯერ არავინ არ ფიქრობდა რევოლუციაზე, მე მივეკედლე მასონებს, რომლებიც თანასწორობის ხატად მოჩანდნენ, ასევე მივეკედლე პარლამენტსაც, რომელიც თავისუფლების ხატად მეჩვენა. ახლა კი ამ აჩრდილებს ვტოვებ და რეალობას ვუბრუნდები... მე ვიცი, როგორაა ორგანიზებული ლოჟა "დიდი აღმოსავლეთი". ვფიქრობ, რომ რესპუბლიკაში არ უნდა არსებობდეს არავითარი საიდუმლოება და დახურული საზოგადოება. ამიტომ აღარ მსურს, საქმე დავიჭირო "დიდ აღმოსავლეთთან", ან სხვა რომელიმე მასონურ ორგანიზაციასთან". ნახევარი წლის შემდეგ, 6 ნოემბერს ფილიპე ორლეანელი გილიოტინაზე ავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მასონებმა ამ განცხადების გამო გარიცხეს დიდი ოსტატი თავიანთი რიგებიდან, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მის სისხლში მათ მიუძღვის ბრალი.

1793 წლის 13 მაისს ჩატარდა "დიდი აღმოსავლეთის", საფრანგეთის ყველაზე გავლენიანი ლოჟის ბოლო შეკრება. მას შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მასონებზე არაფერი ისმოდა.

ისმის კითხვა: რამდენად მნიშვნელოვანი იყო მასონთა როლი რევოლუციის მომზადებაში? უეჭველია, რომ რევოლუციონერები და მასონები ერთსა და იმავე იდეალს ქადაგებდნენ: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა. მაგრამ იდეალის ერთობა არ ნიშნავს ქმედით ურთიერთკავშირს. ამგვარი იდეები ძალზე პოპულარული იყო XIX საუკუნეში: მასონთა მტრები მას არგუმენტად იყენებდნენ, თვით მასონებს კი ასეთი როლი ძალიან სიამოვნებდათ.

დღევანდელმა ისტორიოგრაფიამ უარყო იდეა მასონთა შეთქმულების შესახებ. მაგრამ აშკარაა, რომ მასონთა საზოგადოება ლიბერალური იდეების გადამტანი იყო. თვით იდეები კი მრავალი ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორის ზედდებით წარმოიშვა. სხვა თუ არაფერი, XVIII საუკუნეში ვერავის მოუვიდოდა ასეთი შეთქმულების შეგნებული იდეა, სხვა თუ არაფერი, იმის გამო, რომ მისი მეთოდურად და მიზანმიმართულად განხორციელებისთვის არავითარი ტექნიკური საშუალება არ არსებობდა. საფრანგეთის რევოლუცია ერთ-ერთი იმ პროცესთაგანია, რომლებიც, სირთულისა და მრავალმხრივობის გამო, სრულიად სპონტანურად მიმდინარეობდა და არა თუ მისი შედეგების წინასწარ განსაზღვრა, არამედ მიზეზების შეგნებაც შეუძლებელი იყო.



ფილიპე ორლეანელი

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

| | |
|---|---|
| სახელი ______ | მისამართი ______ |
| გვარი ______ | |
| ასაკი ______ | საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______ |
| სიმაღლე ______ | |

| | |
|---|---|
| 1 ოჯახური მდგომარეობა : დაქორწინებული / დაუქორწინებელი / გაყრილი / ქვრივი | 8 თქვენი ინტერესები |
| 2 შვილები: (თუ გყავთ) | 9 თქვენი ჰობი |
| 3 პროფესია : | 10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ? |
| 4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | 11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება) |
| 5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | 12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი) |
| 6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის? | 13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი) |
| 7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის? | ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში. ხელმოწერა______ თარიღი______ ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება ! |



გადაცემა

# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

თქვენი ფოტოსურათი

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

## სკანვორდი



- ალალი, გულუბრყვილო
- აგენტი 007
- ბარისხანას საპირისპირო
- ავსტრიის ფეხბურთის გუნდი
- ელბარ გვეროვების ლიტერატ. პერსონაჟი
- სოფელი სენაკის რაიონში
- ფირნიში
- იტალიური ავტომობილი
- *** ქამუშაძე
- წარწერიანი ქვითრებში ქვა
- ადამის ცოლი
- მწერალი სოფრომ ***
- არქიტექტურული ხაზი
- ლამის ფრინველი
- ესპანეთის ტახტის მემკვიდრის ტიტული
- "ახალი მეიდარი"
- სოფლის ალმ. წინსარბ.
- ორგანიზაცია, გაერთიანება
- თავგარეხვევა
- ისტ. მხარე საქართ.
- მონასტრის წინამძღ. ქალი
- რუსული ქალი *** თიაკი
- ფერფლი
- *** ხუციშვილი
- მხარე, მიდამო
- ფულის გადაცვლა
- რომან "ზაის" ავტორი
- ქალაქი იაპონიაში
- ერთი - გერმანულად
- ველური კომში
- ჩრდ. ირლანდ. ტერორისტ. ორგანიზაცია
- გალაქტიონის ლექსი
- მოდიანოს ნოვანი
- სოფელი სოხუმთან
- ვაიონური შამი

წინა სკანვორდის პასუხები: [illegible]

## TV პროგრამა

20 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.35** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "პოლიციელები და ქურდები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ადამიანი-ობობა **18.30** პატრული **19.00** სერიალი "უცნობი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ხალხის პირისპირ **23.00** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა "ხრუშჩოვი უნდა მოკვდეს" **00.00** მხ. ფილმი "მაღალი ძაბვა"(18) (სესილ დე ფრანსი) **02.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** შავი ყუთი. გვირგვინის დადგმა. ელიზაბეტ II. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა: საოჯახო ფოტოები. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** როცა ზღვა უკან იხევს. მხ. ფილმი. რეჟისორი ლორან ეინემანი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ამხანაგებო, იყო და არა იყო რა, იყვნენ ფრანგი კომუნისტები. მხ. ფილმი. რეჟისორი ივ ჟელანი. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **02.55** ხელისუფლება და ტერორი. დოკ. ფილმი. **04.20** სერიული დანაშაულებანი. ტელესერიალი.

---

**08.00** "ადრე" **22.00** დოკ. ფილმი "ბერმუდის სამკუთხედი" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო - მ. ივანიშვილი **16.30** დოკ. ფილმი "მონაკო - პრინცთა რბოლა" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "ბარნუმი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "შეხვედრა წინაპრებთან" **23.00** ახალი პროექტი - "საქართველო და ევროპა" **23.30** კინოსამყარო "ოსირუსის პროექტი" (12) **02.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.25** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "ტაქსის მძღოლი" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "ანას დაბადების დღე". **00.00** მხ. ფილმი "აპრე ვუ, ანუ თქვენს შემდეგ" (15) (დანიელ ოტეი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **20.55** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკის ისტორია" **21.45** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **22.10** კინოსეანსი "ცეცხლთან თამაში" მე-2ს.

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **12.20, 14.40, 17.10, 04.55** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.35** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "არ მეშინია" (გ) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.20, 01.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი* **01.55** მხ. ფილმი "დინების საწინააღმდეგოდ" (გ) (ჯ. რაში) **04.15** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.00** მუსიკა **10.20** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.30** კომედია "მედალიონი" **13.00** მხ. ფილმი "მოქალაქის დამღა" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** ფანტასტიკა "არმაგედონი" **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** დრამა "სიყვარულზე" **23.00** დოკ. ფილმი "ნიაგარა" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** კომედია "რეპლი-კეიტი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Федор Сухов в фильме **"ВЗЯТЬ ЖИВЫМ". 1**-я с. **13.30** "Гении и злодеи". Надежда Крупская. **14.00** Док. фильм "Большой Иван из города Кизляра". **14.30** "Угадай мелодию" с Валдисом Пельшем. **15.20** Сериал **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 16.30** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Неуловимый привкус смерти". **19.50** Сериал **"ОХОТА НА АСФАЛЬТЕ". 21.00** Время. **21.30** Андрей Федорцов в боевике **"РАБОТА ДЛЯ КРЕПКОГО МУЖИКА". 1**-я с. **22.40** Док. фильм "Первая леди в стране Чингисхана". **23.30** Ночное "Время". **23.50** Тайны века. "Приговор для Европы". **00.30** "Сканер". "Приемная президента". **01.00** Джина Филипс в триллере **"ДЖИПЕРС КРИПЕРС". 02.40** Зелда Харрис в комедии **"КРУКЛИН".** Негритянский квартал Бруклина, 70-е годы прошлого столетия. Вечный гам и скандалы наполняют дом Вуди Кармичаэла. Отец семейства когда-то был отличным джазовым музыкантом, но карьера не сложилась, и теперь он не у дел. Его жена Кэролайн работает школьным учителем и бьется изо всех сил, чтобы свести концы с концами. Но их пятеро детей вечно голодают. Десятилетняя Трой, единственная девочка в семье, смотрит на окружающий мир с легкой грустью. Ее живые глазки подмечают каждую мелочь, каждую деталь происходящего вокруг. Она понимает, что должна сама найти выход из этого замкнутого круга... **04.40** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ".**

### НТВ

**10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Особо опасен! **10.50** Сериал **"КОСВЕННЫЕ УЛИКИ". 12.00** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 13.35** Чистосердечное признание. **14.05** Многосерийный телефильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА".** Фильм 7. **"СОЛЕНЫЙ ВЕТЕР". 2**-я с. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2. СЕДЬМОЕ НЕБО". 1**-я с. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"КОСВЕННЫЕ УЛИКИ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ТАКСИСТКА-2". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 01.20** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2". 02.25** Бильярд. **03.10** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ". 04.10** Сериал **"ПЕРВЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

# „ვარსკვლავეთის ომებს" ლონდონი ერთ დღეს დუქნის



ლონდონის ლესტერ სკვერი პომპეზური პრეზენტაციისთვის ემზადება. „ვარსკვლავეთის ომების" პრემიერა კანის კინოფესტივალის არასაკონკურსო პროგრამაში კი უნდა შედგეს, მაგრამ პრემიერა პარალელურად ლონდონშიც გაიმართება. ლესტერ სკვერი ჯორჯ ლუკასისთვის 16 მაისს დაჯავშნეს. მთელი დღის განმავლობაში იქ „ვარსკვლავეთის ომების" თემატიკაზე აგებული ღონისძიებები გაიმართება. როგორც ამბობენ, მოაწყობენ ერთგვარ კინომარათონსაც და სკვერში შეკრებილ ფანებს ექვსივე ფილმს უჩვენებენ. პრემიერას დაესწრება თავად ჯორჯ ლუკასიც. კინომარათონის პარალელურად კი სამეფო ფილარმონიის ორკესტრი შეასრულებს მუსიკას ფილმების თანხმლები ალბომებიდან.

ცხადია, ეს ცნობა „ვარსკვლავეთის ომების" გულშემატკივრებში დიდ აჟიოტაჟს იწვევს. ამიტომაც ბილეთები მარათონზე დასასწრებად წინასწარ იყიდება. 25 აპრილიდან ლესტერ სკვერში მოხვედრის მსურველები 50 გირვანქა სტერლინგს გადაიხდიან და ღია ცის ქვეშ მოწყობილ ლუკასის სამყაროში აღმოჩნდებიან. ისინი კი ვინც „გალაქტიკის პასპორტს" მოიპოვებენ, შეძლებენ „ეპიზოდი 3" სითის შურისძიების" პირველ ჩვენებასაც დაესწრონ. პროდიუსერი რიკ მაქკალემი აცხადებს: „ეს ეპიზოდი ძალიან მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში თავმოყრილია ყველა ის თვისება, რაც „ვარსკვლავეთის ომებს" უნიკალურს ხდის".

თვითონ ახალი ფილმის პრემიერა კი ოდეონის კინოთეატრში გაიმართება. ლუკასთან ერთად ჩვენებას ჰეიდენ კრისტენსენი, ენტონი დენიელსი და პიტერ მეიჰიუც დაესწრებიან.

ერთი სიტყვით, 16 მაისი ლუკასის ბრიტანული ზეიმი იქნება. პროდიუსერის თქმით, „ვარსკვლავეთის ომებს" დიდ ბრიტანეთთან ძალიან ბევრი აქვს საერთო და ამიტომაც ამ უნიკალური ღონისძიების ლონდონში გამართვა აბსოლუტურად ლოგიკურია.

რაც შეეხება ლესტერ სკვერს, ის ბრიტანული კინოინდუსტრიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ადგილად ითვლება. მთავარი პრემიერები, როგორც ჰოლივუდური, ისე ბრიტანული ფილმების, ხომ სწორედ იქ იმართება.

# „ბედის ირონია" 30 წლის შემდეგ





### "ღამის გუშაგის" რეჟისორი ელდარ რიაზანოვის ისტორიას აგრძელებს

საბჭოთა ეპოქის შვილისთვის ძნელი წარმოსადგენია ახალი წელი საცივის, გოჭისა და „ბედის ირონიის" გარეშე. ელდარ რიაზანოვის ქრესტომათიულად ქცეული ფილმი უკვე 30 წელია საახალწლო სუფრის ერთგვარი გარნირის ფუნქციასაც ითავსებს და ხანდახან სენტიმენტალურ დიასახლისებს ოლივიეში ბარდის ჩაყრასაც ავიწყებს. ცოლების უყურადღებობით შეწუხებულ ქმრებს მალე ახალი თავსატეხი გაუჩნდებათ - რუსეთში ფილმის გაგრძელებას იღებენ.

ახალ „ბედის ირონიას" ბოლო დროს ლამის რუსული კინემატოგრაფის სპილბერგად შერაცხული თემურ ბეკმამბეტოვი გადაიღებს. შეგახსენებთ, რომ სწორედ, ის გახლავთ გახმაურებული „ღამის გუშაგის" რეჟისორი, ამიტომ ცოტა გაუგებარია, რატომ დაინტერესდა ამ თემით. გარდა ამისა, ბეკმამბეტოვს ელდარ რიაზანოვის ჩრდილისგან გათავისუფლება და უკეთესი თუ არა, არანაკლებ საინტერესო სურათის გადაღება მოუწევს. ეს კი მისი ცნობილი ფილმის სპეცეფექტებზე ძნელი გასაკეთებელია.

ფილმის შემკვეთი „ღამის გუშაგის" მსგავსად ტელეკომპანია „პირველი არხია". ჯერჯერობით ოფიციალურ განცხადებას გადამღები ჯგუფის არც ერთი წევრი არ აკეთებს, მაგრამ უკვე ცნობილია ახალი ფილმის სიუჟეტიც და მთავარი როლების შემსრულებელთა ვინაობაც.

პირველი „ბედის ირონიის" შემდეგ 30 წელი გავიდა. ექიმ ლუკაშინსა და მასწავლებელ ნადიას ვაჟიშვილი ჰყავთ, რომელიც მამის მსგავსად ექიმია. ახალი წლის წინა დღეს მამის მოსახელე ახლაგაზრდა ჟენიას სანკტ-პეტერბურგში კონფერენციაზე აგზავნიან, რის შემდეგ გამართული ბანკეტი მის ცხოვრებაში გადამწყვეტი აღმოჩნდება. ერთი სიტყვით, ჟენია იმდენად დათვრება, რომ ავიწყდება, რომელ ქალაქში იმყოფება და ტაქსის მძღოლს საკუთარი სახლის მისამართს აძლევს: " მშენებელთა მესამე ქუჩა, სახლი № 25, ბინა № 12". სახლში მისული მაშინვე ლოგინში ჩაწვება და მამის მსგავსად უდარდელ ხვრინვას ამოუშვებს.

მთავარი მაშინ იწყება, როდესაც სახლში ნადია ბრუნდება რომელიც, ბედის ირონიით, იპოლიტის ქალიშვილია და მამამ თურმე ძველი სიყვარულის სახელი დაარქვა. შინ დაბრუნებული ნადია გალეწილ ჟენიას საშინელ სკანდალს მოუწყობს და ამ დროს ასპარეზზე მისი საქმრო, წარმატებული ფინანსური კონსულტანტი ირაკლი გამოდის. ამ უკანასკნელს ვერც კარგი მატერიალური მდგომარეობა შველის და ვერც ქართული ტემპერამენტი - ნადიას და ჟენიას ერთმანეთი შეუყვარდებათ. მათ რომანზე საშინელი რეაქცია აქვს იპოლიტს, რასაც ლუკაშინების ისტერიკაც ემატება.

„ბედის ირონია 2-ში" ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად ანდრეი მიაგკოვი, ბარბარა ბრილსკა, ალექსანდრე შირვინდტი და ლია ახიჯაკოვაც თამაშობენ. ფილმში მონაწილეობაზე კატეგორიული უარი განაცხადა იური იაკოვლევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ახალმა სცენარმა მასზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

## განცხადება:
## სს ნავთობის ეროვნული კომპანია "ს ა ქ ნ ა ვ თ ო ბ ი" აცხადებს კონკურსს

კომპანიის ემბლემის (ლოგოს) შემუშავების მიზნით. კონკურსში გამარჯვებული დაჯილდოვდება თანხით 1000 ლარის ოდენობით. ესკიზის მიღების ბოლო ვადაა 25 აპრილი. საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ.კოსტავას N65 სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი"; საკონტაქტო პირი: ანტონ მძინარიშვილი TEL: 33-04-11 (899 28-87-29), noc@saknavtobi.ge.







საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- MS Word.
- MS Excel.
- Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ: 29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლეუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყაველაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.